

ახეულა

ლიტერატურული ჟურნალი

N4, 2017



რეპაზ ინანიშვილის

სახელობის

ლიტერატურული

კონკურსი

2017



აყვავიშვილი
სამოთხის პატი



საით შიდიხან,
სილაშაჯან?



ღვთის ენით
მოსაუბრა პოეტი



„კოსმიურ მითოლოგიაში რუსთაველი, ერთარსებობა.“

რემო (ემელიანე) ადამიას ნასატი



ანალიტიკა

№ 4. (№19) დეკემბერი, 2017

ლიტერატურული

ფენიქსი

რევან ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი – 2017 3	3
პტტა	
ჩუბო ჯოხბანაძე ტოსკა 4	4
ერთი ლექსი მანანა ღამბაძე ანკეტი 8	8
პტტა	
მანანა ღამბაძე ლენინი გულრიფშში 9	9
სალომე ბობოლაძე მგლის ცოლის ჩანაწერები 11	11
მინიატურები	
თამაზ ბახიშვილი აყვავებული სამოთხის ბაღი 14	14
პტტა	
ანა შანაბახიძე 17	17
ვაჟსინ სასონიძე 20	20
ზვიად ნახიშვილი 21	21
ერთი ლექსი დანი ბაქინაშვილი „ჩემო იესო“ 22	22
წიტილოები	
ჩუბო ბაქინაშვილი ღვთის ენით მოსაუბრე პოეტი 23	23
ბაქინაშვილი რევან ინანიშვილი – „პატარა ბიჭი გოგოთაზე“ 28	28
ბაქინაშვილი ია მაისაიას სულსა შინა 30	30
ერთი ლექსი ჯაბა ლეიანი ჯანსუღს 32	32
პტტა	
ნინო ლანაძე 33	33
დავით ხიზაძე 35	35
პტტა	
დანი მინაძე 38	38
ნოდინა ჭიჭიძე ასკილი 41	41
პტტა	
ზაზა ხაბაძე 43	43
ნინო ზოსიძე ზურაბ! 44	44
პტტა	
ანა მახიშვილი 45	45
ნინო თაყაიშვილი 47	47
თატგამანი	
მახინა სვაბაძე, ოსინ მანდარაშვილი თარგმან მარინა გოგოლაშვილმა 48	48
მანანა ბიჭიანი „ელადა“ 50 წლისა 50	50
ნინო ჯაფარიძე წყალტუბოს შემოდგომა 51	51
პროექტი „სამი სავარძელი“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილე 52	52
წიტილოები	
ნინო ჭიჭიძე რევან ინანიშვილის სიტყვიერი სამყარო 53	53
დანი ჭიჭიძე-სახელმწიფო მუღმივად მის სადარაჯოზე 56	56
პტტა	
სალომე ნახიშვილი უსათაუროდ 60	60
ინტერვიუ ციცილო ბაბუციძეს ესაუბრა თამარ შაიშველაშვილი 62	62
ჩანაწერები იხთა ხიზაძე 68	68
მინდა ქადაგის ჰოვანაძე თენგიზ ხუციშვილი, ილია ელიზბარაშვილი, ნიკა ჭიჭიძე 70	70
მავალი ბახიშვილი მოსწავლეთა ცრემლს სინათლის ათინათი აელვარებდა 71	71
ერთი ლექსი დანი ხვალაიანი ნატვრის ხე (ლიკა ქავარაძეს) 72	72

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ენციკლედ „ანელი“ ახსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე
ლელია ქიტოშვილი –
სასლტხ უცხოვრილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ სმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ღებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოგრაფიული რედაქტორი

გაზეთი:


„ანელი“ საბავშვო ჟურნალი ნაშრომების „კონსტანტინის“ სახელით

ჩეხოსლოვაკიის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი – მერვე დაჯილდოება



რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი წელს მერვედ გაიმართა. საქართველოს რეგიონებიდან 75-ზე მეტი საკონკურსო მოთხრობა და ნოველა შემოვიდა.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ნინო ჩხიკვიშვილი, პოეტი ჯუბა ღებელი, მწერალი თამაზ ხმალაძე, მწერალი მაკა ჯოხაძე (თავმჯდომარე) გამოავლინა გამარჯვებულები. პრემიები ასე განაწილდა:

- I პრემია – რეზო ჯორბენაძე („ტოსკა“);
- II პრემია – მანანა ღუმბაძე („ლენინი გულრიფშში“);
- III პრემია – სალომე გოგოლაძე („მგლის ცოლის ჩანაწერები“).

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის პრიზიორები გახდნენ:

- აკაკი დაუშვილი – „ტყავის ქურთუკი“;
- არდაშელ თაქთირიძე – „ქურდი“;

მათ გადაეცათ დიპლომები და პრიზები. ტრადიციისამებრ, ჟურნალ „ანეულის“ მეგობარმა მხატვარმა რეზო (ემელიანე) ადამიამ საკუთარი ნახატები შემოსწირა კონკურსს. ქველმოქმედი მხატვარი კონკურსის დაარსებიდან 8 წლის განმავლობაში არ ღალატობს რევაზ ინანიშვილის სახელს.

თანადგომისთვის განსაკუთრებული მადლობა – ქალბატონ გულიკო ზუმბაძეს;

ასევე – მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლას და მის პედაგოგებს: ქალბატონებს – იზო სამუშიას და ცისმარი ყურაშვილს, რომელთაც დააწესეს სპეციალური პრიზი პირველი პრემიის მფლობელისთვის.

წლევეანდელი კონკურსის საპრიზო ფონდი თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურმა დააფინანსა.

მადლობა „ანეულის“ შემოქმედებითი გაერთიანების წევრებს, რევაზ ინანიშვილის ოჯახს, ქალბატონ როზა ინანიშვილს, ყველა იმ ადამიანს, ავტორს და მკითხველს, ვინც უანგაროდ დგას ჟურნალ „ანეულის“ გვერდით და ელოდება მისი თითოეული ნომრის გამოსვლას.

ქვემოთ გთავაზობთ სამ პრემირებულ მოთხრობას.

ჩემი ჯოხბანაძე



ტოსკა

შუბლზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი რამაზს. სიმწრის ნაკადი თვალის უპეებთან გროვდებოდა, ქუთუთოებში ჩაედინებოდა და თვალებს ახამხამებინებდა წამდაუწყუმ. და მაინც ცდილობდა, უკეთ დაენახა და თითით მოესინჯა მოხუცი პაციენტის მარჯვენა მკლავზე ლიანდაგივით დახლართული, ცისფრად დაკლაკნილი და გამკვრივებული ვენები.

– ერთხელაც ვცდი, შვიდი კარგი ციფრია. თუ მაინც არ გამოვა, ჩემს თანამშრომელს გამოვაგზავნი, – წაილულულა თეთრხალათიანმა რამაზმა და მკლავით შუბლიდან ოფლი მოიწურა.

– შვიდი საინტერესო ციფრია, – მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ფრაუ კირჰშტაინმა, – მაგრამ არა აუცილებლად სისხლის აღების მცდელობისას. ოტო დიქსის „შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას“ თუ იცნობთ, რამაზ ექიმო?

ჰეე, ოტო დიქსს როგორ არ იცნობდა. გერმანიაში წამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე დაინტერესდა მეორე თაობის გერმანელი ექსპრესიონისტებით და მაშინ გაეცნო პირველად ოტო დიქსის ნამუშევრებსაც. თქვენ მხატვრობაში როგორი გათვითცნობიერებული ყოფილხართო, უნდოდა ეთქვა პაციენტისათვის, მაგრამ ენაზე იკბინა, რადგანაც არ იცოდა, ან ვერ მოიგონა „გათვითცნობიერებული“ როგორ იყო გერმანულად და მხოლოდ ეს თქვა.

– როგორ არ ვიცნობ, კარლსრუეს მუზეუმშია დაცული. ჯერ ვერ მოვახერხე ორიგინალის ნახვა.

ფრაუ კირჰშტაინმა გაკვირვებით შეხედა თეთრხალათიანი სტუდენტის სიმწრით გახვითქულ სახეს, ტუჩის კუთხეები ღიმილისაკენ გაექცა და მარჯვენა ხელისგული მარცხენა იდაყვის შიგნითა ზედაპირზე დაიტყაპუნა.

– აქ სცადეთ, თქვენი კოლეგა ხშირად ამ ადგილას მიღებს ხოლმე სისხლს.

სამი თვეა, რაც რამაზი მიუნხენში გადმობარგდა. საქართველოს უნივერსიტეტადამთავრებული მიუნხენში მედიცინის ფაკულტეტის ბოლო კურსზე დასვეს და ჯახირობს მომავალი ექიმში. თბილისში პაციენტი არ უნახავს, სისხლის აღებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. აქ კი ყოველ დღილას მთელი განყოფილების პაციენტებს უნდა აუღოს სისხლი. ყველას ცუდი ვენები აქვს. ზოგს მცოცავი, ზოგს მლოღავი, ზოგს მოსხმარტალე, ზოგსაც სისხლისაგან დაცლილი, და თუ გაუძარტლა და თავისი გაუხედნავი ხელებით წითელი ფერის სითხე ადინა შეკრულმუშტიან მკლავს, მაშინ ერთს ამოიგმინებს პაციენტი, დიდება უფალსო და რამაზიც ნაჩქარევად დატოვებს პალატას მერამდენე, მაგრამ, როგორც იქნა, წარმატებული ნაჩვენევების გულდასმით გადახვევის შემდეგ.

ძნელია უცხო მიწაზე. კიდევ კარგი, რომ არსებობს ფიქრი და წარმოსახვა, თორემ რა გაუძლებდა მონატრების ამ სულთამხუთავ შეგრძნებას. ჰოდა, დგას რამაზი და ზოგ პაციენტს თავის ძმას ამსგავსებს და ზოგსაც თავის დედ-მამას. ხანდახან ქართული სიტყვაც წამოსცდება უნებლიეთ და მოსაუბრის გაკვირვებული სახის დანახვაზე თავის მართლება უწევს ჯერ ვერ აკლიმატიზებულ-ადაპტირებულ-ინტეგრირებულ რამაზს. მოუსაკლისებია, და თანაც როგორ, რომ გამოაღოს პალატის კარი და დილა მშვიდობისაო, მიაგებოს პაციენტებს. ყელში აქვს უკვე ამოსული ეს გაუთავისებელი „Guten Tag“ და „Grüß Gott“, იმ ყელში, რომელშიც ხშირად ბურთივით ეჩხირება სპაზმური შეგრძნება, რაც თან ახლავს ხოლმე ფიქრს, ნეტავ, ჩემები როგორ არიან ახლა?

– ფრაუ კირჰშტაინ, სრიალა ვენები გაქვთ თქვენ. და კიდევ, არც შვიდია კარგი ციფრი, – სცადა სიმწრით გაცინება რამაზმა.

– ღვთის გულისათვის, ყველა მეუბნება, რა კარგი ვენები გაქვთ, თვალდახუჭული შეიძლება სისხლის აღებაო, – გულწრფელად გაიკვირვა ხანდაზმულმა ქალბატონმა და წყალი მოსვა.

– თქვენ დღეს ცოტა რაოდენობით სითხე ხომ არ მიგიღიათ, ფრაუ კირჰშტაინ? – იმედის ნაპერწკალს წაებლაუჭა შევებით ამოსუნთქული რამაზი.

– თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა მოვსვი პირველი ყლოუბი.

– ჰოდა, ამიტომაც არის ვენები დაცლილი სისხლისაგან. დალიეთ რამდენიმე ჭიქა სითხე და მოგვიანებით კიდევ ვცდი, – რიხიანად ჩაიგერმანულა რამაზმა და როდესაც პაციენტის გამჭოლ მხერას წააწყდა, მიკნავებულად დაამატა – და მოგვიანებით ჩემს კოლეგას გამოგიგზავნით.

რამაზმა კიდევ ერთხელ მოიწმინდა თეთრხალათიანი მკლავით გახურებული შუბლი, აიღო ნემსები და სინჯარებით დახვავებული სინი და კარი გამოაღო წასასვლელად.

– თქვენი თანამემამულე, ნინო ხარატიშვილის „მერვე ცხოვრება“ თუ გაქვთ წაკითხული? – შემრიგებლური ტონი დაადევნა მხრებჩამოყრილ ახალგაზრდას კეთილმა მოხუცმა.

რამაზი შედგა და კიდევ უფრო დიდი გაკვირვებით შეხედა ფრაუ კირჰშტაინს, შემდეგ თავი გადააქნია და პროფესიონალიზმით აღსავსე სიმტკიცით მიუგო – არა, არ ღირს ფუჭი მცდელობა. ჯერ სითხე მიიღეთ საკმარისი რაოდენობით, – და კარი გაიხურა.

ღრმად და ხშირად სუნთქავდა რამაზი. ანიაკებდა გახურებულ ტვინს და მომდევნო ბრძოლისათვის ემზადებოდა. მიუახლოვდა მე-13 პალატას, ეშმაკმა დალახვროსო ეს ციფრები და მათი სიმბოლიკა, გაუელვა თავში ოთახის ნომრის დანახვისას და გაუბედავი დაკაკუნების შემდეგ კარი შეაღო. საწოლზე მოხუცი ქალი წამომჯდარიყო. წაბლისფერი თმები მეტისმეტი გულდასმითა და გარკვეული სიმკაცრით გადაჭიმულიყვნენ ოვალური ფორმის თხემზე და კეფასთან მიახლოებისას სქელ, პედანტურ ნაწნავში იხლართებოდნენ. გრძელი მკლავები საწოლის კიდეებს ეყრდნობოდნენ და მძიმედ სუნთქვას უადვილებდნენ ქალს. თაფლისფერი თვალების ნუშისებური ჭრილების შიგნითა კიდეები უძილობის, ლოდინისა და მძიმე სუნთქვისაგან ჩამუქებულიყვნენ. ეს სიშავე უცნაურ კონტრასტს ქმნიდა შეფაკულ ყვრიმალეებთან. დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარებოდა ავადმყოფობით შებოჭილ, საწოლის კიდიდან წინ წახრილ აღნაგობაში ჩაფერფლილი სილამაზე. ფეხის ნაბიჯს ხმაზე ბურუსიდან გამორკვეულმა ჩაკიდებული თავი მსწრაფლ ასწია და მუქი ქარვისფერი თვალები კითხვის ნიშნით მიაბჯინა ახალგაზრდას.

– ფრაუ შ. თქვენ ბრძანდებით? – კითხვითვე მიუგო რამაზმა.

– დიან, მე გახლავართ, – გაიღმა ქალმა, – გუშინ გადმომიყვანეს ინტენსიური განყოფილებიდან.

– მე დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ვარ, რამაზი. სისხლი უნდა ავიღოთ.

ქალმა მძიმედ დახარა თავი, ჩალურჯებულ მკლავებზე დაიხედა და სევდიანად გაიღმა.

– ძალიან ცუდი ვენები მაქვს. ყოველდღე მჩვლეტენ. მაგრამ რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს. სადაც გენებოთ, იქ სცადეთ.

გულზე მოეშვა რამაზს. ცუდი ვენები მაქვსო, აკი თავად აღიარა მსხვერპლმა. როდესაც ასეთი ალიბი გაქვს, მაშინ ოტო დიქსის „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვისა“ და ნინო ხარატიშვილის „მერვე

ცხოვრების“ შემდეგ ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიაზეც კი შეიძლება მსჯელობა, თუ საჭირო გახდა. ჩაიმუხლა პაციენტის წინ, როგორც სჩვეოდა და დახედა ქალის გრძელი მტევნების ნატიფ თითებს. ენაებოდა ასეთი სიმსუბუქით თლილი მკლავები საჯიჯგნად. მაგრამ რა ექნა, პროფესიონალიზმი თავისას მოითხოვს.

– ღმერთო ჩემო, ეს რას მოვესწარი. ასეთი ახალგაზრდა ჩემ წინ მუხლებზეა დაჩოქილი და ჩემს ხელებს ჩაჰკირკიტებს, – მოულოდნელი მხიარულებით შესძახა ფრაუ შ.-მ და მარცხენა ხელი შინაურულად მოუთათუნა რამაზს მხარზე, – სკამი აიღეთ, თორემ ჩემი ვენების გადაკიდეს დიდ ხანს მოგიწევთ ჩემ წინაშე მუხლებზე სოხვა.

– იყოს, ასე უფრო მოხერხებულად ვიღებ ხოლმე სისხლს, – უხერხულად ჩაილაპარაკა რამაზმა და ნემსი იშინვლა.

– ბრავო, ბრავო, ბრავისიმო!!! აი, ამას ჰქვია პროფესიონალიზმი! – აღტაცებული იმეორებდა ფრაუ შ. და უკიდევანო პატივისცემით განმსჭვალული მოწიწებით შეჰყურებდა რამაზს, რომელიც თავისი პირველივე მცდელობის წარმატებით დაგვირგვინებით თავადვე იმდენად დაბნეულიყო, რომ კინაღამ სინჯარები გაუვარდა მთრთოლვარე თითებიდან.

– თქვენ არცთუ ისე ცუდი ვენები გაქვთ, – უხერხულად იმართლა თავი რამაზმა და ნაჩხველტზე ბამბა მზრუნველად დაადო პაციენტს.

– თქვენ ნამდვილი ხელოვანი ხართ, – წამოიძახა უეცრად გამოცოცხლებულმა ქალმა, – თითების ასეთი მოძრაობა აქვთ მუსიკოსებს, მხატვრებს ან, რა თქმა უნდა, გაწაფულ ექიმებს. რომელი ქვეყნიდან ხართ, რამაზ?

– საქართველოდან, – მიუგო მომავალმა ექიმმა და რაღაცნაირი სასოწარკვეთილების მოლოდინში, რომ საცაა დაუსვამდნენ ისტორიასა და გეოგრაფიაში ამ ყოველად გაუთვითცნობიერებელ, თუმცა ნაჩვევ და უსირცხვილო შეკითხვას – აააა, ანუ რუსეთიდან? – გაიტრუნა.

– რას ამბობთ, ჩემს ქმარს აქვს ნამღერი 60-იან წლებში თბილისის ოპერაში. კავარადოსი იმღერა პუჩინის „ტოსკაში“.

რამაზი ხელებით დაეყრდნო მუხლებს, წამოდგა და როდესაც წელში გაიმართა, იგრძნო, რომ მაინც აგრძელებდა სიმაღლეში ზრდას და ბოლოს, სადაც უსაშველო სიმაღლეზე ასულმა, ძლივს გასაგონი ხმით ჩამოსჩურჩულა ქალს:

– ანუ თქვენ იცნობთ საქართველოს და ნამყოფიც ხართ?

– მე არ ვარ ნამყოფი, მაშინ არ ვიცნობდით ერთმანეთს მე და ჩემი მეუღლე. მაგრამ საქართველო როგორ არ ვიცი, ჭაბუკიანი ქართველი მოცეკვავე არ იყო?!

გაზრდილიყო რამაზი, გაზრდილიყო და თანაც როგორ. ნუთუ მოესმა, რომ ცნობილი ქართველებიდან პირველი სტალინი არ მიახალეს ცხვირ-პირში, როგორც იყო ნაჩვევი სტალინზე განაწყენებულ ამ უცხო მიწაზე.

– თქვენ რა საოცრად ერკვევით ბალეტის ისტორიაში, ფრაუ შ., – წაილულულა გალმხვალმა, გამლღვალმა და მთლიანად გამდნარმა მომავალმა ექიმმა.

– მე ბალერინა ვიყავი, მიუნხენის საბალეტო დასში ვცეკვავდი. ვერ გავცდი კორდებალეტს. ვერ ვიცეკვე ვერც ოდეტა-ოდელია და ვერც ჟიზელი, მაგრამ მინც ბენიერი ვარ, რომ სცენაზე ვიდექი გამუდმებით, ხან ოდეტას ფრთოსანი მეგობრების და ხანაც ჟიზელის თანასოფლელი გოგონების რიგში, – ფრაუ შ. გულისტკივილით იმზირებოდა ფანჯრის მინებს მიღმა და უკან გადახრილი თავი კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრით წარმოაჩენდა ქალის ოდეტა-ოდელიასებურ გრძელ კისერს.

– რა იქნებოდა „გედების ტბა“ ოდეტას ფრთოსანი მეგობრების ან „ჟიზელი“ იმ სოფლელი, გულუბრყვილო გოგო-ბიჭების გარეშე?! – მხნედ წამოიძახა რამაზმა და შემდეგ დასძინა, – მეც ძალიან მიყვარს მუსიკა, განსაკუთრებით ოპერა. ვვიჟდები „ტოსკაზე“ მარია კალასის შესრულებით. რას არ მიცემდი, ცოცხლად მომესმინა კალასის ტოსკა სცენაზე.

ფრაუ შ. სულგანაბული შესცქეროდა უსასრულო სივრცეში თვალეპიბიზენილ ახალგაზრდას და გრძნობდა, რომ სადაც, სულის სიღრმეში, რაღაც ულხვებოდა, ულღვებოდა და მოზღვავებულ სითხედ ქცეული ყელს ეგუბებოდა.

– მეც ვაღმერთებ ამ პერსონაჟს. ძლიერი ქალია ტოსკა და იბრძვის სიყვარულისათვის. თითქოს ყველაფერზე წამსვლელია, მაგრამ საკუთარი ღირსება სკარპიასგან მოთხოვნილი ურცხვი გარიგებისაგან თავად სკარპიას სისხლით დაიცვა. ოოო, რა სულის სიძლიერე, სიჯიუტე და ქედმაღლობაა ამ ერთი შეხედვით თითქოს ქარაფშუტა, გულუბრყვილო და ეჭვიანობით გათანგულ არსებაში, – ფრაუ შ.-ს თითები მსუბუქად უთრთოდა და მოკუშული ტუჩებიდან შემოდგომის წვიმასავით სცრიდა მკვეთრად გამოთქმული სიტყვები.

პალატის კარზე დააკაკუნეს და თეთრჩაჩიანმა ექთანმა თავი შემოყო.

– რამაზ, აიღე სისხლი მე-12 პალატაში?

– არა, კმმმმ, ვალტერს უნდა ვთხოვო, სცადოს, მაგრამ ჯერ ბევრი სითხე უნდა დალიოს პაციენტმა, – ბორძიკით ჩაი-უცხო-ენავა თეთრხალათიანმა მომავალმა ექიმმა. ექთანმა ირონიულად გაიღიმა და კარი გაიხურა. რამაზი სწრაფად დასწვდა სინჯარებითა და ნემსებით სავსე სინს და წამოდგა.

– ფრაუ შ., ჩემი წასვლის დროა. ძალიან გამიხარდა თქვენი გაცნობა და თქვენთან საუბარი.

– ხვალაც იქნებით განყოფილებაში?

– მე აქ ვარ ყოველ დღე, დილიდან საღამომდე,

– ფარული ნაღველი მოისმოდა უცხოელის ხმაში.

– მე მოვითხოვ, რომ მხოლოდ თქვენ ამიღოთ ხოლმე სისხლი. საკმარისია, რაც ამდენი მაწვალეს,

– ბავშვური სიჯიუტე და დაჟინება ჟღერდა ადგილობრივი მკვიდრის ხმაში.

რამაზს იმ ღამით უცნაური სიზმარი ესიზმრა. ვითომ მიუნხენის ოპერაში იჯდა და ისმენდა ოპერა „ტოსკას“. მარია კალასი მღეროდა. მღეროდა? კი არ მღეროდა, სცენაზე ცხოვრობდა. კალასი? სადა იყო კალასი – ტოსკა, ტოსკად ქცეული მარია დააბიჯებდა სცენაზე. იჯდა რამაზი დარბაზში და ციებ-ციხელებიანივით ელოდა სკარპიას სიკვდილის სცენას. იღრიალა ტოსკას ხანჯლის წვერზე გულით წამოგებულმა სკარპიამ. იხუვლა სისხლმა. ვერ შეუსრულდა წადილი ტირანს. ვერ დაეუფლა სანატრელ ქალს. ძრწოლვით დახედა ტოსკამ თავის წითლად შეფერილ თითებს, ასწია სინანულნარევი სახე და თაფლისფერი, უფრო კი მუქი ქარვისფერი თვალები შეანათა რამაზს. წამებში დაუნაოჭდა სახე და სქელ, პედანტურ ნაწნავში ჩაეხლართა თხემზე გადაჭიმული წაბლისფერი თმები. ამის შემხედვარე პირკატანაცემმა რამაზმა შეჰყვირა და ოფლში გაწურულს გამოეღვიძა კიდევ.

საავადმყოფოში მიეჩქარებოდა მეორე დილას. რა ხანია ასეთი ხალისით არ წამომხტარა ლოგინიდან და არ დაუბანია ხელ-პირი. ავტობუსის მძღოლისადმი მიძღვნილი თავისი აქცენტისანი „Grüß Gott“-იც კი ესიყვარულა და მოუთმენლად დაელოდა თავის გაჩერებას. სამი თვის მანძილზე ვერც ერთხელ სძლია საკუთარ თავს და ვერ მივიდა პუნქტუალურად კლინიკაში. როგორც წესი, მინიმუმ 10 წუთი უნდა დაეგვიანა. ქართველი იყო. ახლა კი ზუსტად 7 საათსა და 30 წუთზე თეთრხალათგადაცმული სინჯარებითა და ნემსებით დახუნძლული სინით მე-13 პალატის კართან იდგა და აკაკუნებდა.

ფრაუ შ. ჩვეულებისამებრ საწოლზე წამომჯდარიყო. სახე უღიმოდა. ცისფერი სამოსი კიდევ უფრო გამჭვირვალეს წარმოაჩენდა ისედაც ავადმყოფურად გამხდარ ქალს. მუხლებზე დაფენილი სისხლისფერი თავსაბურავი მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა პაციენტის სიფრიფანა ქალღღვივით გაფერმკრთალებულ სახესთან.

ფრაუ შ.-მ ღიმილით გაუწოდა მთრთოლვარე ხელი რამაზს და თვალთ ახლოს მდგარ სკამზე მიანიშნა.

– გუშინ სიზმარში გნახეთ, ფრაუ შ., – მორიდებით წარმოთქვა სკამზე ჩამომჯდარმა რამაზმა.

ქალს სახეზე გაკვირვება აღებეჭდა და კითხვის ნიშნით მიაჩერდა თეთრხალათიანს.

– ტოსკა იყავით. უსათუოდ ჩვენი საუბარი ჩამყვა ძილში.

ქალს ტუჩები ჰქონდა მტკიცედ მოკუმული. პალატის მაგიდაზე მარაოსავით გაშლილი მარჯვენა მტევნის თლილი თითები ნერვულად უთრთოდა და ჩამქრალი მეგრდი სწრაფად ასდი-ჩამოსდიოდა.

– მე არ მაქვს ტოსკას არც გამბედაობა და არც მისებრი სულის სიმტკიცე, რამაზ ექიმო. მე ერთი ჩვეულებრივი, სუსტი ქალი ვარ, – თაფლისფერი თვალები მაგიდას დაშტერებოდნენ და მომავალ ექიმს უფრთხოდნენ.

– ძალიან იდუმალი იყო თქვენი ტოსკა, ფრაუ შ. გამომეღვიძა, თორემ რა ინტერესით გიხილავდით, თუ როგორ გაუსხლტებოდით ჯარისკაცებს ხელიდან და შეაღწევდით ციხეში კავარადოსის შესახვედრად.

– ჯარისკაცები აღარ ახსენოთ, – შეჰკვივლა ფრაუ შ.-მ, შემდეგ შეეცადა თავის ხელში აყვანას და ბორძიკით დაამატა, – და აღარც ტოსკა.

გაკვირვებით შესცქეროდა რამაზი ქალს, რომელიც დარბაისლური მედიდურობიდან ეგზისტენციალურ შიშამდე დაპატარავებულიყო და ციციქნა ლოკოკინასავით უსუსურად შეეუფულიყო თავის ნიჟარაში. გავიდა უსასრულობის ერთი,ორი,სამი,ოთხი,ხუთი წუთი. უმძრახად ისხდნენ ორნი ერთმანეთის პირისპირ ოთხ კედელს მიღმა მიუნხენის კლინიკის ერთ ჩვეულებრივ პალატაში და ეჩვენებოდით, რომ დრო შეჩერდა. მდუმარება ისევ ფრაუ შ.-მ დაარღვია. ხმას დიდი ძალისხმევით იმორჩილებდა. თვალებით მაგიდას დაყრდნობოდა.

– ცუდი დრო იყო, შავბნელი. ერთადერთ სიზარულს ბავშვად ყოფნის სილაღე თუ გვაგრძობინებდა მაშინდელი სკოლის ასაკის თაობას. შიმშილის, შიშისა და გადაშენების სუნი ტრიალებდა ტყვიების ზუზუნით გაჯერებულ,დამძიმებულ ჰაერში. სასტიკი რეჟიმი სულს ღაფავდა. აგონიის წელიწადი იღვა, 1945. ლოგინებში შეგყუყულიყავით მე და ჩემი და, ის ჩვენი ლოგინის პირველ სართულზე იწვა, მე კი – მეორეზე. ბნელოდა. თითს თვალთან ვერ მიიტანდით. არ შეიძლებოდა სანთლის ანთებაც კი. დაბომბვის გვეშინოდა. გვეშინოდა. საჭმელზე ვლაპარაკობდით და ვიხსენებდით სხვადასხვა ბავშვურ ანცობას. დაგვიანებული პასუხების მოლოდინში მივხვდი, რომ ჩემს დას ჩასძინებოდა. უეცრად კარი უხმოდ გაიღო. სიბნელეს ორი სილუეტი გამოეთავისუფლა. ქურდებით მოცურავდნენ სიბნელეში და ასე მეგონა, ჩვენკენ მომავალ ორთავა სიკვდილს ვუყურებდი თვალებში. მინდოდა მეყვირა, მაგრამ შიშისაგან გაყინული სახმო იოგები ადგილიდან არ იძვროდნენ და მეც დამბლადაცემული კურდღლის მსგავსად

შეგყურებდი ჩვენკენ მოსრიალე ორთავა გველს. სილუეტებმა რუსულად გადაულაპარაკეს ერთმანეთს. ჯარისკაცები იყვნენ. გონს მაშინდა მოვგე, როდესაც ჩემი დის მოგუდული, პირზე ხელაფარებული ხავილი გავიგე. ლოგინიდან მინდოდა წამოვარდნა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მეორე სილუეტი მსწრაფლ ამოსრიალდა კიბეებით ჩემს საწოლზე და პირზე თავისი ჯარისკაცური,დაკოჟირილი ხელისგული ამაფარა. ასე მეგონა, გულ-ღვიძლს მაცლიდნენ სისხლმდინარე სხეულიდან. სიკვდილის მაცნე ქორივით შემოსკდომოდა ჩემს ბავშვურ სხეულს მსახვრალი ავაზაკი და შეუბრალებლად კორტნიდა. მეზიზღებოდა სულითა და ხორციტ ბინძური მტაცებელი. განსაკუთრებით კი ჩემი თავი მეზიზღებოდა. მას შემდეგ მძულს მამაკაცი თვალის დასანახად. პანიკური შიში ამიტანს ხოლმე კაცის ყოველ უნებლიე შეხებაზეც კი და გესლით ვივსები. განსაკუთრებით კი ჯარისკაცები მეზიზღება. ჩემი ქმარი ალბათ ერთადერთი მამაკაცი იყო, ვისაც ამის გაგებით ატანა და გაძლება შეეძლო. დედობამ შემომპარუნა სიკეთისაკენ. ჩემი ვაჟია ერთადერთი კაცი, რომელსაც შემიძლია დაუსრულებლივ ვუცქირო და არ მახსენდებოდეს მამაკაცის მტაცებლური, მტარვალი ბუნება.

ფრაუ შ.-ს პალატის მაგიდაზე მარაოსავით გაშლილი მარჯვენა მტევნის თლილი თითები ისე უთრთოდა, რომ ეს რითმული ჩქამი ფანჯრის რაფაზე მსუბუქად მოკაკუნე წვიმა გეგონებოდათ. თაფლისფერი თვალები იატაკს დაყრდნობოდნენ, დანაოჭებული შუბლის კიდეებში კი გამოდარების ციაგი თრთოდა.

– არაფრის თქმა საჭირო არ არის,რამაზ ექიმო. დღეს არ შემიძლია სისხლის გაცემა. ხვალისათვის გადავდოთ, – ფრაუ შ.-მ დათრგუნულ, დაპატარავებულ,ოფლში გაწურულ ახალგაზრდას თავისი მარმარილოსავით გლუვი და სიფრიფანა ფოთოლივით მთრთოლვარე ხელი გაუწოდა და თბილად გაუღიმა. გამოიდარა.

უკონტექსტო სიზმრებს ნახულობდა ალექსი რამაზი იმ დამით. ტრიალ, გვამებით ჩახერვილ მინდორზე იყო. ხელის ფათურით მიიკვლევდა გზას ნაბიჯარეული და შიშველ ფეხებზე გაყინული გვამების ყოველ შეხებაზე სულსა და გულში სცრიდა. ხავილი შემოესმა. მკვეთრად შემოტრიალდა და რას ხედავს – შავებში ჩაცმული ტოსკა და სკარპია შებმიან ერთმანეთს სიკვდილის ანგელოზებივით. შავი სხეულები ისე გადახლართვია ერთმანეთს, რომ რამაზს ეჩვენება,თითქოს ერთი ვეება,მბორგავი, ორთავა სხეული ტორტმანებდეს გვამების გროვაზე ამ კუნაპეტ დამეში და სულთმობრძავი სიკვდილის ცეკვას როკავდეს. წაიქცა ორთავა სხეული. ზემოდან მოექცა მტარვალი სკარპია ტოსკას და როგორც

პრომეთეს არწივმა, გულს დაუწყო კორტნა. უკან გადმოუდია თავი სისხლისაგან დაცლილ ტოსკას. იხილა რამაზმა აგონიაში მყოფი თაფლისფერი თვალები, უსიცოცხლო, დანაოჭებული, სიფრიფანა ქალღმერთით ფერმკრთალი სახე და გამოედვიდა კიდეც.

ძლივს წამოდგა მეორე დილას. ასე ეგონა, რომ თავად ჰქონდა არა ერთი, არამედ ათასი თავი და ეს თავები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ თავწაკვეთილი, მოფართხალე გველებივით. საფეთქლები ასკდებოდა. არ მიეჩქარებოდა საავადმყოფოში. ძალით მიათრევდა სხეულს. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, თავსაც არ გამოყოფდა საბნიდან. ხელი ეკვეთებოდა მე-13 პალატის კარზე დასაკაკუნებლად. არადა საჭირო იყო სისხლის აღება. და რომც არ ყოფილიყო საჭირო...

ოთახი ცარიელი დახვდა. გველნაკბენივით მივარდა ექთანს. ინტენსიურ განყოფილებაში გადაეყვანათ ფრაუ შ. იმ ღამით. მსწრაფლ ჩაირბინა კიბეები და ყელში გულმიბჯენილმა ინტენსიური პალატის ექიმს თვალი თვალში გაუყარა.

– ფრაუ შ. ამ დილას გარდაიცვალა გულის მწვავე უკმარისობით, – უცხო სამყაროდან მონაქროლ მსუსხავ ქარს მიაგავდა გერმანელი ექიმის მიერ უცხო ენაზე წარმოთქმული სიტყვები.

თავი ბალიშში ჩაერგო რამაზს და ფიქრობდა. ტვინი უხურდა. უკვე ერთი კვირა იყო კლინიკაში არ დადიოდა. ციებ-ცხელებიანივით კანკალებდა ყოველ ღამით და ცივი ოფლით გახვითქულ საწოლში მწოლიარე ფიქრობდა. ზარმა გამოაფხიზლა. ფოსტალიონი იყო. ამანათი მოეტანა. არ ეცნო გაკრული ხელით კონვერტზე წარწერილი საკუთარი სახელი და გვარი. ორი ფირფიტა გადმოცურდა ამანათიდან. ფირფიტების ყდიდან ამყად იმზირებოდა მარია კალასი. კალასი? ტოსკა, ტოსკად ქცეული მარია. მთრთოლვარე თითებში ჩაბლაუჭებულმა ბარათმა კი ამცნო შემდეგი:

„მე ფრაუ შ.-ს ვაჟი გახლავართ. დედის გარდაცვალების შემდეგ წერილი ვიპოვე მისი პალატის მაგიდის უჯრაში. მთხოვდა, „ტოსკას“ ეს ჩანაწერი გადმომეცა თქვენთვის. ძალიან უყვარდა დედას მუსიკა, განსაკუთრებით კი „ტოსკა“. უნივერსიტეტში მოვიძიე თქვენი მისამართი, რათა დედას უკანასკნელი ნება აღმესრულებინა. მიიღეთ ეს მცირედი საჩუქარი სახსოვრად და ილოცეთ დედას სულის გადასარჩენად. პატივისცემით, ...“

ერთი ლექსი

ანკეტა

მე ვარ მზე ამოუსვლელი და ჩაუსვლელი
მე ვარ ჯეჯილი გაუხარელი
მე ვარ ორივე – ვარდიც და ნეზვიც
რომელსაც მზე ერთნაირად არ ეფინების
მე ვარ ორივე – ძუცა და ხვადიც
რომელიც არასოდეს იქნება სწორი
მე ვარ საწყისი და ვარ ბოლო
ადამიცა ვარ – ევაც
მუჰამედის ვარ ულვაში
და ქრისტეს კვართი
მე ვარ კოსმოსი
ხახამშრალი დედამიწა ვარ
პირდაღებული უფსკრული
შიგ ჩაღვრილი ნიაგარით
წაგებული ომის ამორძალი ვარ
უსახელო კუნძულზე ჩასახული
არარსებულ ნიჟარაში
მკედარი ზღვის ქაფიდან
ამოსული აფროდიტა
მე ვარ წყალი, რომელიც
წავა-წამოვა და
ვარ ქვიშა რომელიც ასევე
წავა-წამოვა მაგრამ
ვერსად დარჩება
რადგან პლანეტა აღარ არის
მწვანე და მრგვალი
არც კვადრატია
არც სამკუთხედი
არც ტრაპეცია
არც...
და
ვერც...
რადგან
არც მიწა ვარ
რომ მიწად ვიქცე.

მანანა ღუმბაძე



ლენინი გულრიფში

აგვისტოს პაპანაქება სიცხეში, დილაადრიანად სოხუმიდან მამაჩემის დედაშვილი კოკა ღვინჯილია დაგვაცხრა, გრიშა ბიძია სასაწრაფოდ გურამს იბარებსო.

– რა ხდება, ხომ მშვილობაა? – იკითხა მამაჩემმა.

– გუშინ კინალამ მოკვდა გრიშა ბიძია, მთელი ღამე თავზე ვადექით, გვოხვოვა, გულრიფშიდან ნოდარი ჩამომიყვანეთო.

– რატომო?

– ამბობდა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა დაუტოვოო, – თქვა კოკამ

– მაინც რაო?

– არ ამბობს, ძალიან მნიშვნელოვანიაო.

– ვა... გრიშა ბიძიამ კაცო? – წუხდა მამაჩემი.

გრიშა ბიძიას მეც მოვესწარი. სიტყვა არასდროს გამიგია მისგან. ბავშვის აღქმით, ერთი უფშური, კობეშეკრული კაცი იყო და სულ არ გავდა თავის მხიარულ ცოლს, მამაჩემის „წიოწია ტამარას“ (დეიდა თამარას), თავისი იუმორითა და სოხუშური „სცეცკი“ ისტორიებით. დედასავით მხიარული იყო მათი ქალიშვილი ნელიც, გრიშა ბიძია კი სულ მდუმარედ დაიარებოდა მათ შორის, ან სავარძელში იჯდა და „კომუნისტს“ კითხულობდა. პენსიამდე მგონი სოხუმის პორტის მთავარი ფინანსისტი იყო, მგზნებარე კომუნისტი და მარქსისტი. ნათესავი კაცებიდან რეპრესიებს მართო ევ გადაურჩა და ამიტომ ობლად დარჩენილი ცოლისდიშვილების მთელი არმია მისი სარჩენ-საპატრონო გახდა. ათი წლის

განმავლობაში, ვიდრე ბავშვები არ წამოიზარდნენ და ცოლების ნაწილი გადასახლებიდან არ დაბრუნდა, დეიდა თამარა და გრიშა ბიძია შეძლებისდაგვარად ეზიდებოდნენ ამ ჭაპანს... მოკლედ, კეთილი კაცი ყოფილა გრიშა ბიძია, სულ ტყუილად არ მომწონდა ბავშობაში.

მამამ სასწრაფოდ მანქანა დაქოქა და კოკასთან ერთად სოხუმში წავიდა. სახლში გვიან ღამით დაბრუნდნენ. მანქანიდან თეთრ ტოლოში გახვეული რაღაც მძიმე ნივთი გადმოათრიეს და გაუხსნელად აიტანეს სახლში. ჩვენ უკან მივყევით. მამამ ის რაღაც გახვეული თავის კაბინეტში შეიტანა და შუა ოთახში დადგა. მერე თეთრი ტილო შემოხსნა ზუსტად ისე, ქანდაკებებს რომ ხსნიან ხოლმე საზეიმოდ. ჩვენ წინ პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ლენინის ბრინჯაოს ქანდაკება იდგა. ჩვენ გაცოცხლები შევცქეროდით ბიუსტს, მერე მამას, მერე კოკას, მერე ისევ ბიუსტს.

– რა ერის ეს? – იკითხა ბოლოს დედაჩემმა.

– დიდი ბელადი! – იყო პასუხი

– მაგას ვხედავ, საიდან მოვიდა?

– გრიშა ბიძიას ანდერძიდან, – სხაპასუხებით უპასუხა მამამ.

– ნეტავ, რა ნიშნით? – იკითხა დედამ.

– დეპუტატობამ უშველა, თორემ ისე ვინ აღირსებდა, – ასევე დაუფიქრებლად უპასუხა კოკამ, – იმედია, სანდო ხელში ვტოვებო, თან დააყოლა.

– ახლა როგორაა? – ჩაეკითხა დედა.

– რა უჭირს, როგორც იქნა, დაუგდეს წნევა, ლენინიც დააბინავა და რაღა მოკლავს ახლა, – უპასუხა კოკამ.

– აქ ხომ არ იდგება, რა ვუყოთ ახლა ამას, – აფორიაქდა დედაჩემი, – სად წავილო?

– წითელი კუთხე გახსენით და წერეთლებთან რომ სუსლოვის შვილიშვილი ისვენებს, ის მოიყვანეთ ყოველდღე პატაკის ჩასაბარებლად, – დაუკრეფავში გაუტია კოკამ.

– არა, მართლა სად წავილო? – სასოწარკვეთით იკითხა მამაჩემმა.

– გზაში ვერ გადაადგე? – შეუტია დედაჩემმა.

– სად გადამეგლო ქალო, ლენინია ბოლოს და ბოლოს.

– ტროცკისტის შვილი შენა ხარ და მე, დამსახურებული კომუნისტების შვილს მეკითხები, ლენინს რა ვუყო? – არ უთმობდა დედაჩემი.

– ნავით გავიყვანოთ ზღვაში და პატივით ჩავძიროთ, – წაიჩურჩულა კოკამ.

– გენიოსი ხარ! – შევკვირეთ ერთხმად.

– გვიან ღამე გავიტან ნავით და ზღვაში ჩავძირავ, – გადაწყვიტა მამამ.

უმთვარეო ღამეს, უკუნეთ სიბნელეში მამამ და კოკამ გარაჟიდან ნავი გამოიყვანეს, შიგ ლენინი

ჩაასვენეს და ზღვაში გავიდნენ. სახლში ბელადის ბიუსტის გარეშე დაბრუნდნენ. კოკამ დაიფიცა, რომ ამ შავბნელი აქტის შესახებ სიტყვა არსად დასცდებოდა, განსაკუთრებით, გრიშა ბიძიასთან. ასეც მოიქცა გრიშა ბიძიასთან მიმართებით, თუმცა „ჭორმა“ მაინც გაჟონა პორტში და ძველი სოხუმელები ერთხანს დილის ყავასთან ერთად გულიანად ხალისობდნენ შავ ზღვაში დაძირულ ლენინზე, რას წარმოიდგენდნენ, თუ ამ ამბავს კიდევ უფრო სასაცილო გაგრძელება ექნებოდა.

გულრიფშის ის ზაფხული რაღაც ძალიან სიმბოლურ-რევოლუციური გამოდგა. ზღვას დაწყნარება არ ეღირსა, შტორმს შტორმი მოსდევდა. ბოტები და ლაბადები ვეღარ გავიხადეთ, ბუხარი დღე და ღამე გიზგიზებდა. ჩვენი სახლში ტურბაზად იქცა. სასოწარკვეთილი ახლობელი და შორეული დამსვენებლები წვიმას თავს ჩვენთან აფარებდნენ, ბუხართან თბებოდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. მამაჩემს თითქმის გადაურა დიდი ბელადისადმი ჩადენილი ცოდვით გამოწვეულმა სინდისის ქენჯნამ და საღამოობით, სტუმრებს ათასსა და ერთ ზღაპარს მშვიდად უამბობდა. მოკლედ, სახლში ჩვეულებრივი, გულრიფშული იდილია სუფევდა. რა ვიცოდი, ამ იდილიის ფინალი თავის დინამიკითა და სიმძაფრით ფანტასტიკის ჟანრსაც თუ გადააჭარბებდა. შუაღამეს მთელი ოჯახი ეზოს ჭიშკარზე ბრახუნმა გაგვაღვიძა. გარეთ კოკისპირულად წვიმდა. ყველა ფანჯრიდან თავები გამოვყავით. მამაჩემმა რომელი ხარო დაიძახა. პასუხად ისევ ჭიშკრიდან ბრახუნი გაისმა.

– ეტყობა ისევ ლოდი მოათრია და ჭიშკარზე ახათქუნებს, – თქვა მამაჩემმა.

– ვინ? – ვკითხე უაზროდ.

– ზღვამ, წავალ ვნახავ, – მამამ თავზე ლაბადა გადაიფარა და გარეთ გავიდა. ჩვენ ფანჯრიდან ვუყურებდით. ჭიშკართან ხმაური შეწყდა. მამაჩემი ბილიკზე რაღაცას მოახრივინებდა.

– ეს რა არის! – უცებ შეჰყვირა დედაჩემმა, – ისევ ის?

– ისევ ის და ისევ ის, – წაიმღერა მამაჩემმა და შუა ეზოში სახლის წინ ლენინის ბიუსტი დადგა. – დაბრუნდა, დიდი ბელადი დაბრუნდა, ის არ წასულა, ის მარად ჩვენთანაა!

– აქ ხომ არ უპირებ დადგმას? – ვკითხე და სიცილი წამსკდა.

– მორჩით ტლიკინს და სინათლეები ჩააქრეთ, –

გვიბრძანა მამამ.

იმ ღამეს ლენინმა ჩვენს ეზოში გაათენა. დილას მამამ კაბინეტში აიჭანა და რომელი სუდარიოაც სოხუმიდან ჩამოაბრძანა, იმავე სუდარაში გაახვია. მეზობლებს ლენინის არც წაბრძანება და არც დაბრუნება არ დაუნახავთ. თუმცა შუაღამეს ჩვენს ჭიშკარზე ბრახუნი ყველამ გაიგო. მამაჩემმა ეს ზღვიდან ერთ დროს მოგორებულ ლოდს დააბრალა. დაწყნარდა თუ არა ზღვა, მამამ სოხუმიდან კოკა გამოიძახა. კოკას გაკვირვებაზე აღარ შეგშერდები, თავად წარმოიდგინეთ... მათ სუდარაში გახვეული ლენინი ისევ ნავით გაიჭანეს ზღვაში და კიდევ უფრო შორს ჩაძირეს. გრძელი ამბავი რომ მოკლედ მოვჭრა, პირველივე შტორმიდან ღამეს ლენინი ისევ შტურმით მოადგა ჩვენი „ზამთრის სასახლის“ ჭიშკარს. ისევ გავიდა მამაჩემი კოკისპირულ წვიმაში გარეთ და ისევ შემოათრია ლენინი ეზოში.

ამჯერად ლენინის დანახვაზე ხმა არ ამოვივლია. ისევ ჩავაქრეთ სინათლეები და ვითომ არაფერიო, დავიძინეთ. პირადად მე, გამოგიტყდებით, კიდევ შემრცხვა, ასე უპატევცემულოდ, „ვანდალურად“ კი, რომ მოვექეცით მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს. მამაჩემმა ბიუსტი კაბინეტში დააბრუნა და წიგნების კარადასა და კედელს შორის მიუჩინა ადგილი. იმის მერე იქიდან აღარ დაუბრავს. და იდგა ასე კომუნისმისა და ჩვენი ნათელი მომავლისკენ ხელგამწერილი ვლადიმერ ლენინი. ბოლოს იგი ჩვენი საზაფხულო რეზიდენციის ერთგვარ ღირსშესანიშნაობადაც კი იქცა. მიმსვლელ-მომსვლელი, ყველა თითო მოსწრებული ფრაზით ავად თუ კარგად ამკობდა ხოლმე მის უკვდავ სახელს. მაშინ ნამდვილად არ წარმომედგინა, რა კვალი უნდა დაეტოვებინა ბელადის გულრიფშულ ეპოპეას ჩვენი ოჯახის ცხოვრებაზე, სამაგიეროდ, ზუსტად ვიცოდი, რომ მისი შეუპოვრობით კომუნისტმა გრიშა სიხარულითემ სამუდამო და მშვიდი განსასვენებელი დაიმკვიდრა საიქიოში.

და მიუხედევად ამისა, ფინალამდე ჯერ კიდევ შორს იყო. გავიდა წლები და ერთ ზამთარს გულრიფშიდან შეგვატყობინეს, თქვენი აგარაკი პირწმინდად გაიქურდაო. დიახ, პირწმინდად – ლენინიანად. მაგაზე უკეთესი არაფერი შესვლიათ ოჯახშიო – წყევლიდა ქურდებს დედაჩემი. მეზობელი ავთო გვაზავა კი წუხდა, ის ბიუსტი ან უკვე გადაადნეს, ან პირდაპირ თურქეთში უკრეს თავიო.

სანომე ბობოლაძე



მგლის ცოლის ჩანაწერები

სავსე მთვარობისას თხოთის მთის უბეში დავიბადე. მამაჩემი, დედა, განთქმული იყო თავისი სიმარდიტა და ვაჟკაცობით. ჩემი ყმაწვილქალობა იქ გავატარე, თხოთის ულამაზეს ხევებში. დედაჩემს ათაშა ერქვა. მისნობა იცოდა დედამ, მისი სახელი მთელ სათხოთეთში გავარდნილიყო. სიზმარს გაკაფული ბალახით დააწყოდა, დაალაგებდა, დედა ნუსხაში განბანდა და თვალნათლივ ხედავდა, თუ რა მოელოდა მასა და მის ხროვას.

მამაჩემს, დედას დიდი სიყვარულით უყვარდა დედა. თავფარავნობას გაუცვნიდა ათაშა. წყაროს თავში მთვარის ნალს ულოცავდნენ თურმე მგლის ქალები. ბედის სახელს უთქვამდნენ ჩანჩქერის კამკამა ფსკერზე ოქროსავით მოკაშკაშე მნათობს. იმ დამეს მხოლოდ ლანდი დაუნახავს ქალს, რომელიც შავი ლამის ნაბიდან უცაბედად გადმოხტარა და მოელვარე თვალებით შესჯახებია. მას მერე საუკუნე გავიდა და ჯერაც არ გახუნებულა მათი სიყვარული. ხუთი შვილი გაუჩნდა დედას, მე ნაბოლარა ვიყავ და განსაკუთრებით უყვარდი მშობლებს.

ლატეერის წმინდა საბრძანისში ვარსკვლავთა აალებების დამეს ათევედნენ ჩემი ბიძაშვილები. ციდან ვარკვლავთა ცვენას ელოდნენ. უკანასკნელი ნადირობის შესაწირავი მოეჭანათ ძღვნად. ყელგამოლადრული იდო ქვის სალოცავთან ახლად დაბადებული თეთრი ბატკანი. სისხლის სუნი მადას უძლიერებდა ნადირთ და კბილის კაწკაწით უყურებდნენ მას, მაგრამ ვინ გაბედავდა მიკარებას. ცაზე ფერდსავსე მთვარე გამოჩნდა და მალლა მთაზე თეთრი მოზვერვით აიზღაზნა. მანამდე უცქერდნენ ჩემი დაყუნცული

მოძმენი მთვარეს, სანამ სადღეოფლო ტახტრეკანზე არ დაბრძანდა და ვერცხლის ზანზალაკები არ აწკრილდნენ ცაში. თითქოს მისი ასვლა იყო ნიშანი და დაიწყეს კიდეც ყმული. გადაღმა მთებს გადასწვდა მათი ხმა. იქიდან კი სხვა აულის მგლები გაეპასუხნენ და ერთმანეთს მიულოცეს ახალი წლის შემობრძანება. იჯდა მამაჩემი მალლა კლდის ქიმზე და თათებდაწყობილი, თავაწყული, ამაყი მხერით უთვალთვალებდა თავის სამფლობელოს. ციდან პირველი თოვლის ფანტელები პირველ ვარსკვლავთან ერთად დაეცა მიწას, უწლო ბატკნის თივთიკივით უმწიკვლო იყო თოვლი. დიდხანს და ხმაშეწყობით ყმოდნენ მგლები, სანამ განთიადის პირველმა სხივმა მტრედისფრად არ შეღება ცის კაბალონი.

მიწიდან აზიდულიყო თხოთის მთა, უტყვი და მრავლისმთქმელი, როგორც მდუმარებაში გადასული საუკუნის მოწმე.

დედაჩემს საღვთო სიზმარი ენახა იმ დამეს. არც კი იცოდა, რომ მუცლად მე ვყავდი და სულეთიდან ცხრა პირეთს ყურს ვუგდებდი. როცა დავიბადე, ისეთი სუსტი ვყოფილვარ არავის ეგონა, რომ ვიცოცხლებდი. ბერდიას ფარიდან მოპარული კოჭლი თხის რძით მზრდიდნენ მგლები. წვეთ-წვეთად მასხამდნენ შავი თხის რძეს ლაშებზე. მალე ისე მოემჯობინდი, თურმე მზის გულზე მინდვრად ჩემს ბიძაშვილებსაც კი ვეთამაშებოდი.

ჩემი სახელი, ლეა თვალთა სილამაზის გამო დამარქვეს. საოცარი, ცისფერი თვალები დამყვა და ამიტომ დედაჩემმა დიდი ბელადის დედოფლობა მიწინასწარმეტყველა. ბედის მისნობა დედაჩემისგან მეც მერგო წილად. ღამღამობით თვალღიას მეძინა, არეული კვამლივით ბორიალობდნენ ჩემს სიზმრებში მოცეკვავე ლანდები. ის ერთი, განსაკუთრებით დიდი და სხარტი გამოყო ხროვას და ჩემ წინ გაჩნდა. შეეკრთი და უცნაურად შეეკვივლე ძილში. მას მერე ფიქრებში წასული იმ სიზმრისეულ მგელზე ვფიქრობდი, უფრო გუმანით ვგრძნობდი მის არსებობას, მასთან მსგავსებას. რა იყო ეს!.. რა ძალა, ვერ მივხვდი.

მთვარეს გაშტერებით ვუყურებდი საათობით, ფოთოლთა შრიალი და სიოს სისინი სადღაც მიმაფრენდა ამ მთების იქით. ერთ დღეს, ასე გარინდებული რომ ვიჯექი ბექობზე, ძალიან მკაფიოდ გავიგონე ახალგაზრდა მგლის შეემუველება, თითქოს მთვარემაც გაიმეორა ეს ხმა, აისხლიტა ექო და ჩემკენ გადმოისროლა ქამანდივით. მეც უნებურად ბანი მივეცი მას და ერთ ადგილზე გავხევი მოულოდნელობისაგან თუ სიხარულისაგან. მილიონი წელი რომ გასულიყო, იმ ხმას ათას ხმაში გამოვარჩევდი, ის დამე არასოდეს დამავიწყდებოდა. გული უცნაური

თრთოლვით მიცემდა. — „ის მოვა, ის, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიდეს“ — ვაიმედები ჩემს თავს. და აი, მოვიდა კიდევ. — ისე უცნაურად მოხდა ყველაფერი, ბედისწერა იყო, აბა, სხვა რა დავარქვა?!...

ლამაზი ვიყავი, ყველას ჩემზე ფიქრი შეეწოდა. ყველა ჩემს ცოლობაზე ოცნებობდა. მამაჩემმა დუთამ ამომირჩია საქმრო. ჩვენი აულიდან იყო მორდე. სახელგანთქმული, ბრძოლებში გამოწრთენილი მამაჩემის მარჯვენა ხელი და ერთგული მეომარი. მე, რა მეთქმოდა!.. ოცნება გულში ჩავიკალი, ბოლოს და ბოლოს ოცნება იყო და მეტი არაფერი!.. ვიფიქრე, ალბათ ესეც სიზმარი იყო-მეთქი!.. ერთი ვიცოდი, რომ მორდე არასოდეს მეყვარებოდა. რაღაც სხვა მჭამდა, სხვა და ამოუცნობი, რომელსაც ვერავის და ვერაფერს ვერ გაგუმხელდი. აბა, რა მეთქვა, რაც არ ყოფილა არასოდეს!...

დათქვეს კიდევ ჩვენი ნიშნობის დღე. დიდი ქარაფის ძირში შეიკრიბნენ თანამომხენი. საგანგებოდ მომრთეს და მომკაზმეს. თავზე ველის შროშანთა გვირგვინი მედგა, ბეწვი ვერცხლისფრად მიბზინავდა, ბრჭყალები ალესილ ხმაღს მიმიგავდა. ამაყად წარვდექი მგლების წინაშე. მე ბელადის ქალიშვილი ვიყავი და არავის უნდა შეემჩნია თვალებში ჩაბუდებული ფარული სევდა. გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა, თავრეტი მეხვეოდა. და აი, დადგა ჟამი ჩვენი დაწინდვისა. მამაჩემმა ნაბიჯი წინ წადგა და სიტყვა დაიწყო. როცა იმ ადგილას მივიდა, ჩვენი სახელები, რომ უნდა წარმოეთქვა და ნიშნობის ამბავი გამოეცხადებინა, რატომღაც თვალები დავხუჭე და მზის ბრდღვიალა დისკოს მივუშვირე სახე. თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ვიყავი და შეგუებული ვხვდებოდი ბედისწერას.

უცებ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, წრე გაირღვა და ყველა მათკენ მომავალ, წარმოსადევ მგელს მიაშტერდა. მეცნო და არც მეცნო იგი. ისინი კი მაშინვე მიხვდნენ, ვინც იყო. ყველასათვის სახელგანთქმული გოდე, რომელსაც ტოლს ვერავინ უდებდა ვერაფერში. მთელი სხეული დამეჭიმა ელდისაგან. გოდემ ნაბიჯი წინ წადგა და მამაჩემს სიტყვა შებედა.

— პირველ რიგში, სალამი მომიხსენებია ჩემი ძმებისათვის! — დაიწყო გოდემ.

მისი ხმა თითქოს სადღაც გამეგონა. ადგილზე გავხვედი. გულმა რეჩხი მიყო. ის არის, ის!.. გავიფიქრე გონებაში.

— რა ამბით მოხვედი, გოდე? — ხმაში სიბრაზე-გარეულმა ჰკითხა მამაჩემმა. დღეს ჩემი ქალიშვილის ნიშნობა გვაქვს, შენ კი სიტყვა გამაწყვეტინე, ეს რა წესია.

— დიდი ხანი არ გახლდით სოფლად, დიდო ბელადო, თორემ ეს საქმე აქამდე არ მივიდოდა.

საალაფოდ ვიყავ წასული. დღეს კი გავიგე, რომ ნიშნობა გქონიათ. სწორედ, ამის გამო გეახელით, ეს ნიშნობა არ უნდა შედგეს.

— რას ამბობ, ყმაწყვილო? — კბილები გააღრჭი-ალა მამაჩემმა.

— იმას ვამბობ, რომ ეს ქალი მე მეკუთვნის. ამ ქალს ჩემი ნიშანი დაბადებიდან დაჰყვა. შეხედეთ შუბლზე გამოსახულ ვარსკვლავს!.. მიანიშნა გოდემ ჩემს თანდაყოლილ ნიშანზე,

— ასეთივე ნიშანი მეც მაქვს! — თავი დახარა გოდემ და შუბლზე გამოსახული ვერცხლისფერი ანაბეჭდი უჩვენა დამსწრეთ. ჩვენ არასოდეს გვინახავს ერთმანეთი, მაგრამ ჩვენი გულები ცნობდნენ ერთმანეთს

— ეს ქალი ჩემი ბედია და აქ ბეჭედი დასმულია.

მამაჩემი დაიბნა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მაშინ დედაჩემმა ჩამოართვა სიტყვა, მიხვდა ყველაფერს, ან მას რა გამოეპარებოდა. ნაბიჯი გადმოდგა, ხელი წამავლო და გოდეს გვერდით დამაყენა.

— ნამდვილად უტყუარი ნიშანია, ხალხო!.. ეს ორი წყვილი ერთმანეთისთვის შეუქმნია განგებას. ჩვენ რა ხელი გვაქვს ღმერთის ნებასთან. — უთხრა მან მამაჩემს.

— ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ მამაჩემს სიტყვა ჰქონდა ნათქვამი და ბელადის სიტყვას ასე ადვილად ვერ გადავიდოდა.

— ჩემი არჩეულია მორდე, თუმცა, როგორც ჩანს, ვიჩქარე! მეც უბრალო მოკვდავი ვარ. ღმერთის ნება იყოს ყოველივე. უნდა იბრძოლოთ, გამარჯვებულს დარჩება ჩემი მშვენიერი ქალიშვილი ლეა. ეს იყოს ნიშანი ბედისწერისა. ახმაურდნენ მგელები, ყიჟინა და შეძახილები მორთეს.

— ქალს ასე არ გაგატანთ, უნდა იბრძოლოს გოდემ და მორდემ.

— იყოს ბრძოლა! — თქვა გოდემ და უკან დაიხია რამდენიმე ნაბიჯით.

მგლებმა წრე შეკრეს. გოდე და მორდე შუა გულში მოექცნენ. ერთმანეთს კბილები დაულრჭიალეს, თვალები ააელვარეს, ცეცხლი იფრქვეოდა თითქოს. მიწას პოტნიდნენ ფეხებით და ბრჭყალებით. მზად იყვნენ, ერთმანეთი გაეგლიჯათ, კბილებით ყელი გამოეღადრათ. მორდეს თავმოყვარეობა ჰქონდა შელახული, იმდენად ჩემი დაკარგვა არ აღარდებდა, რამდენადაც სახელი. ეს ბრძოლა არ უნდა დაეთმო, თორემ აბა, რაღა აზრი ექნებოდა მის სოცოცხლეს. არ ცხრებოდა მგლების ყიჟინა და შეძახილი. გოდე მართო იყო და არავინ ამხნევებდა, მხოლოდ მე მიცემდა გული იმგვარად, რომ მას ესმოდა ჩემი გულისცემა. გოდე და მორდე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ. დაუნდობლად კაწრავდნენ, ფხაჭნიდნენ ერთურთს.

ორივე ვაჟკაცი იყო, ძლიერი და შეუპოვარი. გოლე სხარტი იყო, მორღე უფრო ტლანჩი და მსხვილი ტანისა. გოლე სიმარდში ჯობნიდა. ხან ზემოდან მოექცეოდა მოწინააღმდეგეს, ხან ქვემოდან მოუდგებოდა. ასე ციბრუტივით ბზრიალებდნენ კარგა ხანს რეტლასხმულები. უცებ გოლემ დრო იხელთა და მოწინააღმდეგეს კბილებით სწვდა ყელში. ორივენი სისხლით შეიღებდნენ. რუხი მგლის ბუნდლით აივსო მინდორი. აშკარა იყო გოლეს გამარჯვება. მორღე იწვა ხმაგაკმენდილი და სიმწრისაგან დაღუმებული და ცალი ტორით კისრის გადახსნილი ძარღვები ეჭირა.

– საკმარისია, საკმარისი! – გააჩერა მოწინააღმდეგეები მამაჩემმა. რადგანაც მიხვდა, ეს კარგად არ დამთავრდებოდა. მერე კი გოლეს თავზე ხელი დაადო, ახლოს მიმიყვანა და გვერდით დამაყენა, დაბნეული და ბედნიერი.

– შენი ბედი ყოფილა ეს კაცი. დამილოცინხართ ორივენი, იხარეთ და იბედნიერეთ, გამრავლდით და ასახელეთ თქვენი მოდგმა!.. ჩემი შვილი შენნაირი ვაჟკაცის ღირსია. გიყვარდეთ ერთმანეთი უკუნითი უკუნისამდე, სანამ სიკვდილი არ დაგამორებთ! – დაგვლოცა მამაჩემმა.

– ამინ! – გაიმეორა მთელმა სამკლეთმა.

– ამინ! – გაიმეორეთ ჩვენც!...

– ამინ! – გაიმეორეს უზარმაზარმა მთებმაც.

ხმის ექო გადადმა მწვერვალებს გასცდა და ცაში აიტანა ჩემი და გოლეს სიყვარულისა და ნიშნობის ამბავი.

მას მერე წლები გავიდა. ჩემი გოლე სანაქებო ქმარი გამოდგა. სულში ვუძვრებოდით ერთმანეთს. ბელადი იყო ჩემი ქმარი. აულის წინამძღოლი და შეუპოვარი მეომარი. მე კი დედოფლობას ვიხდენდი თობრის ხეობაში. ჩემი ქმარი მგელია, დილას აბჯარასხმული მიდის და საღამოხანს სისხლიანი ლაშებით ბრუნდება. მოვა, წინ დამილაგებს ნანადირევს, როგორც ძვირფას ძღვენს. მე ვიცი, რა ძნელია, იყო მგელი და სათნოებას და დიდ სიყვარულს ატარებდე გულში. როცა ბრუნდება შუბლიდან თხმელის ფოთლებით ოფლს ვწმენდ და დაგლეჯილ ფეხებს სამყურისა და არჯაკელის ფესვებით ვუამებ.

გადაიარეს წლებმა, როგორც ცას შეფენილმა რუხმა ღრუბლებმა. სამოცი წელი ვიცხოვრეთ ერთად, სამოცი ზამთარ-ზაფხული. რამდენი ცხვარ-ძროხა, რამდენი ხარ-კამეში წამოაქცია ჩემმა გოლემ, არ მახსოვს. ბედნიერი ქალი დავებრდი, ბედნიერი და მაღლობელი ვარ ამისთვის, უფალო!... ერთ დღეს კი, როცა შემოდგომა დადგა ჩვენს სოფელში და ლაინ-

ისფერი ჩაიკვა მიწამ, მე და გოლე იმ ბედგამწყრალ მწვანეთვალემა კაცს შევეჩხეთ. გოლემ შეხედა თუ არა, გახედა ადგილზე. თითქოს რამე ავსულს გადაეყარა. კაცი სხვაც ბევრი მინახავს. კლდის წვერიდან ან ბუჩქნარიდან მრავალჯერ გვითვალთვალა ადამიანისათვის. უყურებდა გოლე და მკერდი უცნაურად უელავდა.

– ეს კაცი ჩემი მტერიცაა და მოყვარეცო! – თქვა ბოლოს. ლუკა ერქვა იმ კაცს, ახალი ჩამოსული იყო იმ ადგილებში, ეტყობოდა ვაჟკაცობა და სიჩაუქე. ისე მიაგვლეკებდა ცხენს, მტერის კორიანტელი ცას სწვდებოდა სიცხისაგან აალებული მიწიდან.

– გოლე მის მერე კვალში ედგა ლუკას. თითქოს რაღაცას ეძებებოდა ჩემი მეუღლე, რაღაცას უფრთხოდა. ერთხელ კი, უკანასკნელი ნადირობიდან დაბრუნებულს უგუნებობა შევატყე ჩემს ბებერს. ხმას არ იღებდა. მხოლოდ მთის წვერზე ატოტებულ მთვარეს შესჩერებოდა, თითქოს იქ ელოდა პასუხს. ბოლოს, როგორც იქნა, მითხრა.

„დრო მოვიდა, ჩემო მეუღლე, უნდა დავტოვო აული, უნდა გავვიდო ჩემს მოდგმას. ჩემს სიბერეს და სისუსტეს მე ვერავის დავანახებო. შენ აქ დარჩი, დედა ხარ და ყველასთან ამაგი გაქვს, რომ მაძლარი სიბერე გქონდესო“.

ველოდი ოდესღაც ამ დღეს, არ გამკვირვებია მისი სიტყვები. ორივეს ცრემლი მოგვადგა თვალს. ის ღამე ერთად გავათენეთ კისერგადაგრეხილებმა და ერთმანეთის სუნვა-სუნვაში. მერე კი წავიდა ჩემი გოლე. წავიდა და მე მას მერე აღარ მინახავს. მხოლოდ უკანასკნელად მოგვარი თვალი, როცა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს კაცი და მგელი. ისიც კარგად დავინახე, როგორ გაუთხარა საფლავი ლუკამ და ვაჟკაცივით მიაბარა მიწას, როგორც სახელოვანი მეომარი. მართო რომ დავრჩი, მივედი და დიდხანს ვიტირე მგლური ხმით. მთები ღლვებოდნენ ჩემი ცრემლების მღუღარებით. მთვარე ხედავდა ჩემს წუხილს. თათებით ვფხოჭნე მის გულზე დაყრილი ცივი მიწა, მაგრამ ისე ღრმა იყო, ისე დიდი მისი საფლავი, მართლა კაცივით დაუფლავს იმ ჩემი ცოდვით სავსეს ჩემი გოლე.

ახლა, შუალამის პირია და აქაფებული მდინარის ხმა ჩემს ყურამდე აღწევს, სიკვდილი მოდის, როგორც მოპარული სატრფოს კოცნა და სხეულში მიძვრება. მეც მიწა ვიყავ და მიწას ვეკონები, სადაც შენი უკანასკნელი სუნთქვა გაჩერდა!... არ აქვს მარადისობას დასასრული, როგორც ჩვენს სიყვარულს არ ექნება!..

მინისტრონი

თამაზ ბაბიომჭვიცი



აყვავებული სამოთხის ბალი

ზეციური სამკაულები

ვეებერთელა ორთქლის გროვიდან, უზენაესთა გარემოცვიდან ჩამოდიან წვეთად შეკრული, ფიფქად ჩამოკრისტალებული, ლექსად შეთხზული საოცრებანი... სასწაულები...

რა უბრალოა და რა მშვენიერი წვიმად ჩამოღვრილი, ფიფქ-ბრილიანტებად აბრჭყვიალებული, ლექსად ჩამოღვენთილი ზ-ენა სამყარო...

დიდება უფალს – ამ წყალობათა გაღებისთვის, სასიცოცხლო ძალთა ამ ენით, ამენ!-ით გადმოცემისთვის!

ამინ!

ამინ! (ბერძ. ძვ. ებრ.) დასკვნითი სიტყვაა საეკლესიო ქადაგებათა და ლოცვებისა, ნიშნავს: ჭეშმარიტია! ჭეშმარიტად!

ამინ! – ჭეშმარიტია! – უფალა!

სიცოცხლე დედამიწაზე ცილის არსებობის ფორმას წარმოადგენს.

ცილა, რომელიც ადამიანს „აშენებს“, 23-მდე ამინმჟავისგან შედგება.

ამინ-ომჟ-ავა! – თუ განვიხილავთ ამ სიტყვის დასაწყისს და დასასრულს – ამინ-ავა – ჩანს, – უეჭველად, ჭეშმარიტად ავა!

ე.ი. სიცოცხლე დედამიწიდან აუცილებლად მალა ავა, გაგრძელება – ამინ! ამინ! ამინ! – ჩვენი სხეულის ყოველი უჯრედიც – ამინ-მჟავების შემცველობის გამო, ამას გაიძახის თურმე...

მალალთა შინა უფლის სუფევას მთელი სიცოცხლის მანძილზე დაბლიდან, ამინმჟავათა კრებული – ადამიანი შეჰხარის და ახმინებს მასთან მყოფობის და ასვლის სურვილს – ჭეშმარიტად! – ამინ!

ნუ გეშინის სიკვ-დილისა, იქაც გაგიტენდება!

* * *

ცაზე, წმინდა ღია ცისფერ, მოწმენდილ ფონზე, თეთრქულა, ალაგ-ალაგ კი ფერადქულა ღრუბლებით ისეთი ლამაზი, ვეებერთელა ყვავილები, ცხოველები და ადამიანები იყო დახატული, ზოლიანი გზები და გუმბათები, გავევოციდი: ნეტა ამხელა ფუნჯი ვის აქვს, რომ ასე გრანდიოზულ ნახატებს ქმნის-მეთქი.

მხოლოდ დიადს ძალუმს შექმნას სიდიადე!

ხშირად გავხედავ ხოლმე ზეცას და ვტკბები ასე ღია და მარადგახსნილ გალერეაში გამოფენილი დიდი შემოქმედის ნამუშევრების დათვალიერებით... რომელიც, სულაც, შეიძლება მისი სუნთქვაა, სუნით თქმაა, რომელიც ამინ-დის

პროგნოზს გვაუწყებს და ამბობს: „ამინ!“

თვალის კაკალი – ა მ ი ნ !

*თვალი წამ-წამებით დაცულ
წუთის სოფელში შემოდის*

თვალის კაკალი კედლებით შემოფარგლული სფერული ღრუა, რომელიც ამოვსებულია მინისებრი სხეულით, ბროლითა და ნამით.

თვალი ყველას გვაქვს, მაგრამ თვალის აღნაგობის სირთულის გამო, ბევრმა არ იცის, რა ხდება ჩვენს თვალეში.

აქ ამის განხილვას არ ვაპირებ. ეს მედიცინის საქმეა. ახლა თვალის, როგორც ალის, უფ-ალის ალის – ცეცხლის მატარებელ ორგანოზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას.

თვალის კაკლებში ჩვენ გვაქვს მინისებრი სხეული და ნამი... მინისებრი სხეული, შემოკლებით მინა; მი-ნა

იგივე ნა-მი არის, თუ მარცვლებს გადავაადგილებთ. ავილოთ სიტყვა – მინა და გადაბმულად, უთვალავვერ მივაწეროთ ერთიმეორეს. ასევე – ნამიც:

მინამინამინამინამინა...

ნამინამინამინამინამი...

ახლა დეფისით დავყოთ საჭიროებისამებრ და დავინახოთ რას ამბობენ თურმე ეს სიტყვები:

მინ-ამინ-ამინ-ამინ-ამინ-ა...

ნ-ამინ-ამინ-ამინ-ამინ-ამი...

შუაში რაც წერია, ვხედავთ, ხოლო ბოლო ნაწილს თუ თავთან მივაბამთ, იგივე სიტყვას – ამინს მივიღებთ.

სიტყვა – ამინით უფლის ჭეშმარიტ არსებობას ვადასტურებთ, ვადიდებთ უფალს!

დავბადებით და გავახელთ თვალებს თუ არა, ჩვენი თვალების მინა-ნამები – შემინულნი და მოცვარნამულნი, იძახიან: – „ამინ!“

ჯერარდაბადებული ჩვილიც კი, რომელსაც მუცლადყოფნისას ესახება თვალები, უფლის სადიდებლად იკრებს „ამინ-ებს!“ იქიდანვე იცის, რომ თვალი უფ-ალისაგანაა...

ეს ხომ საოცრებაა?

„ამინში“ „მი“ – ადამიანური ნოტია შემოტანილი, რადგან ეს სიტყვა ადამიანთა სათქმელია, რაღაც ადამიანურია ჩაქსოვილი მასში.

სად მიღიან თვალები...

ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე უამრავ რამეს ხედავს, უამრავ კადრს აფიქსირებს – სურათს იღებს თვალებით; ხან ძალიან გამორჩეულ – უმშვენიერეს, ხან უსაშინლეს რამეს ნახავს თვალი... ყველაფერს იმახსოვრებს სადღაც – სულის ბუდეში, სადაც გროვებიან თვალებში ჩაწერილი – შესული ყველაზე მნიშვნელოვანი სანახები – ხატები, აზრშემოკრებილი საოცრებანი. ამ სულის ბუდეს ადამიანი, სანამ ცოცხალია, თან ატარებს და სულ ტვირთავს და ადიდებს, ამრავალფეროვნებს; სულის ბუდეში ჩვენი სულის თვალები ცოცხლად ინახებიან...

გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი ფიზიკური თვალები მიწაში იშრიტებიან, მიწას უერთდებიან, ხოლო სულის ბუდეში გამოზრდილი ბარტყები – სულის თვალები შორს მიფრინავენ და მაღლა-მაღლა აატატებენ თავიანთში მოგროვებულ ყველაფერს: ბრწყინვალეებას, რომელიც მზის სხივებს თანაერთვის; მეხთატეხას, რომელიც დედამიწას კვლავ გრგვინვით ახსენებს თავს; ცრემლს, რომელიც წვიმას ერთვის, ანდა ყოველ დილას ნამებად ეფრქვევა მიწას და შემთხვევითი

სულაც არ არის, რომ მას ნამი ჰქვია, არც ის, – რომ ჩვენ თვალებში გვაქვს ნამი – ეს ერთი და იგივე წყაროს დინებაა და მას, როგორც ვთქვით, „ამინ!“ – უფლის ჭეშმარიტი არსებობის დადასტურება ჰქვია!... ანუ ბუნების ყოველგვარ სახეცვლილებაში ჩვენიანების – წასული ადამიანების თვალები ისევე იმზირებიან... მათი თვალები უსიტყვოდ ლაპარაკობენ და ჩვენს თვალებს ესმით მათი თვალებით საუბარი – ჩურჩული... არა, თვალები არ იკარგებიან – თვალებიც, ჩვენსავით, სიცოცხლეს იმეორებენ და იმეორებენ!

წამწამები – წამ – წამები

ადამიანი არის წამწამებიანი არსება (ცხოველთა ნაწილიც). წამ-წამების იქით იგულისხმება: წამი-დრო, დროებითი მოსვლა; წა-მი მარცვლების გადაადგილებით მი-წას ვეხებით – ეს მოსვლა მიწაზე ხორციელდება. მეორე ნაწილი სიტყვისა – წამ-წამებისა, ანუ წამებისა – გზაა ქრისტესმიერი... დედამიწაზე ადამიანთა ყოფნა, ცხოვრება წამებისაა.

მეორე მხრივ – ადამიანების წამწამების ფორმა რკალს წააგავს. თითოეულ თვალზე წამწამთა რაოდენობა ასამდეა... ეს ე.წ. რკალი ქართულ ანბანში შეესაბამება ბ-ს და დ, ლ, ლ-ს რკალებს, რომლებიც გრაალის თასს გამოხატავენ. აქედან – ბ-ს რკალი, როგორც ციდან ჩამოწვდილი გრაალის თასი, ხოლო დანარჩენი ასოების – მიწაზე ჩამოსული, დამხობილი, ჩამოცლილი გრაალის თასები...

ანუ

ჩვენი წამწამები, გრაალის თასები, გრაალის მცველები, თვალების მცველები – ჩვენი ძვირფასი ნაწილებია.

როცა ჩვენ ვტირით და თვალებიდან ცრემლი გადმოგვდის, გრაალის თასიდან გადმოღვრილი წმინდა წვეთები გვცვივა – წამების გზის სამკაულ-ალმინიშნელები!

ყურები და ყურთასმენა

ყურებზე ხელისგულები მჭიდროდ მივიფაროთ და საკუთარ თავს მოვუსმინოთ!

რა ზრიალი, რა ჩხრიალი, რა ბათქა-ბუთქი, რა ბაგაბუგი, რა შუილი – რა დგაფუნა ხმები გვესმის – ეს რა ხდება ჩვენს ორგანიზმში? რა ჯანყი და ღრიალიცელია?

ისევ ჩამოვიდოთ ხელები ყურებიდან და შვებით ამოვისუნთქოთ:

– რა კარგია, რომ არაფერი გვესმის, გამოყრუებულნი ვართ საკუთარი თავის მიმართ და მხოლოდ ის გვესმის, რაც გარეთ ხმაურობს.

ყველაფრის გაგონებას ნამდვილად ვერ გადავიტანდით.

ე.ი. ჩვენ ყურებით ვისმენთ ჩვენში შემომავალ ბგერებს, მაგრამ ჩვენიდან გარეთ გამავალს გარემოში ვუშვებთ; იქნებ სწორედ ესაა ჩვენი „გაუგონარი ხმა“, რომელსაც ჩვენი ფიქრები და განცდები კიდით კიდემდე გასდევს, გააქვს.

ყურებიდან უწყვეტად გადის სამყაროში ჩვენი გულის ძახილი... და, ექო-ექოდ მიღწეული, ყველგან ის-მინება, თვით საწყისამდე (აი, აქ გამოჩნდა ყურანი).

თავად ყურის ფორმაც ხომ ამ აზრს ემსახურება:

შიდა ყური, შუა ყური, გარე ყური და ნიჟარა – მოდის ვიწრო ყელიდან და, თანდათან, ფართოვდება და ფართოვდება, როგორც საყვირი. ჩაბერვა ვიწრო ყელიდან ხდება და ბგერები განიერი ბოლოსკენ იფანტება, გადის ჰაერში...

ე.ი. ჩვენი ყურის ვალი, სინამდვილეში, ის უფროა, რომ ჩვენი ხმები გარეთ გაუშვას, ვიდრე – შიგნით შემოუშვას.

ყურმოჭრილი ყმანი სამყაროსთვის ნაწილობრივ იკარგებიან, რადგან ხმის გამაძლიერებელი ნიჟარა აღარ აქვთ.

რა თქმა უნდა, სასაცილოა ბიბლიოებზე ჩამოკონწიალებული საყურეები, რომლებიც იქვე რჩებიან, სადაც არიან.

ხელი და ფრჩხილი

ხე-ლი, როგორც ხე, ატარებს ფრჩხილს, ანუ ისხამს ფრჩ-ხილს – ანუ ხილს... ანუ ფრჩხილი არის ხილი, ხელზე მოსხმული.

მოკლედ კი – ხელი ფრჩხილებდასხმული არს ხეხილი.

ე.ი. ადამიანი გამოჩნდა, როგორც ბალი ხეხილიანი.

თუმცა, შეიძლებოდა ასეც გვეთქვა: ფეხის ტერფებიდან და გაშლილი ხელებიდან ჩანს, რომ ყველაზე ბოლო წერტილები, თუ გნებავთ, საწყისები, ფრჩხილებს ეხება, თავად ფრჩხილებია ჩვენი გახევებული ნაწილები – ხეები, რომელთაც ზედ ხილად ასხია ადამიანი!

როცა ადამიანს ფრჩხილი უყვავის, მას თავისი ხეხილი უყვავის და, მოვლის შემთხვევაში, კარგ მოსავალს ჰპირდება...

გამომალეთ, ხალხნო, თქვენი აყვავებულფრჩხილებიანი ხელები და სიცოცხლის გაზაფხულით მორთეთ დედამიწა!

თუ იმასაც დაუშვებთ, რომ ჩვენ ხელებზე და ფეხებზე გვაქვს გულები (ხელისგულები და ფეხისგულები) – ჩვენი ხეხილიანი ბალი, ანუ ჩვენი არსება გამოჩნდება, როგორც გულანთებული, გულიანი სამოთხის ბალის მეპატრონე, ბალისა, რომელსაც თავად ატარებს, უვლის, ანაშენიანებს, რთავს ათასგვარი ნაყოფით

და

იპოვებს უფლებას


ამ სამოთხის ბაღში იცხოვროს უფლის ძალითა და სიცოცხლით აღვსილმა.

ე.ი. ადამიანი, სინამდვილეში, ცხოვრობს და არსებობს სამოთხის ბაღში, თავისსავე სხეულში, თუკი მას ისევ ესმის ღვთის სიტყვა და უფლისმიერი სიცოცხლით ცხოვრობს.

ადამიანს აქვს უფლება, თავადვე, უფლის უარყოფით, განიღვენოს სამოთხიდან, თავისივე სხეულიდან.

ასეთ ადამიანს, რა თქმა უნდა, თანდათან ერღვევა თავისი ფიზიკური სხეული, უავადდება; მას აღარ აუყვავდება სამოთხის ბაღი.

ხანა შანაბეიძე



* * *

გული უსაშველოდ
 ფორიაქობს,
 მგონი, ვაკვლები-მეთქი –
 ავიჩეძე.
 ისევ გიტრიალე
 შორიახლოს,
 ახლოს ვერ მოვბედე,
 დამიჯერე...
 დამდება მოწყენით,
 უნიათოდ,
 უვარსკვლავებოდ და,
 რაღაც, ისე...
 ვაკვლები „მარადიულ
 ჰურიათო“,
 მონანიებაც რომ
 არ აღირსეს.
 „ახლა რა თქმა უნდა,
 გვიანაა“
 თითზე კბენა, გულის
 მოოხება,
 სიცოცხლე წამია და...
 იალლას! –
 მიწას მოგაყრიან
 გოროხებად...
 არითმიაა თუ
 იშემია –
 გული ისევ ისე
 ფორიაქობს,
 განა მე სიკვდილის
 მეშინია?
 არა! რომ ვერ გავცდი –
 შორიახლოს...

შენი პეშვიდან დაპურებულნი
 მტრედები – ჯარი თეთრონ ფანტელთა,
 ანგელოზები ბევრი, კრებულნი,
 მოფრინდენ ჩემთან მოფარფატდენ და
 მომიალერსეს... ახლა ქარია,
 შეცივდათ ფრთებზე, ველარ გაშლიან,
 თეთრი სიმშვიდე და ზლაპარია
 მათთან და... შენთან... იქვე ბავშვიან
 ქალთან მიგოგდენ, ხითხითებს ბავშვი,
 ბუნჩულა თითებს ქარს უპოტინებს,
 საცაა, თითქოს, ახლა ის გაშლის
 ფრთებს და აჰყვება ქარის მოტივებს!
 დედა კი, დედა, ვით ღვთიმობელი
 ზის, ვერ იშორებს ღიმილს სევდიანს,
 იქვე, დედაბრის გაწვდილი ხელი...
 ხურდა... ლოთებიც, იქ ხურდებიან...
 ქარია... სკვერი... და შადრევანი...
 წავიდა ყველა... ჩვენ გამეტებით –
 შენ და მე (შენი ჩუმი მღევარი)
 და უფლისწულის მხარზე მტრედები –
 არ ვეპუებით ქარის საცეცებს!
 (შენ დიდი-დიდი, თმას ავიშლიდეს)
 მუჭში იგროვებ პურის ნამცეცებს,
 რომ დააპურო თეთრი სიმშვიდე...

* * *

შენ ქუმა გყავდა ხარი,
 (ბაბუაშენის მუხზე)
 რქებით დაჰქონდა მთვარე,
 სევდაც დაჰქონდა უხმო.
 ქელი-თეთნულდის ტოლა,
 ცა რომ უპყრია ბეჭით,
 არ უყვიროდნენ „ოლლე!“
 მარილს აჰმევენენ მუჭით.
 ჩაუკეცავი მუხლი,
 აიეტის ხარს ჰგავდა
 და კიდევ ერთი მუხზე,
 ბაბუაშენის გარდა.
 ხნული გაჰქონდათ ოფლით,
 უღლე უღლიან კისრებს,
 ამონასუნთქი ორთქლი,
 შეერეოდა ნისლეებს,
 გადაივლიდნენ სახლებს,
 გადაივლიდნენ მორდეს...
 თუ სასახლეში ძალღი
 ჰყავდათ ინგლისელ ლორდებს,
 სვან კაცს მაჩუბში ერთად
 ჯალაბთან, ჰყავდა ხარი.
 რქებზე სანთლები ენთო –
 დღისით მზე, ღამით მთვარე.

* * *

– წავედი...
ლამეს კი ღიას ვტოვებ
და არ გამიცოც
ვარსკვლავები.
ზეცას ეგ ბეჭები
დაატოლე,
ჩემთვის სამყაროს რომ
აკავებენ.
მოდის, როცა გინდა,
მაშინ მოდი,
თუნდაც იფიქრე, რომ
შემლილია!
აქამდე თუ რამის
მეშინოდა,
აწი, აღარაფრის
მეშინია!
„მოდის“...
მითხარი და...
– ეჰე-ჰეი! –
მთვარეს გადავხვიე
მერე ხელი,
ერთად შემოვძახეთ:
„ერეხელი!..
ერეხელი ვარ და
მერეხელი...“
ცა და დედამიწა შევარყიეთ
(კაცო, რა ყოფილა
მთვრალი მთვარე)
მერე, უფრო უფრო
შეგიყვარე
მერე, უფრო უფრო
დავითვერი...
მერე, ფეხაკრეფით
ნიავეით
ჩუმად შემოვედი
იმ ღამეში,
შენ რომ ჩემთვის
მოგიღიავია,
კი არ შემოვედი,
გადავემვი...
ციცინათელები შევაფრქვიე,
ცაზე მივაბნიე – ციმციმია!
უკვირთ, ვარსკვლავები
რატომ ჰქვიათ,
მაგრამ სულ არა წყინთ,
იცინიან...

ღრუბელი უკმეხი
და უფშური
კარში გამოვბერტყე,
როგორც თეჟი
მთვარე – სასთუმალთან –
აბაჟური
დაგიდგი და სანამ
ჩამოვჯექი,
ცოტას, ცოტას კიდევ
მომითმენდე,
ზეცას გამოგიჭრი
საფეხურებს,
ასე...
ღია ღამე
მოგიროთე და
მერე,
ფრთხილად,
ფრთხილად
გამოვხურე...

* * *

წვიმავ საიდან მოდიხარ,
საიდან მოხვალ, ქარო!
ოღონდ დღეს არა, მოდით ხვალ,
დღეს უნდა გავიხარო!
დღეს ჩემთან დარდი, ვარამი
არ არის მოსატანი.
მზეზე დავეცი კარავი,
მზით შევიმოსე ტანი.
იქროს გუთანი გაგმართე,
უკან მივეცი ხარებს,
„ჰარალეს“, როგორც წარმართი,
კუხმობ, არ ვდარდობ ხვალეს...
ზღვაში რომ ხნული გავავლე,
მიწა ვიპკურე სახეს,
„ჰარალი, ჰარი ჰარალე“
ჭინკებს ვუღერებ სახრეს!
ჩემი მზე, მტრების ჯინაზე,
არ ჩავა, გაათენებს.
გვერდით მყავს დარეჯანის ძე
დელას ვუტირებთ დევებს!..
დღესა ვარ!.. ნუმც ვიქნები ხვალ,
დღეს უნდა გავიხარო.
წვიმავ, ოღონდ დღეს ნუ მოხვალ,
შენც ხვალე მოდი, ქარო!..

* * *


* * *

„სვანეთში ბევრია მწვერვალი
და შენ ხარ ყველაზე მაღალი“...

/სიმონ ჩიქოვანი/

მეტკინა, როგორ არ მტკენოდა,
მე ხომ სულ არაფერს, არაფერს...
თოვლიან ბილიკებს ტკეპნიდა
ნაბიჯი... დარაბას და რაფას
ატყვია ნასროლი ცხელი მზე
და მზერა აფრენილ ალალის,
იმ დღეს შამშვს ვესროლე, რცხილაზე
იჯდა და შემშურდა ვალაღი
გულლია, მომკვლელი, გულიდან
მოხეთქვა... და მე კი ხმამაღლა
ვერც ვჩივი, ვერც ვტირი... კურნავდა
ცრემლი ხომ დრო იყო... ამაღამ
გავატან, ან არა! გადარდებს?
ცრემლის მძივს გულისპირს დამაპნევ?
და თვალებს, ორი მზის სადარებს
ღრუბლები იფარე... საპალნე
ტვირთი და საგზალი ამკიდე,
რა აწევს, რა ათრევს ამდენ დარდს,
„ნუ მოხვალ“, „ნუ მომწერ“ და კიდევ
წარბი და თითი და... აღენდა
ლაწვებზე მზეს ცრემლებს... სინანულს
არ შევლის ცრემლების დენანი,
თუმცა რის ცრემლები, მინავლულს,
გრძნობებს ვერ აგინთებს ვერავინ.
თითქოს და დამთავრდა... გავცქერი
განზე ვარ გამდგარი, გვერდიდან,
მჩქეფარე კასკადი, ჩანჩქერი –
ლაწვი და ყელი და მკერდი და...
ჩქერს ებრძვის, თავს იკლავს კალმახი,
ხარ-ჯიხვი თავს ახლის ქარაფებს...
მეტკინა, უღმერთოდ გამლახე,
მე ხომ სულ არაფერს... არაფერს...

მთას წავალ,
ამიყვანს სუფთა ცის კამკამი,
ყალყზე დგას სისხლი და
სული და მერანი!..
მთის ქალებს უხდებათ
ღაზრილი წამწამი,
ლაწვების ალმური,
მალული მზერანი.
და მაინც, რა იცი..
ვინ იცის...
რა ვიცი,
ეგება ვიპოვო აქ სულის საყდარი...
ეგება ყვრიმალთ გამითბო
ლაწვი
მთა არის, ცივა და...
ო, ეგრე სად არი...
მე ჩემი სამსხვერპლო თანა მყავს კურატი
(ჩემშიც და შენშიც და,
ხომ ცხოვრობს წარმართი,
ხერხემალს მიმაგრებს
ხეთი და ურარტუ
შორიდან მოვდივარ
და წელი გავმართე)...
ლაიძრა, ჩამიტანს,
ვიცი ეს მეწყერი,
გამიწყრა შობითვე
ის ბედის მწერალი.
ვარ ერთი, ყველაზე მდაბალი
ლექსმწერი,
შენა ხარ ყველაზე მაღალი მწვერვალი!



* * *

დელოფალო ქეთევან,
ხორცის გვემის ღრო დგება,
სული უძლიერესი
არასოდეს მოკვდება!
დელოფალო ქეთევან,
ჟამი დგება დიდების,
უშიშო, ვით უხორცო,
ლოცვით ქართველს სჭირდები,
დელოფალო ქეთევან,
ბრწყინვალეზავ ქართულო,
ხსოვნასა და გულეზში
ლექსად ამოქარგულო!
დელოფალო ქეთევან,
ცრემლიანო ვედრეზავ,
თავგანწირვას ნეტავი
კიდევ რა შეედრება!
დელოფალო ქეთევან,
დაამარცხე სიკვდილი,
ჟამი უკვდავებისა
დგება მტრების სირცხვილით!
დელოფალო ქეთევან,
თავგანწირვით საჩინო,
სულის დიდი სიმტკიცით
უნდა გადაგვარჩინო,
დელოფალო ქეთევან,
უპატრონე ქართველებს,
ლოცვითა და გმირობით
სისხლი კვლავ გაახელებ!

მუზებთან ტანგო

მუზებთან ვცეკვავ მე ხშირად ტანგოს,
მათოვს ეჭვები – „რა უნდა გარგოს“,
ო, ღმერთო ჩემო, ნუთუ ცდუნება,
ეს სიმთვრალეა და მოღუნება,
ფრენა ზეცაში, მერე დაცემა,
ჯერ ნეტარება და... ანათემა,
მუზებთან ცეკვა – თითქოს ზეიმი,
თუ დასრულება ბოლო გეიმის,
გამარჯვებაა თუ დამარცხება,
წამოდგომაა თუ დანარცხება,
მუზებს მე ზურგი ველარ ვაქციე...
ყველა ზმანება ლექსად ვაქციე!
მე ამ ტანგოზე ვერ ვთქვი უარი...
წუთისოფლის ვარ მინც სტუმარი!

* * *

ბეწვის ხიდზე გავიარე,
თითქოს ეს გზაც დავამთავრე,
გზაზე შემხვდა ჩემი ღზინი,
ჩემი მზე და ბადრი მთვარე,
ჭირით სავსე და ნაღველით
მე ფიალაც გამოვცალე,
გზა გამოჩნდეს სხივნათელი,
ცოტაც, ღმერთო, დამაცალე,
მერე თავსაც განაცვალე,
თუ ახლა არ გამაწვალე,
ჩემს ბედსა და უბედობას,
დაუეკოცნი ლამაზ თვალებს,
მივადექი გზაჯვარედინს,
არ შემეკრას ჯერაც წრედი,
არ ვარ უგზოდ დაკარგული,
ჯერ ნუ მოვა დასასრული.
გაბედულად კვლავაც ვივლი,
არ ვაპირებ სულაც ჩივილს,
თქვენზე ლოცვით გავიხარებ,
ბეწვის ხიდი გავიარე...



ჰაერივით დამიღიხარ ფილტვებში,
და სისხლივით მიღუღლები ძარღვებში,
შენ ხარ ჩემი ტკივილიც და იმედიც,
სულ შენ სჭარბობ ფიქრებში და დარღებში.

ოჰ, სამშობლოვ, შენი ბედის მწერალი,
თავად ჩვენ ვართ თუ უფალი ღმერთია?
არ არსებობს სხვა სამშობლო შენს მეტი,
შენი მიწა ჩემთვის ერთადერთია.

დაჭრილ გულით როდემდეღა ვიარო,
ჩვენს მიწაზე უცხო მართავს ღრეობას,
აგერ ჰერეთს ფეხი არც კი დაგვიდამს,
ქურმუხს ველარ ვიზეიმეთ დღეობა.

მოტირალი მოჩანს ტაო-კლარჯეთი,
ამიტირდა ლორეცა და ტაშირიც,
თუკი ბოლო გოჯი მიწაც წამართვეს,
ვერ მიშველის მერე ევროკავშირი.

* * *

სოფლის ორღობეს სანატრელი ფიფქები ათოვს,
ფოთოლგაცვენელ ხეებს თითქოს ქურქი ჩაუცვამთ,
ჯერ კიდევ გუშინ კაკლის ტოტზე ციყვები
ხტოდნენ,

დღეს აღარ ჩანან,
აღბათ ხეებს გულში ჩაუკრავთ.



* * *

ბავშობის ხანა თვალწინ თითქოს კადრით ჩნდება,
წამიერია ყველაფერი,
უკვე ვრწმუნდები,
წამიერია გახსენებაც განვლილ დღეების
და შემდგომ ისევ რეალობას დაგუბრუნდები.

სოფელში ზამთარს
სხვანაირი ხიბლი აქვს მაინც,
აქ ბელურები სხვანაირი ხმებით გვატკობენ,
აქ მოხუცები საგუნდაოდ გამოსულ ბავშვებს
მადლიან ქართულ სიტყვითა და ლოცვით ამკობენ.

აქ წინაპრების სისხლის სუნი ასდის ირგვლივ
ყველაფერს,
აქ მამულისთვის დაიღუპა ბევრი ქართველი,
ეს ქართლი არის: – ნაომარი, ნაიარევი, მრავალი
მტერის, მოყვრისა და ომის მნახველი.

იმ ვარდს მოჰგავხარ,
არასოდეს რომ არ დაჭკნება,
იმ იას ჰგავხარ –
გაზაფხულის სუნით რომ მავსებს,
იმ ჰაერს ჰგავხარ –
შორი მთიდან რომ მოჰქრის ჩემკენ,
და სულს და ფილტვებს
საოცარი სიცოცხლით ავსებს.
იმ ჩანჩქერს ჰგავხარ,
კალმახი რომ ახტომას ლამობს,
და იმ ნაკადულს – რაკრაკით
რომ ჩამოდის მთებში,
ისე მომწყურდი,
როგორც დაჭრილს მოსწყურდეს წყარო,
მსურს ფიქრში მაინც
დავიკარგო შენს ლამაზ თმებში.
იმ ვარდს მოჰგავხარ,
არასოდეს რომ არ დაჭკნება!..



ღვთის ენით მოსაუბრე პოეტი

/ტარიელ ხარხელაური/

რეზო ბალანჩივაძე,
პროფესორი, ფილოსოფიის
მეცნიერებათა დოქტორი

უაღრესად დახვეწილი გემოვნების ცნობილი ქართველი ფილოლოგი და ლიტერატურის კრიტიკოსი პროფ. რეზი თვარაძე გენიალური გალაკტიონის ლექსის „თოვლის“ შესახებ წერდა: ლექსის კითხვისას სადღაც ვიყავით. ეს იყო რაღაც ნეტარება, ბურანი, რომლისგანაც თავის დაღწევა არც ახლა გვსურს. ეს არის არა უბრალო გადმოცემა რაიმე ამბის, განწყობილების, თუნდაც ხილვისა, არამედ არსებობის ისეთი სფეროს წვდომა, რომელთა ნაწილ-ნაწილ წვდომა შეუძლებელია. და კიდევ: ცოდვას, ბრალია ამ ლექსის მოყოლა, მისი შინაარსის გადმოცემა ჩვეულებრივი სიტყვებით. იგი მთლიანობაში უნდა აღიქვას, განიცადოს მკითხველმა.

ზუსტად ასეთი გრძნობა გეუფლება ადამიანს, როცა ტარიელ ხარხელაურის ლექსებს კითხულობ. მათი კითხვისას ძნელია /შეუძლებელია/ ჩვეულებრივი სასაუბრო ენით გადმოსცე – რა წერია ამ ლექსებში, ხოლო ის, თუ რატომ ხდება ასე, ახსნას თავად პოეტი იძლევა:

„მხრებზე მისხედან ვარსკვლავნი,
მთვარე მინათებს
საუფლოს,
ჩემს წინ დევს მთელი
სამყარო – და
ღვთის ენაზე ვსაუბრობ“.

თავისთავად ცხადია, „ღვთის ენაზე“ მოსაუბრე პოეტი ბევრ ისეთ რამეს ამბობს, რისი პირდაპირი გაგება უჭირს ჩვეულებრივ მკითხველს. მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი:

„წუხელ სიკვდილი მეწვა მუხლებზე
და მე და ქარი ვჭირისუფლობდით“.

.....

„მზე ცერზე მიზის, როგორც მიმინო“;

.....

„რატომ იშლებიან ვარსკვლავნი,
რა მალე აჰკეცეს კარვები“;

.....

„კლდის თავზე გაშალეთ ქორწილი,
მაყრები?! – მაყრები მთებია“.

გაიგეთ რამე? ორიდან ერთი: ან ვერაფერი გაიგეთ, ან არადა, გაიგეთ მხოლოდ ის, რომ რაღაც ილუმალთან, უცნაურთან, მოუხელთებელთან, არარეალურთან, არაადეკვატურთან გქონდათ შეხება. პოეტმა, თქვენდაუნებურად, ისეთ უცხო სამყაროში შეგიყვანათ, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანური შემეცნებისათვის მოუხელთებელია და გაუგებარი, თუმცა უმშვენიერესი და ამაღლებული, ანდამატივით რომ იზიდავს მკითხველს და დიდ ნეტარებასაც განაცდევინებს.

ცხადია, ამ შემთხვევაში ბატონი ტარიელ ხარხელაური გამონაკლისი როდია! ეს შემოქმედებითი პროცესის სპეციფიკაა, რაზედაც ზუსტად მიანიშნებდა ტიცთან ტაბიძე: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს...“

ღვთის ენაზე მოსაუბრე ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებაში განსაკუთრებით იკვეთება რამდენიმე თემა, მათ შორის უპირველესია.

სამშობლოს თემა

ბატონი ტარიელ ხარხელაურისათვის სამშობლო მართლ ლამაზი მთა და ლამაზი ბარი კი არ არის /„მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი, ცა ფიროსმანის მოხატულია“/, არამედ ის ცოცხალი არსებაა, რომელიც ძალასა და ენერგიას, სიცოცხლის აზრსა და ხალისს ჰმატებს პოეტს. აკი ამიტომაც მიმართავს მას:

„რა გაქვს ასეთი, რა ძალას მმატებ,
მამულო ჩემო, უფლის ღიმილო“...

რა არ დაწერილა სამშობლოზე, ქვეყნის სიყვარულზე, პატრიოტიზმზე, მაგრამ გაგივიათ, საკუთარი მამული „უფლის ღიმილისათვის“ შეედარებინოს ვინმეს?! მე პირადად არ გამოვიდა. არც სხვა ისეთი შემთხვევა მაგონდება, სამშობლოსათვის „უფლის მშვენება“ ეწოდებინოს და თანაც იმის სურვილი გასჩენოდა ვინმეს, რომ მისთვის /სამშობლოსათვის/ ნასროლ ყოველ ტყვიას მხოლოდ მის გულზე გადაეაროს:

„მინდა, რომ შენთვის ნასროლი ტყვია
მხოლოდ ჩემს მკერდზე იყოს გავლილი“...

სამშობლოს თემა არაჩვეულებრივი სიყვარულითაა გახსნილი ტარიელ ხარხელაურის ლექსში – „მე შევცვალე წუხელ მთვარე“:

„სთქვი, მამულო! რა გაწუხებს,
სთქვი, დავდგები დარიალთან,
სთქვი, დიდგორთან დავიქუხებ,
ბებერ კრწანისს ავაღელვებ,
სთქვი, მამულო! რა გაწუხებს
და წამოვშლი არაგველებს“...

ნახეთ, რა უზარმაზრი ძალა, ენერგია, ხასიათის სიმტკიცე, ძლიერი ნებისყოფა, ქვეყნისათვის თავგანწირვის როგორი დაუოკებელი სურვილი იგრძნობა ამ ლექსში. საქართველოს ისტორიის რა დიადი ეპიზოდებია გაცოცხლებული მასში. და მაინც ვერ ისვენებს, ვერ ოკდება პოეტის აბობოქრებული სული:

„სთქვი, დღეს სული შეშლილია“
მერე რა თუ შემოგვეღვენ,
გეშინია,
გეშინია,
გეშინია?!
შემოგვეღვე“...

ნახეთ, რა დატვირთვა აქვს აქ სიტყვა „შემოგვეღვეს“. ნახეთ, როგორი ნაზი, თბილი, სათუთი, მოფერება შესძლებია ამ მთასავით ზვიად და მკაცრი გამომეტყველების კაცს, „ზურგით რომ

იჭერს მარადისობას“.

კითხულობ ამ სიტყვებს და გრძნობ, რომ სამშობლო პოეტისათვის რაღაც აბსტრაქტული, განყენებული ცნება კი არაა, არამედ, ცოცხალი არსება, რომელსაც სწორედ ასეთი სათუთი დამოკიდებულება, ასეთი მოფერება-მოაღერება და მოვლა სჭირდება.

სამშობლო, მისი წარსული აწმყო და მომავალი – არის პოეტის ფიქრის, ზრუნვის, წუხილის საგანი. აკი ამიტომაც ისმის ასე გულშიჩამწვდომად მისი სიტყვები:

„თუ რამე მომკლავს –
დარდი მომკლავს –
ჩემი მიწისა...“

„ჩემო ცაზე გადაფენილო, გაქვავებულ ღიმილო“...

ბატონი ტარიელი ტრაგიკული ბედის, დიდი ტკივილის, მოუშუშებელი იარის მატარებელი ადამიანია. დიდი ტკივილისა იმის გამო, რომ არ არსებობს იმაზე დიდი, ძლიერი, მძაფრი, აუტანელი და მოუშუშებელი იარა, ვიდრე შვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილია. შესაბამისად, შვილის თემა ერთ-ერთი უმთავრესია იმათგან, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს ტარიელ ხარხელაურის პოეზიას!

ძნელია, წარმოუდგენელია, დაუჯერებელია იმ აზრთან შეგუება, რომ შვილი, რომელთანაც სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული შენი წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, ცოცხალი აღარ არის. ამიტომაც ელაპარაკება პოეტი მას როგორც ცოცხალს:

„მწუხრზე მთვარის მოდგა ჩრდილი,
ქარის მოიყოლა გმინვა,
ხომ არ დამისველდი, შვილო,
ხომ არ წამოგაფრთხო წვიმამ“.

გულისშემძვრელია, გამაოგნებელი, გაუსაძლისია შვილის მონატრება და განუწყვეტელი ფიქრი იმაზე – ხომ არაფერი უჭირს ან ხომ არაფერი აწუხებს მას.

„მაშ, დავიჯერო, არ გიჭირს, ბიჭო,
თოვს,
და ფიფქები ხეებს აცვივა...
არ მომერიდო, კარს ვტოვებ ღრიჭოდ,
და, როცა გინდა, მოდი, სახლში ვარ...“

მანამ კი, სანამ შვილი არ დაბრუნებულა, ყველგან და ყველაფერში მის სახეს ეძებს შვილს

დანატრებული მამა და თვით წვიმის წვეთებშიაც კი ხედავს მას:

„წვიმის წვეთებში შენს თვალებს ვეძებ, რა გინდა, შვილო, ამ მწვანე გზებზე?!... შენს სულს ცის ლურჯი ფერი უხდება, მიწა დასცდის და შემიწუნდება!“

უცნაური ისაა, რომ ახლა ის აწუნებს შვილმკვდარ მამას, ამდენი ცრემლით, ოხვრით და წუხილით ხომ არ შეგაწუნებო, შვილო:

„ხომ არ შეგაწუნებ მოთქმით, ხომ არ დამელაღე, შვილო, ხომ არ დაგამძიმე ცრემლით, ჩემო ტკივილო და კვნესავ!“

შვილის მონატრება იმდენად ძლიერია, რომ ზოგჯერ იმისაც კი ეშინია პოეტს, რომ მზის სხივებმა არ წაუშალოს კვალი შვილის ნაფეხურებისა, ანდა ვერ შეძლოს საკუთარი შვილის ნატერფალების ლოკვა:

„როგორ ძნელი გახდა, შვილო, შენი ნატერფლების ლოკვა“.

„ღმერთმა უშველოსო“, – ამბობენ ხოლმე ასეთი გაუსაძლისი ტკივილის დროს... ტკივილისა, რომელსაც დრო ვერ ჰკურნავს:

„ღმერთმა უშველოსო, ამბობენ, მაგრამ ვერა ჰკურნავს დრო ტკივილს, რომელსაც ვერძევი უშენოდ“.

აუტანელი გახდა ამ საწუთროში ცხოვრება, იმ სხეულის ტარება, ასე რომ ზარავს და ჯოჯოხეთად უქცია მთელი სამყარო.

„წამებად მექცა დროის სიყრუე და ჯოჯოხეთად მთელი სამყარო“.

ბატონ ტარიელ ხარხელაურს თავისი ტრაგედიის ზედმიწევნით ზუსტი გადმოცემისათვის აქვს ერთი არაჩვეულებრივი მხატვრული სახე, რომლის მსგავსი არსად არავისთან არაფერი შემხვედრია:

„ჩემს ცაზე გადაფენილო, გაქვავებულო ღიმილო“.

უჭირს ამ „ღიმილგაქვავებულ“ ადამიანს საკუთარ წუთისოფელთან შეგუება. აქ ალტერნატივა ასეთია: ან ქედი მოიხაროს სიკვდილის წინაშე, ან დაუჩოქოს და დაემორჩილოს მას, ან, პირიქით, მიიღოს მისი გამოწვევა და ებრძოდეს მას სიცოცხლის სახელით, ხვალინდელი დღის იმედით, სიკვდილზე გამარჯვების რწმენით... მტკიცე ხასიათისა და უდრეკი სულის პოეტმა მეორე გზა აირჩია:

„დღესთან ქარებით ვსაუბრობ, ღამესთან ნისლთა ფენითა,

ვერ გაგალაღე, სიკვდილო, ჩემი წაქცევის ცქერითა“.

ვერ გაგალაღე მარტო იმიტომ კი არა, რომ ძლიერი ვარ და ქელუხრელი, არამედ იმიტომ, რომ ამის ნებას არ მადლევეს ჩემი ჯიშში და ჯილაგი, ჩემი რწმენა და სჯული! არა, არ ეგების გაუტყნელი ქართველი ვაჟკაცის გატყნვა, ქელუხრელი ხევსურის ქედის დადრეკა, „ღმერთთან მოლაპარაკე კაი ყმის“ დამორჩილება-დამცრობა. აკი თვითონაც ამბობს:

„ვერკვლის ციხე ვარ მგლისფერი, ამოზიდული დიდგორსა, შვიდპირად მაკრავს ღრუბელი, გველი მილოკავს ლიბოსა, ვერ იქამს წუთისოფელი ფეხებზე დამიკიდოსა“.

მე პირადად ასე მგონია, სხვა რომ არაფერი დაეწერა ბატონ ტარიელ ხარხელაურს, მაინც დიდ პოეტად დარჩებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. დარჩებოდა, როგორც ქართული ხასიათის, ქართული ქელუხრელობის, ქართული უდრეკი ბუნების, ძლიერი ნებისყოფის ზუსტი და ადეკვატური გამოხატვის უბადლო ოსტატი.

დიახ, ადამიანური ცხოვრების აზრი /საზრისი/ მონობასა და მორჩილებაში, სხვისი ნება-სურვილის უყოყმანო აღსრულებაში კი არაა, არამედ მუდმივ მოძრაობა-ცვალებადობაში და ქმნადობაშია. რაკი ღმერთმა ჩვენ, ადამიანებს, ამ სამზეოში მოგვიჩინა ბინა, უმოქმედობის, პასიურობის, გულგრილობის, ინდიფერენტულობის უფლება არა გვაქვს:

„უნდა ვიარო, რომ უკანამ არ იგრძნოს ჩემი ზურგის სიახლოვე და წინამავალმა კი ჩემი ამონაორთქლის სინაკლულე“.

ქალის თემა /სიყვარულის თემა/

ბატონი ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალის /ქალის სიყვარულის/ თემას. პოეტის თქმით, მხოლოდ ქალის სიყვარულით, მასზე ზრუნვით აღწევს მამაკაცი ჭეშმარიტ სრულყოფილებას. მხოლოდ ქალის სიყვარული აძლიერებს, აძლევს მამაკაცს წინააღდეგობებისა და დაბრკოლებების დაძლევის უნარს:

„მე შევძლებ შენით სამყარო შევქმნა, მე შენით შევძლებ სიკვდილზე ვწერო, ცოცხალიც მხოლოდ ვიქნები შენთან და მკვდარიც შენთან, სიცოცხლევე ჩემო!“

ყოველ შემთხვევაში, თუ მოხდა ისე, რომ მუდმივად შენ გვერდით ყოფნა ვერ შევძელი, მუდმივად

შენზე ფიქრს ხომ წინ არაფერი დაუდგება:

„მადლობა უფალს!
რომ უშენობით
შენზე მუდმივი ფიქრი
მასწავლეს“.

თავის მხრივ, ქალიც მამაკაცის გვერდით არის ძლიერი, მის სიახლოვეს და მისით „მშვენობს“.

მხოლოდ ქალია მამაკაცის უკვდავების ელექსირი, მხოლოდ იგი აჩენს მასში უცნაურ და უნეტარეს გრძნობას, მხოლოდ იგი იწვევს მასში ჯერ ართქმულსა და არგაგონილ აქვითინებას:

„შენა ხარ ქალი, შენა ხარ ქალი
და ჯერ ართქმული აქვითინება“.

და თუმცა ქალი მამაკაცის გარეშე არაფერია, ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ მათში /ქალებში/ მამაკაცური სული ჩასახლდება, ან პირიქით, მამაკაცები აღივსებიან დედათა /დედაკაცთა/ სულით. ეს საშინელებაა. ეს ის ვითარებაა, როცა ჭეშმარიტი მამაკაცი კარგავს სიცოცხლის სურვილს და ბნელ ხეობაში მიტოვებულ ნასახლარს ემსგავსება.

„მამაკაცებში გადასახლდა დედათა სული,
დედაკაცებში მამაკაცთა სული ჩასახლდა.
ჩრდილი მოადგა, თალხი ჩრდილი,
სიცოცხლის სურვილს,
ნელ ხეობებში მიტოვებულს ვგავარ
ნასახლარს“.

„ნასახლარი“ აქ ნამამაკაცარს ნიშნავს, ანუ ისეთ ვითარებას, როცა მამაკაცები ქვეყნის გადარჩენის საქმეს დედაკაცებს გადააბარებენ, თვითონ კი უფუნქციოდ რჩებიან. ბატონი ტარიელისათვის წარმოუდგენელია ასეთი „კაცობა“, ანუ ასეთი კაცობა მისთვის არაკაცობის ადეკვატურია. ეს ის სიტუაციაა, როცა

„ველარც გადარდნილს ვიბაგუნებ
მარჯვენას მკერდზე,
თავი მოვიკლა? არ მიტოვებს დრო
სხვა არჩევანს.
ქართლის დედებო! საქართველო
შეიდგით მხრებზე,
რადგან კაცებმა უარი ვთქვით
გადასარჩენად.“

ეს ის სიტუაციაა, როცა „თანდათან ლღვევა წარსული“ და როცა საბრალლო ჩვენს შვილებს „უწარსულოდ მოუწვეთ ყოფნა“, ხოლო თავად პოეტი თვალცრემლიანი და გულმოკლული უცქერს „ცამოღლილ“ სამშობლოს და უკვე გარდაცვლილი ჰგონია თავი.

ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი ტარიელი ბრძანებს, რომ მისი მეუღლე /მარინა ხარხელაური/

არის მისი ერთადერთი და მარადიული სიყვარული. მას პოეტის მრავალი ლექსი ეძღვნება. ერთ-ერთ ლექსში იგი საყვარელ ადამიანს, სიყვარულთან ერთად, პატიებასაც სთხოვს ყველაფერი იმისათვის, რაც კი ოდესმე რაიმე უწყენინებია:

„მომესურვა
დაღრუბლულ ცას გაგვივლე,
ცივი ღღეა,
ადგილ-ადგილ თოვს,
უმიზეზოდ, ვიცი,
ბევრჯერ გატკინე,
ყველაფერზე პატიებას
გთხოვ“.

ბუნების თემა

შეუძლებელია ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებაზე ისაუბრო და არ გაგახსენდეს ბუნების დიდი მგოსანი – ვაჟა-ფშაველა. ეს არა მარტო იმიტომ, რომ ორივე მთის შვილია და ორივე მთიდან შემოვიდა ქართულ პოეზიაში / ერთი – ფშაველიდან, მეორე – ხევსურეთიდან/, არამედ იმიტომ, რომ ორივე შემთხვევაში ბუნების თემა ერთ-ერთი წამყვანი თემა მათ შემოქმედებაში. ოღონდ ამ თემისადმი დამოკიდებულება არ არის მთლად ერთნაირი. ვაჟა-ფშაველასთან ზოგჯერ ადამიანი ერთგვარად დისტანცირებულია ბუნებისაგან და სწორედ დისტანციიდან ტკება მისი სილამაზითა და მშვენიერებით, ტარიელ ხარხელაურთან კი ბუნება და ადამიანი არ არიან დისტანცირებულნი. ისინი ერთი მთელის /ბუნების/ ნაწილები არიან იმდენად, რომ მათ შორის „და“ კავშირიც კი ზედმეტია. ასე მაგალითად, ლექსში „გინძობ“ აშკარად ჩანს ადამიანის სრული შერწყმა /სრული ჰარმონია/ ბუნებასთან. კერძოდ, აქ ნაჩვენებია, თუ როგორ ეტრფის, ემიჯნურება პოეტი ქარს, თეთრ გვირილას, ან ყოჩივარდს, ან ბუერის ფოთოლს და ა. შ.

„მე შენ გეტრფოდი მთელი ზაფხული,
და ვერ მამჩნევდი, თეთრო გვირილო!“

ბუნებასთან ამგვარი ჰარმონია, მასთან სიახლოვე რაღაცნაირად ავსებს – სრულყოფს, სრულქმნის ადამიანს:

„და მოგიკითხავთ მინდვრად გვირილებს,
რადგან უთქვენოდ სული მწირია,
მე მოვალ თქვენთან, თქვენი ჭირიმი,
მარტო ვარ ახლა და მეშინია“.

პოეტის ცალკეული ფილოსოფიური გამონათქვამები

(ადამიანზე, მის სულსა და სხეულზე, მისი
ცხოვრების საზრისზე...)

ბატონი ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებაში ძალიან ბევრი ბრძნული გამონათქვამი და აფორიზმები გვხვდება. საყურნალო ან საგაზეთო სივრცე ამის საშუალებას რომ იძლეოდეს, მათი ცალ-ცალკე გაანალიზება ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ აქ და ახლა ამის დრო და ადგილი ნამდვილად არ არის.

ამიტომ მრავალთაგან რამდენიმეს შევხები მხოლოდ: პირველ რიგში, ესაა სხეულისა /ხორცისა/ და სულის ურთიერთობის საკითხი.

„ხორცი თუ ლაღობს, მკვლე არის სული“, – ამბობს პოეტი და ამ სიტყვებით მთელი მისი ღირებულებებითი ორიენტაციაა გამოხატული, კერძოდ, ნათქვამია, რომ მისთვის სულია მთავარი და არა სხეული იმდენად, რამდენადაც სხეული ცვალებადია, წარმავალია, ხრწნადია, სული კი უცვლელია, უკვდავია და მარადიული. და თუ დადგება კითხვა – რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, პასუხი ცალსახაა და ერთმნიშვნელოვანი: რასაკვირველია, სულს, მხოლოდ და მხოლოდ სულს.

ეს ის ქრისტიანული პოზიციაა, რომელსაც იცავს ღვთის მორწმუნე და მის ენაზე მოსაუბრე პოეტი. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც სულს კი არა, სხეულს ალაღებენ. ამგვარ ცხოვრებას სხეულისათვის უპირატესობის მინიჭებას/ სიკვდილი ურჩევნია პოეტს:

„ღამრისხე, ღმერთო,
განმარიდე სხეულს,
მომკალი!“.

შემდეგი საკითხი ადამიანთან მიმართებაში ასეთია: ყოველმა ადამიანმა არა მარტო ის უნდა შეძლოს, რომ სხეული გვემოს და სული გააღალოს, არამედ ისიც, რომ იყოს თვითკრიტიკული, ჰქონდეს თვითანალიზის უნარი, შეძლოს საკუთარი თავის ობიექტური, მართალი შეფასება. და არ მოხდეს ისე, რომ სხვის თვალში ბევრი დაინახოს და საკუთარ თვალში ღირეც კი — ვერა! ეს ბიბლიური სიბრძნე, რომელსაც „მათეს სახარების“ მე-12 თავის მე-7

მუხლში ვკითხულობთ, თითქმის პირადაპირ, თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოიტანა პოეტმა:

„სხვის თვალში ბევრის მძებნელი,
ჩვენში ვერ ვამჩნევთ ღირესა“...

ასევე საინტერესოა პოეტის აზრი თავისუფლებაზე, პოეტს მიაჩნია, რომ, თუ თავისუფლებაში რაღაცისაგან განთავისუფლება იგულისხმება და სხვა არაფერი, მაშინ ასეთი თავისუფლება „მონის თავისუფლებაა“. ნამდვილი თავისუფლება ისაა, როცა ადამიანი ახორციელებს საკუთარ ნებას, როცა იგი ქმნის საკუთარ თავს, სრულყოფსა და სრულქმნის მას.

ბატონ ტარიელს აქვს ერთი ლექსი, რომელიც იწყება ასე: „შემოხველ, სუნი შემოგყვა მიწის“. მე ამ ლექსს ვუწოდებდი: „ოდა გლეხკაცს“ /შშრომელ კაცს, ნაღდ კაცს, ასე რომ უყვარს საქართველო/:

„შემოხველ, სუნი შემოგყვა მიწის,
იმ მიწას ვენაცვალე,
ამოიოხრე, ო, რა სიმწრით,
მაგ ოხვრას ვენაცვალე,
შემოიტანე ქელი მაღალი,
ამაყი,

ე, მაგ ქელს ვენაცვალე,
ჭამის წინ დალიე ჩარეკი არაყი,
ე, მაგ სმას ვენაცვალე,
ცოლ-შვილს რომ ინახავ

ამარღვეულ ხელებით,

მაგ ხელებს ვენაცვალე,
მიტოვებულ სოფელს უცქერ და
ტირისხარ,

მაგ ცრემლებს ვენაცვალე,
მიჰყვები ქუჩებს და ჯანსაღ ღიმილს
შეაცვარებ,

ასე რომ გიყვარს ჩემი საქართველო,
დაღლაძდე გენაცვალე“.

ჩავიდენ არნახულ მკრეხელობას და ამ უნიჭიერესი პოეტის ლექსს მისსავე სტილში, მისივე განწყობილებით გავაგრძელებ /ანუ დავასრულებ// და ასე მივმართავ პირადად მას:

ასე რომ გიყვარს შენი ქვეყანა, ასე რომ გინდა აყვავებული ნახო შენი მამული და ბედნიერი შენი ხალხი — შენს გულს, შენ ნიჭიერებას, შენს ქართველობას ვენაცვალე!



რევაზ ინანიშვილი –
„პატარა ბიჭი
გოლგოთაზე“
(ანალიზი)

რევაზ ინანიშვილის ლიტერატურულ-შემოქმედებითი გემოვნების დახვეწილობა მისი მოთხრობების აზრობრივ ტევადობაში გამოიხატება. სამ,ოთხ, ხუთგვერდიან მოთხრობებში ზოგჯერ საუკუნეებია ასახული. დროის მოკლე მონაკვეთში წაკითხულიდან იმდენ ცოდნას შეიძენთ ქვეყანაზე, ერზე, ადათ-წესებზე, ტრადიციებზე, სიყვარულზე, ბუნებაზე, რომ ამ ყველაფრის სხვა წყაროებიდან გასაგებად დღეები დაგჭირდებათ. ეს კიდევ არაფერი, ესოტიკური სიამოვნება კი ნამდვილად დაგაკლდებათ. სიტყვათა მიზნობრივი გამოყენებითა და თავის ადგილას ჩასმით მიღწეული ეფექტი მკითხველის ემოციაში ინაცვლებს.

რევაზ ინანიშვილს საოცარი უნარი აქვს მოთხრობის პირველივე წინადადებიდან სიუჟეტის სივრცულ განზომილებაში შეიყვანოს მკითხველი, პერსონაჟების ბედი მოარგოს, მათი განცდათა თანამონაწილე გახადოს, სულ-ხორციანად შეძრას მისი მგრძობელობა და გარკვეული ცვლილება შეიტანოს მისივე განწყობაში ცხოვრების მიმართ. მწერლის შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს უახლოეს წარსულს, დროს, რომელმაც ბევრი უდანაშაულო გაუყენა გოლგოთის

გზას, სამართლიანობის სახელით უსამართლობა გააპარპაშა, შიში დაძალმომრეობა გააბატონა.

იმ ავადასახსენებელი დროის ავდარზე რომ გვიყვება ავტორი მოთხრობაში – „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, თავისი მოგონების ველში შეჰყავს მკითხველი და დასაწყისშივე ქართული სიმშვენიერის, ფიზიკური აღნაგობის, ვაჟკაცობის ტყვეობაში აღმოჩნდებით. მთავარი პერსონაჟი – მამა გამორჩეული თავის ხალხში, ჭკუა-გონებით მაღალი, ფიზიკურადაც ბუმბერაზია. მისი გამოკვეთილი ხასიათი ქართველი კაცის ბუნების გამოძნატველი ღირსეული მხატვრული სახეა. თანამემამულეთა მისადმი დამოკიდებულება კი ურთიერთსიყვარულისა და სულიერი ერთხმობის ქართული ტრადიციული ნიმუშია. მამა ის პერსონაჟია, ავტორმა რომ შეამკო ყველა იმ ღირსებით, რაც ეროვნული ხასიათის მკაფიო მახასიათებელია. გაწონასწორებული ურთიერთობები შინ და გარეთ, დიდთან და პატარასთან, სიყვარული და პატივისცემა ირგვლივმყოფთა მიმართ მამას გამოარჩევდა სხვებისგან. ერთი სიტყვით, ის იყო კაცი საქვეყნო: „ოცდათექვსმეტი წლისას ებარა სოფელი მხრებგაშლილს, მკერდგანიერს, ბრტყელქამარშემოჭერილს, სანეფო ჩექმებმოჭიმულს.“ – ასეთი აღწერილობის შემდეგ ძნელია ეს კაცი წარმოიდგინო ბავშვების გარემოში, მაგრამ სწორედაც რომ ყველგან შესაფერისი ქცევითა და გულითადობით გამოირჩეოდა იგი:

„ერთხელ ბავშვები ქოხის დადგმას ვაპირებდით ჩვენი კაკლის ქვეშ. ვერაფრით კი ვერ ჩავსვით ჭიგოები. გამოიარა მამამ, მიხვდა, რაც გავგჭირვებოდა, აიღო ერთი ჭიგო, დააწვა და ისე ჩასვა, ფესვებგატანილი გვეგონებოდა. ასევე ჩასვა მეორეც, მესამეც და მეოთხეც. შემუქებული კბილიც კი არ მახსოვს მისი, თუ კანფეტი მოჰქონდა, მოჰქონდა ბლომად, „დასაყრელად“. თუ რაღაც არ მოსწონდა ჩვენი, გვიჩვენებდა დიდსა და ნათელ სილას. უყვარდა მამიდები, ძალუები, ბებიები. ყველას დიდი ხმით მოიკითხავდა, მიუგურგურებდა. უყვარდათ იმათაც. ჩვენ გიჟს ეძახდნენ, გადარეულს.“

მწერალმა მკითხველს წარუდგინა ღირსეული ქართველი, რომლის არსებობა არათუ სოფლის, არამედ ქვეყნის სიამაყედ უნდა ირაცხებოდეს. მაინც რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ბორბალი უკუღმა დატრიალდეს და მსგავსი ხალხი მკაცრად დაისაჯოს: „და უცებ, დაიჭირეს. მამაც დაიჭირეს, პაპაც და ბიძაც დაიჭირეს.“ – ეს წინადადება შეცხადების

ტოლფასია მკითხველისათვის, რომელიც სულში ჩაღვრილი სიამოვნების დაგემოვნებას ვერც კი ასწრებს, რომ მოთხრობა ნამდვილი ქართული სუნთქვით გაჯერებული ცხოვრების სრულყოფილი ეპიზოდებიდან, მკვეთრი კონტრასტული გადახვევით იცვლება ფსიქოლოგიურ დრამად.

განუკითხაობის დრომ სამართალი ჩანთქა და შიშმა მოიცვა ქვეყანა, შიშმა, რომელსაც პოლიტიკური ნიშანი ჰქონდა, მაგრამ ხმამაღლა ვინ გაბედავდა რამის თქმას, მაშინ ხომ კედლებსაც ყურები ესხა. გაუგონარი დამოკიდებულება ადამიანთა მიმართ მათი უფლებების სრული იგნორირებით ვითარდებოდა და ყოველდღიურად უფრო მწვავე ხასიათს იღებდა.

„პაპა და ბიძა მალე გააცილეს ციხეს, სხვადასხვა ადგილას ჩაკარგეს შორეულში. მამაც იკარგებოდა. დაიკარგებოდა, არავინ არაფერი იცოდა მისი და უცებ გამოჩნდებოდა, ე.ი. მოვიდოდა ხმა, რომ ისევ ცოცხალი იყო, ისევ თბილისში იყო, ჩვენც თბილისში ვიყავით შეხიზნულნი. ხორცებს იჩქლეთდა, იმდურებოდა ბებია, – აწამებენო. გავიდა წელიწადზე მეტი, თითქოს სულ სიცივე, სიბნელე, ცუდი ამინდები...“ – ეს პასაჟი, სადაც გადმოცემულია დაჭერილთა ოჯახის ჩუმი განცდა, მხოლოდ ყურმოკრულით რომ კმაყოფილდებოდნენ და არ იცოდნენ, სად იყვნენ ან რას უპირებდნენ მათ, იმ ეპოქაში ადამიანის უუფლებობის, გაბატონებული მმართველი კლანის ერთპიროვნული ძალმომრეობის, სისასტიკისა და ერის ცხოვრების სამარცხვინო წარსულია.

მწერლის თხრობის ინტონაციაში უკმაყოფილება იკვეთება სახელმწიფოს დამოკიდებულების გამოც რეპრესირებულთა ოჯახების მიმართ, რომლებიც ძალიან ფრთხილობდნენ და იხიზნებოდნენ. ვერავინ ბედავდა ასეთი ოჯახების დახმარებას, რადგან თუ გაიგებდნენ, მათაც იმავე გზას გაუყენებდნენ. ამან არ შეაფერხა „მამას ბავშვობის მეგობარი“, მივიდა ოჯახში შეღამებულზე და მიუტანა მათ ახალი ცნობა, რომ ხვალ შედგებოდა სასამართლო და დილით ადრე უნდა გასდგომოდნენ ქალაქისაკენ გზას.

„შეღამებულზე“ მეგობრის მისვლა ოჯახში სიცხადეს ჰფენს მაშინდელი უკანონო კანონების სივერაგეს. დღისით, მზისით, ყველას დასანახად ის ვერ მივიდოდა მათთან, საღამოს მისვლაც კი რისკის შემცველი იყო. თანადგომა თუ მეგობრობა ან რაიმე სხვა სახით გამოსარჩლება ისჯებოდა.

დილით დათქმულ ადგილას რომ შეხვდებიან დედა-შვილები ბავშვობის მეგობარს, შორიდან ზვერავენ და შემდგომ დიდი სიფრთხილით მიყვებიან კვალში. სასამართლოსთან – „დიდ მრისხანე სახლთან“ ხალხი ირეოდა, ყველას ერთი გასაჭირი უმდურავდა გულს.

ვერავინ იგებდა, ვის რისთვის აპატიმრებდნენ. მათდამი გამოჩენილი სიმკაცრე ქვეყნის დამაქცევარ ბოროტმოქმედთათვისაც კი არ იყო მისაღები: – „მოიყვანესო, მოიყვანესო. ბნელში შავად გამოძირალ კუთხიან მანქანაზე იძახდნენ. ის მანქანაც რალაც წვალობდა, როგორც იქნა, გაჩერდა. კარებიდან „ნაგანზე“ ხელდადებული სამხედრო მეთაური გადმოხტა, მანქანის ბოლოსთან მივიდა, გაიჭიმა. წამოვიდნენ დიდი შენობიდან გრძელთოფიანი, ძგარუნა ჩექმებიანი ჯარისკაცებიც. გაიხსნა მანქანის უკანა კარი. იქიდანაც გადმოხტნენ თოფიანი ჯარისკაცები, გააკეთეს წრე. ჩამოლოდნენ მანქანიდან პატიმრებიც, შავები, დალულულები. დასხდნენ პირდაპირ მიწაზე. „ნაგანიანი“ მეთაური რუსულად იძახდა რალაცებს.“ – ამ ეპიზოდში გამოყენებული ეპითეტები სრულად ასახავენ პატიმართა არასახარბიელო მდგომარეობას და ჟანდარმთა არაადამიანურ ტიპაჟებს. ნათელია, რომ რუსული გავლენა დიდი იყო მაშინდელ საქართველოზე, ქართული სამართალი კი ჟანდარმერიის ხელში იწინებოდა. მწერალი მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნიუანსებით ცდილობს გადმოსცეს წარსულის რუსიფიკატორული რეჟიმის უსამართლობა. ქართველი თავის თავს არ ეკუთვნოდა. მისი ღირსება რუსის ჩექმებით ითელებოდა, ოჯახები ნადგურდებოდა და ნამდვილი გოლგოთა იყო აღმართული.

ტექსტის სიღრმეში ნათელი ხდება ასევე ჟანდარმების გულქვაობის უსაზღვროება. ისინი არც ბავშვებს დაინდობდნენ, თუკი რამე არ მოეწონებოდათ, ამიტომაც ოჯახის მეგობარი პატარა ბიჭს-შვილს არიგებს: „კარში თუ გკითხოს ვინმემ, დამლაგებლის შვილი ვარ, თათარაშვილის-თქო. შედი და დადექი დიდ კიბეზე“. – ძნელი წარმოსადგენია პატარა ბიჭის განცდები ამ უსასტიკეს გარემოში. მას აძლიერებს ის, რომ მონატრებული მამა უნდა ნახოს და უხმოდ ასრულებს უფროსების დარიგებას. შემდეგ რაც ხდება, ნამდვილად სცილდება სისასტიკის ზღვარს. პატიმართა შორის ბიჭი ეძებს მამას, მაგრამ მათში არავინაა მამამისივით ბუმბერაზი, მშვენიერი. ყველანი გასაცოლავებულები და

დასახიჩრებულები არიან: „იმ საცოდავ პატიმრებში აღარც კი ვეძებდი მამას, ისინი ძლივს მოათრევდნენ ფეხებს. ერთი ხომ მთლად სახიჩარი იყო, ორივე ფენით კოჭლი, პატარა, საქამრედ სწვდებოდა წინა ჯარისკაცს... და აი, იმ პატარა პატიმარმა დაიწყო ჩემკენ ყურება, გამიციანა და ხელიც ასწია ოდნავ ზემოთ, რხევით. მიყურებდა უკან შემობრუნებულიც. მე შევკრთი, მე ვიცანი, მე რაღაც ცუდი დამემართა. ის ძლივს ადიოდა საფეხურიდან საფეხურზე, ერთხელაც მომხედა სიცილით მაღლიდან...“ – მამის რადიკალურად განსხვავებული პორტრეტი, არათუ იმ ბიჭს, რომელსაც გაუგებარმა დრომ მამაც წაართვა და ბავშვობაც, არამედ დღევანდელ მკითხველსაც უწურავს გულისგულის. ავტორი მამისა და შვილის მზერას ერთი სხივით აერთებს და მამის მწარე ღიმილით შვილის გამხნევენას ცდილობს, შვილისა, რომელსაც უმამობა და უბედური საქართველო ერგო მემკვიდრეობად.

ბოლო კადრში ენაჩავარდნილი, გაშეშებული პატარა ბიჭი ვერავის შეკითხვას ვერ სცემს პასუხს. მან, ასე უცოდველმა, გოლგოთაზე ქართული გენის ტანჯული სულის აღსასრული იხილა. მის მეხსიერებას სიმწრის გაღიშებულა შერჩა ამ უკუნიდან გამოსალწევად და მომავალში გზის გასაკვლევად.

მწერალმა ბოლო პასაჟით შექმნა „მამის“ დაუვიწყარი მხატვრული სახე და მასშივე გააერთისხეულა საქართველოს მაშინდელი უმწეო ვითარება, ასევე, შეიძლება ითქვას თამამად, იწინასწარმეტყველა მისი დამცრობილი მომავალიც:

„ბოლოს და ბოლოს? ბოლოს და ბოლოს – კი, შემეძლო იმისი თქმა მაინც, რომ გამილიმა. ორჯერ თუ სამჯერ გამილიმა, უკან შემობრუნებულმაც გამილიმა, მაგრამ მე იმ ღიმილს ღიმილს ვერ ვარქმევდი. ის იყო... ის იყო რაღაც უცნაური თქმა: – აი, რად გადავიქეცი მეო. მხედავო? მხედავო? ჩემს ნახევრად, ჩემს მესამედად გადავიქეცი მეო... და წავიდა, ავიდა მაღლა და იქ გაქრა, შეერია ცას...“

თხრობის უბრალო მანერით, მაგრამ შინაგანი დამაბულობით დამუხტული სიტყვები, ღრმა ფსიქოლოგიურ პასაჟებს ერთმანეთს ანაცვლებენ და ვითარების სიმწვავეს გაუყალბებლად გადმოსცემენ.

ეს მოთხრობა ლიტერატურულ-ისტორიული ღირებულებით ტოლს არ უდებს სქელტანიან რომანებს და თამამად შეიძლება მისი გამოყენება საქართველოში რუსული ხიშტებით რეპრესიის გამტარებელთა განსასჯელად, როგორც დამაჯერებელი ფაქტი.



ია მაისაიას სულსა შინა

ხელოვნება, უფრო სწორედ ის, რასაც ჩვენ ხელოვნებად ვუხმობთ, უფლის გამოვლენაა პროზაში, პოეზიაში, მხატვრობაში, მუსიკაში... სამყარო მრავალფეროვანია და მისი რომელიმე ერთი ენით, ერთი ფერით, ერთი ხმით გადმოცემა შეუძლებელია. ასე ეხიდეებიან ერთმანეთს უფლის ენაზე მეტყველნი და იღუპულ ვნებათა ღელვას ხელოვნების სხვადასხვა მოცემულობაში აღავლენენ ღვთის სადიდებლად.

მუსიკა უშუალოდაა დაკავშირებული ერის ხასიათთან, ბუნებასთან. ის ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა და ამიტომაც მიიჩნევენ მას ცხოვრების თანამდევად. მუსიკა განწმენდის რიტუალია. მუსიკის სიყვარული სულიერი სიჯანსაღის ნიშანია.

„კაცი, რომელსაც თვითონ არ აქვს მუსიკის გრძობა,

ვისაც სრულებით ვერ შეარხევს ტკბილი ჰანგები, ჩაიდენს ღალატს, გამცემლობას, ავაზაკობას იმისი სული ბნელი არის შავ ღამესავით ერებს სივით წყვდიადია მისი გრძობები, არ უნდა ენდო ასეთ კაცსა.“

შექსპირის ეს გენიალური ნააზრევი სრულად წარმოაჩენს ადამიანისა და მუსიკის ურთიერთმიმართების შედეგებს.

ქართული მუსიკა ეროვნული სულის გამოძახილია, მისი ტკივილისა და სიხარულის თანაზიარია, ქრისტიანი მრევლის საგალობელია. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მას მსოფლიოს კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

დღევანდელი დღე, გრიგალ-ქარებით რომ აცამტვერებს ყველაფერს, რაც ეროვნულია, მაინც

ვერას გახდა, ვერაფერი დააკლო ქართული სულის ეროვნული მახასიათებლების აღმაფრენას პოეზიაში, მუსიკაში... მართალია, მომსწრე ვართ ახალი შეუსაბამო გავლენებისა სამამულო კულტურაზე, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც ეროვნული ცნობიერება ძლიერებს ერს. სამშობლოს, მამულის სიყვარული აერთიანებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვანთ და ერთ ჰარმონიულ ყალიბში აღიდეგენ უფალს.

ახალახან, კომპოზიტორმა ქალბატონმა, აფხაზეთიდან დევნილმა ია მაისაიამ დიდი სიამოვნება მოგვანიჭა თავისი ახალი მუსიკით, რომელიც შეიქმნა ასევე დიდებული პოეტის – თამარ შაიშველაშვილის ლექსისთვის – „სადღეგრძელო კახეთს“.

მუსიკის შესავალი ნაწილი მაშინვე მოგიხმობს ვენახში. გრძობ, გესმის და სინემატოგრაფიული ხედვით აღიქვამ, თუ თითოეული ნოტი როგორ ესათუება და რგავს თანამიმდევრობით თითო ძირ ვაზს. შესავლის ბოლო აკორდი დარგულ-ჩაფხვებული, მზუნამდგარი ვენახის სამადლობელია ცისა და მიწის სიყვარულით გამოთბარი. შემდგომ ლექსი და მუსიკა ხვდებიან ერთმანეთს. კომპოზიტორი და პოეტი ერთი და იგივე სურვილით არიან გამსჭვალული და მათი სათქმელის თანხვედრა თავისებურად ამდიდრებს კომპოზიციას. იგრძნობა მუსიკის ავტორის სულიერი გრადაცია. ვენახის სწორფერი ნოტების ახმიანება და ალაგ-ალაგ მისტიკური გადახვევები ტექსტის თემისა და იდეის განშლადობას, პოეტის სათქმელის-ვენახი, როგორც ქართული სულის, ძლიერებისა და ნაყოფიერების სიმბოლოს – სრულფასოვან გამოხატვას ემსახურება. მნიშვნელოვანია ის, რომ კომპოზიტორი სიღრმისეულად გრძნობს თითოეული სიტყვის მრავალმნიშვნელობას, ანალოგიური ფონის შესაქმნელად, როგორც თვალწარმტაცი პეიზაჟი ისე ეფინება მუსიკა ტექსტს და ესაღბუნება მსმენელის მგრძნობელობას.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მიწა-წყალში დავენახებულმა ქართველმა ქალმა ამ ლექსით საქართველოს ერთობისა და ძლიერების ხელახალი აღმაფრენა შეიგრძნო. ყური მიუგდეთ მუსიკის იმ ნაწილს, როცა ტექსტში ასეთი სიტყვებია – „საქართველოვ, კახეთიდან უფრო მეიმედები“ – კომპოზიტორმა ნღობა გამოუცხადა პოეტს და, როგორც დიდმა შემოქმედმა, ვენახის მითიური და მისტიკური საზრისების იდეოლოგიური მნიშვნელობისდაკვლად მიუსადაგა მუსიკაც, სადღაც შორეულიდან რომ მოისწრაფვის და ჭიგოსა და

ლერწის ხვევნაში რომ შლის კამარას.

მუსიკის დასასრულს, მთელი საქართველოს რთველია, ანუ კომპოზიტორმა არ გამოიყენა ამ კუთხისათვის დამახასიათებელი მისამღერი ან გარკვეული მუსიკალური ტონალობა და სწორედ იმაშია ამ მუსიკის სიდიადეც, რომ არა მხოლოდ კუთხური, არამედ ერთიანი ქართული სულისკვეთებითაა გაჯერებული. ამ გამიზნულ სვლაში იგრძნობა, რომ კომპოზიტორი კარგად იცნობს პოეტების სიმბოლურ მეტყველებას და როგორც თავად თამარ შაიშველაშვილმა ვენახით ჩაფხვებული საქართველოს სიმბოლური სახე დახატა კახეთის იდეალში, ასევე უცდომლად შეეხმინა კომპოზიტორიც. ერთი სიტყვით, დიდებულადაა ტექსტი და მუსიკა შეთანხმებული, თითქოს სიტყვები და ნოტები ეკეკლუცებიან ერთმანეთს.

შეიქმნა შესანიშნავი სიმღერა და შეემატა იმ საგალობელთა რიცხვს, რაც კი რამ დიდებული შეუქმნია ქართველ კაცს ვენახზე და ვაზზე. კომპოზიტორმა თავისი ნასათუები კომპოზიცია ანდო მომღერალს – ჯაბა მესტიერიშვილს, რომელმაც მართლაც რომ თავისი რთველივით მდიდარი ხმით მეტად გამოავლინა იას ნაშრომის ღირებულება. ამ არაჩვეულებრივი სიმღერის პირველი ხიბლი – ჯაბა მესტიერიშვილმა მიიტანა მსმენელამდე და მისი ხმის ჰანგქართული დრეკადობით დარჩება ეს სიმღერა მსმენელის მეხსიერებაში.

ია მაისაიას შემოქმედების მუსიკალური სამყარო გამორჩეულია. არის მასში რაღაც ისეთი, გულში რომ ჩავახედებს, სამშობლოს ტკივილსაც და სიდიადესაც ცრემლად რომ გამოგადენს. თითქოს თითოეული ნოტი შენთვის უკრავს და მოგიხმობს სიყვარულისა და მშვიდობისათვის, ერთობისა და ძლიერებისათვის, საკუთარი თავის შეცნობისა და თანამემამულეთა თანადგომისათვის. აკორდიდან აკორდამდე კომპოზიტორი მთელ საქართველოს ატეკვს. სხვადასხვა ეპიზოდის ქვეტექსტების თემა ერთი და იგივეა, ისინი ცალად გაფანტულ, გათითოკაცებულ ერს ერთობისაკენ მოუწოდებენ. თითქოს გესმის კომპოზიტორის გულის არა მხოლოდ ფეთქვა, არამედ, საკუთარ ფუძე-კერას დანატრებული კვნესაც. ზოგჯერ კი ისე ბუბუნებს, როგორც სამშობლოს მიწა-წყალთან, უტყვ და მეტყველ ბუნებასთან განზავებული სული. მისი კომპოზიციების მთავარი მახასიათებელია კონსონანსი – კეთილხმოვანი აკორდები და, რა თქმა უნდა, მუსიკაც პოზიტიური და ოპტიმისტურია. ადამიანი, რომელმაც დაკარგა საკუთარი ცა, მიწა, ზღვა, ასე იყოს განწყობილი და მხოლოდ აღმაფრენათა

ციკლით გადმოსცემდეს მთელ თავის სატკივარს, ღვთის წყალობაა. მისი მუსიკის პოზიტიურ განწყობას რეფერენად ტკივილი სდევს, ტკივილი, რომელიც ყოველი ახალი ნოტის გამამხნეველ ინტონაციაში იკურნება თითქოს და ბოლოს სიმშვიდე და სიყვარული ისე ეხმიანება მსმენელის გულსიტქმას, როგორც გაზაფხულზე ჩამოფრენილი მერცხალი თავის გადარჩენილ ძველ ბუდეს.


ია მაისაიას შემოქმედებითი ინდივიდუალობა მისი წარმატების საფუძველია. თანამედროვე მუსიკალური სამყაროს სიჭრელე თვალშისაცემია, უფრო სწორედ, უმეტესწილად ყურთასმენის დამხშობია, მაგრამ სწორედაც რომ ეროვნულსულოვან ძლიერ შემოქმედთა შორის დგას ია მაისაია და მათთან ერთად აყვავილებს ქართული მუსიკის პირველმყოფელ ჰანგებს.

სიო რომ დაუბერავს ზაფხულის ხვატში, სულის მოსაბრუნებლად რომ მიუშვერ გულმკერდს და ღრმად შეისუნთქავ ბუნების ნაწყალობე სივრცელს, შევბას რომ იგრძნობ და სიამით აღივსები, უფალს მადლობას შესწირავ და სადიდებელს აღავლენ, ამ განწყობას ხომ არაფერი შეედრება და იგივე განცდა დაგეუფლებათ, როცა უსმენთ ამ შესანიშნავი კომპოზიტორისა და ბრწყინვალე პიროვნების, სანაქებო ქართველი ქალის მუსიკას.

ია მაისაიას შემოქმედებას შეიძლება ეწოდოს მუსიკალური ფერწერა. მისი კომპოზიციები სოხუმის ტალღის სუნთქვითა და ღელვითაა გაუღენთილი. იგი თანაბარი სიყვარულით ესათუება მთასა თუ ბარს, ცასა თუ მიწას. ნაკადულის ჩუხჩუხი, წყაროს რაკრაკი, ფრინველთა გალობა, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი ისევე ენაცვლებიან მის კომპოზიციებში ერთმანეთს, როგორც მისივე სამშობლოს ბედისწერა უხსოვარი დროიდან. საქართველოს მრავალფეროვან გამას მიგნებული ზუსტი აკორდებით აფერადებს კომპოზიტორი და დახვეწილი გემოვნებით იპყრობს მსმენელის სულთა შინას.

ბულნაზ გვალია

ერთი ლექსი



ჯანსუღს!

ვაზი ამოვა ლიბოზეც,
 მზერას მოგტაცებს ანაზად,
 რა არის ერთი სიცოცხლე –
 ცერზე შემდგარი ავაზა...
 ერთი სიკვდილიც რა არის,
 თუ კაცი გულით ლომია,
 სამშობლო არის მთავარი,
 ვისთვისაც მუდამ ომში ხარ...
 კაცობა არის მთავარი,
 კაიკაცობის სახელი,
 ერთხელ სიკვდილი რა არის,
 ათასჯერ მისი მნახველის...
 ვისთვის ცხოვრება ვარდის გზა,
 ვისთვის სულ ბეწვის ხიდია,
 ამაოების ბაზრიდან,
 ღვთის საუფლოში მიდიხარ!..

ჯუბა ღებელი

ბარდანიცვალა ჯანსუღ ჩარაკიანი, ჟურნალ „ანეზის“ მართვული მმართველი და გულშემატკივარი, რომლის წასვლითაც, შეიძლება ითქვას, რომ დასრულდა ერთი ეპოქა!..

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის თქმით კი, იგი, როგორც ბერძენა, ისე იღბა ქართული ლექსისა და ქართული სულის საღარაჯოზე... მის ლექსებზე თაობები დაიზრდებიან!

ილია ლანჩავა



* * *

აღარ ვწერ ლექსებს –
 სურვილი ლექსის ჩაქრა,
 ვით ერთ დროს წადილი ფრენის
 და როიალის სამკუთხედიდან
 დოღმა ამოყო ბელტების ყელი...
 ვეღარ ვწერ ლექსებს –
 იმ სინარულებს
 შემოეხიათ აპრილის ფარჩა,
 შხაპუნა წვიმის სიმღერებიდან
 დაწვზე შემხმარი ცრემლები დამრჩა.
 აღარ ვწერ ლექსებს...
 ვისაც ვუძღვნიდი, ვერ გრძნობდა,
 ეჭვით მიმზერდნენ სხვები...
 აღარ ვწერ ლექსებს...
 რვეულთან ერთად დაკვეცი
 ერთ დროს საფრენი ფრთები.

* * *

მტრედს გავატანე ბარათი,
 ქარს ავადევნე ჭორი,
 აზარფეშებით ღვინო ვსვი,
 ბახუსს მოვუგე ომი...
 მარტოობაში ნამღერი
 ცრემლად მივანდე მიწას,
 უფლის სახლი ვარ მიწაზე –
 ჯვარსახონება მიცავს!..

* * *

ისე მენატრები, ისე, იმნაირად,
 შენი დანახვისას...
 გკოცნი თვალებით –
 თვალები გამიტუჩდა...
 გკოცნი ღაწვებით –
 ღაწვები გამიტუჩდა..
 გკოცნი ბაგეთი –
 ბაგე გამიტუჩდა..
 გკოცნი ხელებით –
 თითები გამიტუჩდა..
 გიმზერ... ვგრძნობ ...
 თანდათან მთლიანად ვტუჩდები...
 ისე მენატრები, ისე... იმნაირად,
 ხელს გართმევ,
 მეხები –
 მეტუჩიტუჩები..

თვალებით – ტუჩებით
 ღაწვებით – ტუჩებით
 ბაგეებ-ტუჩებით,
 ხელებით – ტუჩებით...
 სხეულით – ტუჩებით...
 და ვეღარ ვყურდებით...
 ისე მენატრები – გეტუჩიტუჩები
 ისე გენატრები – მეტუჩიტუჩები
 მზერაში გაპარულ ვნებიან ტუჩებით
 ისე მენატრები.....

* * *

იყო – რა მოკლედ ითქმის წარსული,
 თითქოს რაც იყო, ვარდფენილია,
 ყველა ტკივილი და სინარული
 გზაზე იებად გაფენილია...
 მერე... გაწელავს სათქმელს ფიქრები
 და აიძვრევა ფერების გამა,
 სულაც არ ფიქრობს, ხვალ თუ იქნება,
 ისე ოცნებობს, დღე როდის გავა...
 მერე... თავდახსნას ასე პოულობს
 ოცნების ზღვასთან მისული კაცი
 და სპირალურად ეწყობა ნატვრა,
 თუ ღმერთიც ცოტა სიცოცხლეს აცლის...
 და ისევ იყო... მოკლედ იხსნება
 წერტილდასმული სიცოცხლის გზები
 და ყველა „იყო“ მოჰყვება „მერე“...
 მერე, როდესაც ჩვენ არ ვიქნებით...

უსიყვარულო ცხოვრების ფრაგმენტი

ცა – აჩეხილი ღრუბლის ქულებით,
მზეს დაეძებთ და ეჩურჩულებით.

მიწა – გამსკდარი წითელ ვარდებად.
არავისი ხართ და გედარდებათ.

ჰაერი – მლაშე, მაძლარი ცრემლით,
იციტ, არ მოვა, თქვენ მაინც ელით

დრო – გაფენილი სარეცხი ქარში,
სივრცე – უძლები ყველაფერს დაშლის.

ის – გაყოლილი ტალღებს ოცნება,
გრძნობაჩაკლული არ იკოცნება.

თქვენ – დარჩენილი კენტად ფერია,
დღეებს იმშვიდებთ – არაფერია!

უსიყვარულო ცხოვრების ჩარჩო
მხრებზე გიჭერთ და ცრემლები გახრჩობთ.

ნებივრობა მზესთან

დღეს ჩემს თითებში მხოლოდ აღია
და შენს სხეულზეც ვაჩაღებ კოცონს...
ვნებააშლილი ხარ სასწაული,
არ დავიღლები, რაც უნდა მკოცნო...
შენი თვალების მწველ სითაფლეში
ვიძირები და...
ვთვრები და...
გეწვნი...

ბაგე ბაგეთა ბანგშენასვამი
გეწაფება და წყურვილში გერწყმის...
აწვეტილია სულიც, სხეულიც
შესისხლხორცებულ სურვილთ სიმბაგით,
ამოხსნილია ბილინგვა ყველა –
შენ მზე იყავი და
შ ე მ ი ყ ვ ა რ დ ი ...

* * *

„მერე“ ... ლამაზი სიტყვაა „მერე“
„მერე“ – იმედის ნაპერწკალს იტევს,
მერეთი დათარიღებულ ნატვრას
რა ეშველება „მერე“-ის იქეთ?

„ალბათ,“ – სასწორის ცანცარა პინა
ოქროს შუალედს მძიმეში იტევს.
ალბათ, როდესმე გამიგებ, მაგრამ...
რა ეშველება ალბათურ ფიქრებს?

„ნეტამც“, – რამხელა სათქმელი რჩება
ამ კუდმოკვეცილ ტკიცინის იქით,
ნეტამც, ის იყო, მე ვისაც გიცნობ...
ნეტამც, გითბობდე გაყინულ თითებს...

„ჰო,“ „იქნებ“, – ისევ „ჰო იქნებ“, მარა...
ამ დაწნეხილი ტკივილ-დარდიდან
ოქროს შუალედს, ახდენილ ნატვრას
იცნობ და იგრძნობ – ის დრო წავიდა...

* * *

წამი წამიდან წამამდე
წამწამს აწამებს წიკწიკით
მომწყურდი..
ისე მომწყურდი....
მომწყურდა შენი ტიკ-ტიკი.

წამი წამს ეწამწამება
მომწყურდი, სულო, თავნებავ...
წამი წამს ისევ წაება...
გრძელდება ჩემი წამება.

* * *

მე მიღალატეს! (?!)
არ დაიჯერო! –
მათ საკუთარი თავი გასწირეს,
გულიც მატკინეს,
სისხლიც მადინეს,
ღალატის ცოდვას გადამარჩინეს.



შენი სუნთქვა

შენი სუნთქვაა ის, რაც არის და რაც არ არის...

შენი სუნთქვაა ჩემი ჰაერი
და ცა – განფენილი თეთრი ბალებით
და უხილავი სივრცე სულისა,
რომლისკენაც მე ვილტვი დღემდე დასაბამიდან...

შენი სუნთქვაა ის, რაც არის და რაც არ არის,
ანუ არის ყველაფერიც და არაფერიც,
მაგრამ ჩემთვის შენი არაფერიც ყველაფერია!

მე ვკვდები.
მიზიარე შენი სუნთქვის ერთი ნამცეცი.
ჩამაწვეთე შენი სუნთქვის თუნდ ერთი წვეთი.

ორსული

შენი ამობურცული მუცელი ყვავილია,
რომელიც სამყაროს ანათებს...

* * *

ამ წუთისოფელს ქრისტე ანათებს!

* * *

პიროფლიანი და ფეხშიშველი კაცი
ყანაში დგას და სიმინდს თონხის
და ჩუმად ღლინებს სიმღერას
სამშობლოზე.

მთვარე,
გუმბათებზე დაღვრილი,
ცაზე,
წეროების გადავლა...
და მე,
რა ხანია გავყვირი:
სადა ხარ!

მთები,
მარადმწვანე, დასვრილი
მზით და
ერთმანეთით, ნისლებით
და მე
უშენობით დაღლილი,
გისსენებ...

მტრედი,
გალუმპული ღულუნით,
მისი საუბარი
ჰგავს ფოთლებს...
ჩვენი
საუკუნის უკუნი –
მაშფოთებს!

სიო
ეფინება ეზოებს
და თავს
სიმინდებით ისერავს...
გაჰყვა
შემოდგომის წეროებს
მამის ცრემლიანი სიმღერა.

ოდა თავდადებას

გზაა ფენილი დიადი შუქით,
იმაზე მეტით, ვიდრე ბრწყინავს მზე...
და მე შენს ხსოვნას ვიჭედებ ლურსმნით
იაჩამდგარი გულის ფიცარზე.

სიტყვაა სავსე ზეციურ ყურძნით
და ის გვიამებს სულის იარებს...
და კრწანისელთა მსგავსად თავს ვუძღვნი
ყაყაჩოების წითელ მდინარეს.

კესანეს

სადღაც პატარა გემმა
ზღვა გადაცურა ნისლის,
ვგრძნობ ცის ტალღების ცემას,
ვგრძნობ ტირიფების ტირილს.

მდელო დედოფლობს ირგვლივ,
ანუ ეშვება თოვლი
და უბნის ბავშვებს ციგით
უნდათ სამყაროს მოვლა.

შენ ხარ სამყაროსტოლა,
შენ, პაწაწინა ჩემო,
ცხოვრება არის ბრძოლა
და ამ ბრძოლაში შემო,

შემოიჭერი, როგორც
ნისლი იჭრება ხევში,
შენ, თოვლისფერი გოგო,
ცისფერ ყვავილით ხელში.

შემომიერთდი მშვიდი
ჟღურტულ-ჭიკჭიკა ხმებით,
რომ წუთისოფლის ბინდი
ვშალოთ მრავალი ფერით.

არაფერს არ აქვს ბოლო,
მით ადამიანს, შვილო,
მე მხატვარი ვარ, ხოლო
თოვლი ქათქათა – ტილო.

ნამქერია და თივის
ზვინს მიათოვა სოფლად,
გულში ყვავილი ღვივის,
თოვა მრავალჯერ მოვა.

მთები ირთვება ირგვლივ
თოვლით, თოვლით და თოვლით
და ამ ქუჩების იქით,
გორაკებისკენ, იქით,
უბნის ბავშვები ციგით
მიიმღერებენ თოვლში,
სასწაულებრივ თოვლში...

ნინ, მე შენ მიერ ამოსუნთქული
წმინდა ჰაერის ჩასუნთქვა მიყვარს.
და ფიფქი – ღრუბლის თეთრი ბუმბული
ჩვენს ბაღში ჩუმად ეცემა მიწას.
როცა გიკოცნი ცხვირის ნესტოებს,
შენ ეს გაოცებს და ილიმები.
გადაეფინა თოვლი ეზოებს,
ღრობით შეწყდა წვიმის სიმები.

მე შენი სუნთქვა მაძლევს იმ ძალას,
რომ წინააღმდეგ საკუთარ თავის
განვაგრძო ბრძოლა. ვიმარხავ, ვმაღავ,
ჩვენში, ჩვენს შორის ამოსულ ყვავილს...
როგორც ვთქვი: მე შენ ყოველდღე გკოცნი
იმ ორგანოზე, სუნთქავ რომლითაც,
შენა ხარ ჩემი ფოთოლიც, თოვლიც
და უშორესი ციდან მოდიხარ

და ავსებ მთელ ჩემ არსებას იმით,
რითიც ფლობ, იპყრობ შრიალს
ვერხვების
და შენვე (ზოგჯერ) შენივე სიღრმის
სიმშვიდეების ნისლში ეშვები...
კვლავინდებურად მიყვარხარ ახლაც,
კვლავინდებურად მოვიდა თოვლიც,
შენ მზის ამოსვლაც ხარ და მზის ჩასვლაც,
შენა ხარ ჩემი ვენახიც, ცოლიც.

სახლი ცითაა შემოფარგლული,
გული გრძნობს თოვლის სრულქმნილ სისავსეს
და ისე ღრმაა ეს სიყვარული,
რომ მის უფსკრულში ვერ ჩანს სინათლე...
მარადისობის ვატარებთ ბეჭედს
და აღარაფრის შიში არა გვაქვს
და ერთად მრავალ სასწაულს შევძლებთ
ამ დედამიწის სივრცის გადაღმაც.

ადამიანი

რა იღუმალა ადამიანი,
როგორი ღრმა და შეუცნობი არსება,
მთელი თავისი შიდა და გარე არსით –
დაბადებამდე დედის მუცელს ამობურცავს,
გარდაცვალებისას – მიწისას...

ნინუცა გვირილა

რა მდიდარი ხარ, ცოტა რომ გყოფნის,
რა მდიდარი ხარ, რომ ითხოვ მცირედს.
შენი ცრემლია გამდნარი თოვლი,
შენი ღიმილი ასხივებს იმედს.
მიშუშებ ნუგეშს. შენ ჯვარსაც მსახავ
სახლიდან გარეთ გავდივარ როცა
და შენი სუნთქვა და მაღლი მახლავს
ასე უბრალო გლეხსა და მგოსანს.
ვითარცა ყვავილს, გეხები, გყნოსავ,
რამეთუ ხორბლის სურნელი აგდის,
მე მიყვარს – შენი თოვლივით მოსვლა,
მე მიყვარს – შენი ნათელი დარდიც.
ჩვენი სიყვარული სავსეა თოვლით,
ჩვენი სიყვარული სავსეა მზითაც,
ცისარტყელები თან დაგაქვს თვალთ
და სამყაროში ფენ, შლი და ცრი ცას...
და მე მაგ შენი ხორბლისფერ კანის
ვგრძნობ და განვიცდი ბუსუსებს,
ხორკლებს
და იმოსება სუნთქვები მწვანით
და ვრცელი მინდვრის სიმშვიდეს
ტოვებს...
რა მდიდარი ხარ, ცოტა რომ გყოფნის,
რა მდიდარი ხარ, რომ ითხოვ მცირედს.
ამ შემოდგომის სამოთხის ფოთლის
გუბე უბეში წიგნივით მიღვეს.

შენ და მე, ანუ შემოდგომის სონატა

ბუხარში ცეცხლი და ცეცხლზე სოკო,
ბუხრის თავზე კი – საათი, წიგნი,
ბუხრის წინ მჯდარი ბიჭი და გოგო
და გული გულთან და სახლი მშვიდი.

მათ სიყვარულის შეიპყრეს ჩიტი
და ერთმანეთში გაუშვეს ლაღად...
ნატრობენ ბავშვის ჟღერტულს და ტიტინს,
რაც მათში დიად იმედებს სახავს.

გარეთ წვიმა და ჰაერი ცივი,
ხეები სველი, ქუჩები სველი,

ტყე ნელა-ნელა სიყვითლეს იცმევს
და ახლოვდება გრძნობების რთველი

და ეწებებათ გულზე ცა მისი
და ეფინებათ ფოთლების მსგავსად.
გუბდება ხევში მღუმარე ნისლი,
ქალაქს, რომელიც ახლახან გასცდა.

და რასაც ახლა ეს წვიმა მაღავს,
რალაცით თითქოს ედრება ედემს,
აქვს ღვთაებრივი მაღლი და ძალა
და წკაპა-წკუპით ქმნის თავის შედეგს

და შემოდგომის მატულობს სიღრმე
და ცივი სითბოც ახლოა ზამთრის
და გორაკების ქათქათა ირმებს
ედება მთვარის კრძალვა და ხათრი...

ბედნიერია რამდენი რამით
აღამიანი – გაჩენის დღიდან,
რამეთუ სწორედ, ის პირველ ღამის
წუთიდან მრავალ სატკივარს ზიდავს...

ბუხარში ცეცხლი და ცეცხლზე სოკო,
ბუხრის თავზე კი – საათი, წიგნი,
ბუხრის წინ მჯდარი ბიჭი და გოგო
და ბავშვის ფეთქვა მათ წიაღს შიგნით.

* * *

ვინ წარმიძვება ვარსკვლავებისკენ,
როცა გადავიტან უდაბნოს ქარებს,
როცა უდაბნოში ხეტიალის დრო
დასრულდება,
როცა წყალივით დაგუბდება მზის კალოები,
როცა თვალეში კოსმიური ცა განათდება,
როცა ცრემლჩაღვრილ გულში დილა
გაღამლის შრომანს,
როცა მობერავს ჯეჯილის და ვაზის შრიალი,
როცა მეცემა მარადიული თოვლის სურნელი,
ვინ წარმიძვება ვარსკვლავებისკენ?

ღანი მიქაძე



ჩემო კარგო ქვეყანავ!

რა კარგად ეხამება ეს სიტყვები ერთმანეთს, როგორ ესაღბუნება ყურს და თქვენი არ ვიცვი, მე უმალ ცრემლები მადგება. იქნებ იმიტომ, რომ შემდგომი სტრიქონები ვიცვი, ან ის, რომ ვიცვი რატომაც და რა დროში დაწერა ილიამ ეს ლექსი.

„ჩემო კარგო ქვეყანავ“ – რა უბრალო და რა ნაზი მოფერებაა. არა, ჩემო პატარა ქვეყანავ, არა, ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არა, ჩემო უბედურო ქვეყანავ, არა! – უბრალოდ და კეთილად – ჩემო კარგო ქვეყანავ.

ყური მიუგდეთ მხოლოდ ამ სამ სიტყვას, მეტი არ გინდათ, მხოლოდ ამ სამ სიტყვას უსმინეთ და ხომ იხსნება უცებ შენი ქვეყნის ცარგვალი. ხომ სურათებად დაგიდგებათ წინ: სვანეთი, ხევსურეთი, რაჭა, ლეჩხუმი, აფხაზეთი, კახეთი, გურია, იმერეთი, აჭარა, სამაჩაბლო, სამეგრელო, ქართლი, მესხეთი, ჯავახეთი, თუშეთი... არა?! – მაშ, შენ ესენი არ გინახავს. წისქვილის დოლაბთან მსხდარი მოხუცებიც არ გინახავს, არც ალვანში გაჭენებული ცხენები გინახავს, არც შავი ზღვა გინახავს, ზაფხულში კი არა, ჭილყვაკებივით რომ შეესევით ხოლმე. აი, სხვა დროს – გნებავთ ზამთარში, როცა ზღვა მარტო შენია და უამრავ საიდუმლოს ანდობ.

არც წინანდლის ბაღი გინახავს, არც ალაზნის ველის მშვენებით დამტკბარხარ ერეკლეს სასახლის ეზოდან. არც უშგულისა და კესელის ყელმოღერებული კოშკები გინახავს, არც შატილის მჭმუნვარე დიდებულება და გერგეტის სამების ღრუბლებში

აწვდილი გუმბათი. ეს ამ წუთში რაც მომაგონდა, თორემ რამდენი რამ არის აღსაფრთოვანებელი ამ დალოცვილში.

და მაინც, ნამდვილი ქართველი გინახავთ?! აი, ტელევიზორში სახელაკარგული ქართველი კი არა, უბრალო, მშვიდი, თავისი საქმის უამბიციოდ გამკეთებელი, გონიერი ქართველი – მზის ამოსვლა რომ უხარია და მზის ჩასვლით ტკბება. მიწაზე ფეხის დადგმას რომ არაფერი ურჩევნია და ამ სოფლის იწილო-ბიწილოს შორიდან და ღიმილით შეჰყურებს.

მე მინახავს, ხალხში მინახავს, სოფლად მინახავს, ღრმა პროვინციაში მინახავს, დედაქალაქში, რა თქმა უნდა, მაგრამ ტელევიზიით კაცს ვერ გამოიცნობ, კაცი ქვეყანაში უნდა ეძებო – ჩემო კარგო ქვეყანავ!

„ო, როგორ მღუპავს გრძნობა – ჩემი მოსისხლე მტერი!“

ეს გალაკტიონია. რამდენი ასეთი პოეტური თუ აზრობრივი შედეგრი აქვს გალაკტიონს. რამდენი მეცნიერის კალამი დამშვრალა გონებისა და გრძნობის შეურიგებლობაზე, ერთისა მეორესთან დამოკიდებულებაზე, გრძნობასა და გონებას შორის არსებულ ნაპრალზე.

იკვლევენ მეცნიერები – ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები. ამ დროს ადგება პოეტი და ერთი კალმის მოსმით დაწერს: „ო, როგორ მღუპავს გრძნობა – ჩემი მოსისხლე მტერი!“

როგორ უნდა დაგლუპოს გრძნობამ, როგორ უნდა გახდეს იგი შენი მტერი?! აკი მეორე გენიოსი ვაჟაფშაველა არ ამბობს?! – „მკვდარია უგრძნობი კაცი – უსაზარლესი მკვდარზედა“. მოდი და ედავე ან ერთს ან მეორეს. ან ერთია მართალი, ან მეორე, მაგრამ არც ასეა საქმე – ორივე მართალია და ერთი მეორეს სულაც არ გამორიცხავს.

გალაკტიონი ხომ არ ამბობს, უგრძნობოდ სიცოცხლე კარგიაო. უბრალოდ, უაღრესად გაფაქიზებული ინტელექტუალური ნერვის მქონე პოეტს ზვაავით ატყდება მის ირგვლივ არსებული სამყაროს ტკივილი და სინარული, გულისგულამდე წვდება და ერთიანად აზანზარებს. სხვას შეიძლება ნერვიც არ შეუტოკდეს, არც შეამჩნიოს ის, რაც პოეტისათვის უდიდესი განცდის საგანია. ამიტომაცაა „დამღუპველი“ იგი მისთვის, ამიტომ ქცეულა გრძნობა მისი სიმშვიდის „მოსისხლე მტრად“, თორემ განა თვითონ ინატრებდა უგრძნობლად ცხოვრებას?!

ვინმეს არჩევანის წინაშე რომ დაეყენებინა, ჩვეულებრივი მოკვდავის შეგრძნებებით ეცხოვრა თუ მღელვარე განცდებით, ალბათ მაინც უკანასკნელს აირჩევდა, რადგან ეს მისი „სასჯელი“ იყო ღვთისაგან ბოძებული, მისი ტვირთი, ტკივილი და ბედნიერებაც. თავად არ ამბობს ერთგან – „რა არის იგი, ბედნიერებით გამოწვეული უბედურება, თუ უბედობა სიმწარე ვნებით?“

მაგრამ მაინც, რატომ გაწირა გალაკტიონი ღმერთმა ასე?! – გაწირა თუ პირიქით?!

ნაძვის ხის სათამაშო

ყველა ღღესასწაულზე მეტად ახალი წლის დადგომა უყვარდა. ბავშვობიდან ახსოვდა, როგორ ემზადებოდა ოჯახი საგანგებოდ ახალი წლის შესახვედრად.

ზეიმი სოფლიდან ხორაგის გამოგზავნით იწყებოდა. სოფელში აუცილებლად 25 დეკემბერს იკვლევოდა ღორი. ღორის თავი, კუპატი სხვა რაღაც რუცებთან ერთად მამას ჩამოჰქონდა. ასევე ზუსტად 25-ში რთავდნენ ნაძვის ხესაც. ნაძვი იქვე იზრდებოდა, მათ ეზოში. მამა ნაძვს წვერს წააჭრიდა, მაგრამ ეს წვერი ხანდახან იატაკიდან ჭერს წვდებოდა და ირთვებოდა ნაძვის ხე ათასნაირი ბრჭყვიალა სათამაშოებით.

ეს ზეიმის ერთი ნაწილი იყო. განსაკუთრებით სწორედ ნაძვის ხის მორთვა უყვარდა. ახსოვს, როგორ გამოჰყავდა ბამბის მძივები.

ახლა კი, ახლა ისე, მოვალეობის მოხდის მიზნით რთავს ნაძვის ხეს. ბიჭი დიდია უკვე, რა ენაძვისსხეება. წავიდა ის დრო, როდესაც თოვლის ბაბუა ნაძვის ხის ძირში უტოვებდა საჩუქრებს.

ახლა რთავს შუანის ქალი ნეილონის ნაძვს. ცდილობს, გემოვნებით შეურჩიოს ადგილი ყოველ სათამაშოს. არც ტრადიციას ღალატობს და თითო-ოროლა ახალ სათამაშოს ყოველ წელს მიუმატებს. აი, წითელი ბაფთებიც დაამაგრა, ვარსკვლავიც მიაბნია წვერზე, წვიმიტაც მორთო. პარკში ჩახედა – ერთი სათამაშო დარჩენია, ამოიღო და გააჟრჟოლა, ეს მამისეული სახლიდან წამოღებული ბავშვობის-დროინდელი გირჩი იყო. და უცებ გათბა ყველაფერი მის ირგვლივ, უცებ ეს, ჩვეულების გამო მორთული ნაძვის ხე, უძვირფასესი გახდა მისთვის. და ის განწყობა დაეფულა, რომელიც წლების წინ ჰქონდა ღრმა ბავშვობაში, როცა უზომოდ უხაროდა ყველაფერი. ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, ბავშვივით მორთხა ნაძვის ხესთან, ხელში გირჩი ეჭირა და

ცრემლები უბრწყინავდა თვალებში. მოაგონდა დაკარგული ბედნიერება, უნდოდა ეტირა, ელრიალა, ეყვირა, ანაც... არც იცოდა, რა უნდოდა.

ვინმესთვის ეთქვა?! – ვინ რას გაიგებდა. მოუსმენდნენ, ჩაილიმილებდნენ. იქნებ ერთ-ორს გაეგო კიდევ, მაგრამ მათ ხომ ის განწყობა არ ექნებოდათ.

იმ ახალ წელს განსაკუთრებული სითბოთი უყურებდა ნაძვის ხეს. როდესაც ნათლისღების დღეს ჩამოსხნა სათამაშოები, კარგა ხანს ეჭირა გირჩი სათუთად ხელში, როგორც განუმეორებელი ბავშვობა.

მესსი

ღიას, მესსი და არა მესი, რომ უფრო ძლიერად გაჟღერდეს მისი გვარი. ღიას, ასე მინდა, განსაკუთრებით გუმინდელი თამაშის შემდეგ. გუმინ „ბარსელონა“ „ვალენსიას“ ხვდებოდა შინ „ნიუ-კამპზე“ (2012 წ. 19 თებერვალი).

„ვალენსია“ ყოველთვის საინტერესო მეტოქეა ბარსასთვის, ამიტომაც გადავდე თავი ამ მატჩის საყურებლად. ჩვენი დროით ხომ საკმაოდ გვიან იწყება ესპანეთში შეხვედრები. არც მინანია, ან როგორ უნდა მენანა, როდესაც ფეხბურთის ნამდვილი ღღესასწაული ვნახე. მაგრამ ცალკე ბარსელონა და ცალკე მესსი. თუმცა იგი გუნდურ თამაშს თამაშობს, მაგრამ მისი ინდივიდუალობაც თვალსაჩინოა. თანაც მისთვის მე-200 მატჩი იყო ბარსას შემადგენლობაში და არც მეტი, არც ნაკლები, ოთხი ბურთი შეაგდო მეტოქის კარში.

სამი ბურთის გატანის შემთხვევაში რომ ჰეთორიკია, ეს ყველამ იცის, მაგრამ აი, ოთხ ბურთს რომ გაიტანს ერთი მოთამაშე, ამას რომ პოკერი ერქვა, ნამდვილად არ ვიცოდი.

მესსი კი არ თამაშობდა, ლაღობდა მოედანზე. სისწრაფე, ტექნიკა, თავდაჯერებულობა, გნებავთ უბრალოება და გონიერება აშკარად იგრძნობოდა.

ვიღაც ჟურნალისტმა, ამდენი ხანია ვარსკვლავია და ინგლისურად ვერ ლაპარაკობსო. ნუ ილაპარაკებს, ვის უნდა მესსის ინგლისური. მესსიმ უნდა ითამაშოს, თუნდაც საერთოდაც ნუ ამოიღებს ხმას.

კარგა ხანია, ასეთი დიდი სიამოვნება არ მიმიღია. ძალიან გავხალისდი და უფრო მახლობელი ქალიც გავხდი ქმრისთვის. ისე, ფეხბურთის გარდა, ინტერესების სხვადასხვა სფერო გვაქვს. აი, აქ კი ორივე ერთნი ვართ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბარსა თამაშობს ზედ დამატებული მესსით.

გაგიმარჯოს მესსი!

ხელები როიალზე

ერთ-ერთი ელიტური რესტორნის კუთხე, სადაც შავი როიალი დგას და პიანისტი მსუბუქ მუსიკას უკრავს. უკრავს თავისთვის, ეტყობა, რომ პროფესიონალია და დაკვრა სიამოვნებას ანიჭებს. შიგადაშიგ იმპროვიზაციებს აკეთებს. ამას ვერავინ ხვდება და ამის გამო არც არავინ ელაპარაკება. რომც მიხვდნენ, მერე რა. ეს სამუშაო მისთვის არა მარტო საშოვარია. დარბაზში თითქმის არ იხედება, არც აინტერესებს მიმსვლელ-მომსვლელი. სალამოს განსაზღვრულ საათებში მუშაობს. ხანდახან ეზარება კიდეც წასვლა, მაგრამ რა ქნას. ოჯახი არ ჰყავს. უყვარდა ერთხელ გააფიქრებთ, მერე მიატოვეს და ახლა ეს თემა მისთვის დახურულია. არც ქალებს აინტერესებთ დაბალი, მელოტი, უფულო პიანისტი.

ქალი კი, რომელიც დარბაზში ზის მეგობარ მამაკაცთან ერთად, ერთობ მოწყენილია. მოწყენილი იყო გუშინაც, გუშინწინაც და იმისწინაც. ორი წელია ერთად არიან და ეს ურთიერთობა აშკარაა, უკვე არცერთს ხიბლავს, თუმცა პირველი ნაბიჯის გადადგმა ორივეს უჭირს.

ორი ჭიქა შამპანური და ქალი ოდნავ აღეზნო, მაგრამ თავის მამაკაცს მაინც გულგრილად უყურებს. შემთხვევით როიალისკენ გაიხედა, მუსიკოსის ხელებს შეხედა და ველარც მოწყვიტა მზერა. პიანისტის გრძელი და მოქნილი თითები მოხდენილად დანავარდობდნენ კლავიშებზე.

ახლა მუსიკასაც ჩაულრმავდა და მიხვდა, ნამდვილ მუსიკოსთან ჰქონდა საქმე. მეორე დღეს მარტო მივიდა, მსუბუქი საუნძე და შამპანური შეუკვეთა და ისევ ის ხელები, თან მამაკაცური და თანაც თლილი თითები. ქალი არ უყურებს სახეს, ტანს. თვალი კი შეავლო, მაგრამ არ დაინტერესებულა. ხელები მხოლოდ ხელები გვრიან ვნებას ისეთს, რომ მეორე და მესამე დღესაც მიდის.

მეგობარი მამაკაცი ეჭვიანობს. იგრძნო, ის სუსტი ძაფიც გაწყდა, რაც მათ აკავშირებდა. თითქოს მასაც ეს უნდოდა, მაგრამ მამაკაცურმა თავმოყვარეობამ იძალა და ქალს დაუდარაჯდა. გაოგნდა, მარტო რომ დაინახა რესტორანში. ვერაფერს მიხვდა. კარგა ხანს იცადა, იქნებ ვინმეს ელოდებო, მაგრამ ქალს არც მობილურზე დაურეკავს ვინმესთვის და არც არაფერში ეტყობოდა მოლოდინი. ქალი კი განაგრძობდა თითქმის ყოველდღე რესტორანში სიარულს. თითქოს მეტი არც არაფერი უნდოდა – ეცქირა ხელებისთვის და ესმინა მუსიკისთვის, მაგრამ ერთხელაც, მოულოდნელად, მამაკაცმა დაიჭირა მისი მზერა. თვალებით დაეჭიდნენ ერთმანეთს.

მეორე დღეს მამაკაცმა, თავისდაუნებურად, გააპარა თვალი იმ მაგიდისკენ და ისევ ის ქალი და ისევ ის მზერა. თითებმა უფრო მარდად იწყეს კლავიშებზე სირბილი. მახვილი ყური მუსიკას მეტ გზნებასაც შეამჩნევდა და ასე გაგრძელდა თითქმის ერთი კვირა. არცერთი ჩქარობდა პირველი ნაბიჯის გადადგმას. უფრო სწორად, არცერთს უნდოდა. ქალს მოსალოდნელი იმედგაცრუების ეშინოდა – ინტელექტით, საუბრით და კიდეც ათასი რაღაცით არ მოსწონებოდა მამაკაცი და ეს ერთადერთი ხიბლიც გამქრალიყო.

კაცსაც მხოლოდ ეს უნდოდა, ხშირად ენახა ქალი რესტორანში. ამით ცოტათი უფრო საინტერესო გახდებოდა ცხოვრება. ამის იქით კი ვინ იცის, რა და როგორ დამთავრდებოდა.

და მერეც, როდესაც ქალმა ახალი პარტნიორი გაიჩინა, ხშირად მიდიოდა ამ რესტორანში მასთან ერთად და ღამით, შამპანურითა და პიანისტის ხელებით აღეზნებული, უფრო მაგრად ეკვროდა მის სხეულს.





ასკილი

გაზაფხულის ყვავილობაზე ვარდთან ერთად მის დედა ასკილსაც თავ-პირი ებადრება და სხეული უსურნელდება. იგი თეთრიც არის და დამფრთხალი ვარდისფერიც. ასკილის ყვავილის ფურცლებს უმწივობისაგან ჰაერი გასდით, მაგრამ ისეთ სურნელს აფრქვევენ, რა მოსატანია მათთან ვარდი...

წელს გაზაფხულისა და ასკილის დღეობა წყნეთში გვიან ჩამოდგა. ქათქათა გვირილები ცხვრის ფარებივით გაშლილან, თუმცა სურნელაში მოიკოჭლებენ... ციყვებს წიწვიანი ტოტები და მავთულსადენები ავტობანებად უქცევიათ და ლალად დაქარაბბაშობენ...

დილას მზეს დაასწრო ქეთევანმა და ასკილის მურაბისათვის თადარიგი დაიჭირა. მან ცენტრალური გზა გადაკვეთა და ერთი მშენებარე სახლის გვერდით შეგულებულ ასკილის ბუჩქებს მიაშურა. ქალმა ფიქრები ააგელვა და დაბრეცილ ტვინს გაბურღვის ნება მისცა... მოვლენ ახალი სახეები და ამ მინდორსაც დაეპატრონებინან, ააგალავნებენ ეზოებს, ამოძირკვავენ ფიჭვისა და ნაძვის ასწლოვან ხეებს, ააცრემლებენ ფრინველებს, დადგამენ სასახლეებს, უჟანგბადობით შეგვკვამენ და ნავაგლახარი დემოკრატია ისევ მშვიდი გზით გააგრძელებს ცხოვრებას...

სიცხისა და მზის დაკვრამ ქეთევანი ჩრდილში გადასერა, სადაც გაავებულ მზეს მშენებარე სახლიდან გამოქცეული ხმაური უფრო ამჟავებდა... საიდანღაც ერთი მოხდენილი ყმაწვილი გამონთო და ქეთევანს გულიანად მიესალმა. სწრაფად აუხსნა, რომ აქვე ახლოს მუშაობს, რომ შრომის გარეშე უმიზნოდ იცხოვრებს, რომ უნივერსიტეტში სწავლობს, მერე საზღვარგარეთ უნდა გააგრძელოს სწავლა, მოკლედ, ბევრი ოცნება ასახდენი აქვს და აიხდენს კიდევ... ქეთევანსაც სხვა რა უნდოდა, ყოფილ პედაგოგს თვალები აუცისკრდა და ყაჭი აბრეშუმით გააგრძელა, ბარაქალა დედაშენს, კარგი შვილი გაუზრდისხარ, ქართველ ერს რა გადაამ-

ენებს, ასეთი შვილები რომ ეყოლებათ...

ჩემს დედიკოს მაგონებთ, ქალბატონო, მასავით საყვარელი და კეთილი თვალები გაქვთ, – ბლომა ღიმილი შეაფრქვია ბიჭმა. ქეთევანმა ეს ფრაზებიც ყმაწვილის გამარჯვებად შეაფასა, გენაცვალე, რომ დედა ასე გყვარებიაო...

კი, მე ისე მიყვარს ჩემი დედილო, ისე ვუფრთხილდები... თან ხელები გაასავსავა და ცად აღმართა... დიას, მაგრად მიყვარს ჩემი დედიკო... ბიჭმა ეს სიტყვები ყელის ძარღვებისა გაბერვასა და ლურჯი სისხლის გამოფრამდე გააგრძელა და თვალის დახამხამებაში თავდახრილ ქანდაკებას დაემსგავსა. ქეთევანს ემცხეთა, გულმა რეჩხი უყო, ბიჭის როლი თვალებიდან გულში გადახარშა, ხოლო ეჭვების გასარღვევად, ბიჭის წარმოშობით დაინტერესდა. მეგრელი დედისა და იმერელი მამის ნაჯვარი ვარ, აერობორტის დასახლებაში ვცხოვრობ და აგერ ვმუშაობო...

ფიქრი არ აცალა ბიჭმა ქეთევანს და ზიარული სეტყვასავით მიყარა, რისთვის კრფთ ასკილის ფოთლებსო. ქალმა ასკილის სამკურნალო ღირსებები წყალივით ჩაარაკრაკა, რომ ვიტამინების წყაროა, ნაღველმდენი საშუალება, ღვიძლის, ინფექციური დაავადებების სამკურნალო. ასკილის ნაყოფზე კიდევ უკეთესი თვისებები მის ყვავილებს აქვს, ვარდით სურნელოვანია და სასარგებლო. ამ ფურცლებით მზადდება საუკეთესო მურაბა, რომელიც გულს, სისხლძარღვებსა და თირკმელებს უხდება.

ბიჭმა ჯერ მარცხნივ გააპარა თვალები, მერე მარჯვნივ და, დოზები თუ იცითო. ქეთევანმაც არდახანებულზე აუხსნა, ერთ კილოგრამ გამოშვრალ ვარდის ფურცლებს ოთხი კილოგრამი შაქარი უნდა, მაგრამ მოხარშვა რთულია... წესს თუ მასწავლითო. ქალმა ჩაუკაკლა, როგორ ითუთქება ფურცლები შაბიან წყალში, მერე მღუღარეში, მერე შაქარწყალში და მოხარშვის პროცესის დეტალებიც დაუკომენტა. ისიც დაადევნა, რომ შაქარში შენახული ვარდის ფურცლები მურაბაზე უკეთესია არა მხოლოდ თვისებებით, არამედ არომატით, მერე დაასხამ არაყს ან სპირტს და საუკეთესო ლიქორი დადგება. ყმაწვილი სინანულით თავს აქნევდა, აქამდე რატომ არ ვიცოდიო... ასკილი ვარდის დედაა, ვარდის მცნობისას საძირე მასალად ასკილს იყენებენ, ძალიან მაღლიანი მცენარეა, მაგრამ მისი ეკლიანობის გამო ყვავილების მოკრეფა ძნელი...

ბევრი დაგიკრეფიათ, ქალბატონო! – მოუწონა ყმაწვილმა და ცელოფანის პარკს ხელი მოუცაცუნა. ერთი კილოგრამი მაინც იქნება... თითქმის... საღამომდე გააგრძელებთ, ხომ? ესე იგი, ორ კილოგრამსაც მოკრეფთ. ჯერ შაბი, მერე მღუღარე, მერე შაქარწყალი, – გაიმეორა ბიჭმა მურაბის რეცეპტი და ქეთევანს თავაზიანად დაემშვიდობა.

ქალმა ცოტა ჩამუხლა... რა ეჭვიანი ვარ, მშვენ-იერი ბიჭი ჩანს, დედის სიყვარულიც განსაკუთრებუ-

ლად გამოხატა... იგი საქმისმოყვარე იქნება, ასეთი ადამიანები საუკეთესო ოჯახებს ქმნიან, მათ მამულის სიყვარულიც მადლიანი იციან...

დედისმოყვარე ყმაწვილით კმაყოფილმა ქეთევანმა ჭიკჭიკი გააგრძელა... დალოცვილი ხარ, სიყვარულო! უშენოდ ვერც ვისუნთქებ, ვერც დავპურდები, ვერც დავმშვიდდები! ბედნიერების პირველი ნიშანი ხარ, შე, დაუოკებელი და მადლიანი! ჩემი არსებობის სახელით გთხოვ, სიყვარულო, არასოდეს მიგვატოვო! ხშირად მანახე ღვთიური ძალა სიყვარულისა, დედა—მვიღური, მეგობრული, ქართველური... იმრავლონ გულწრფელი სიყვარულით დაჯილდოებულმა ადამიანებმა!

ქეთევანს თვალებში მზის სხივები დაუგუბდა, მაგრამ ისევ უკან ამოფრქვა, რადგან გარდაცვლილი მამის ხმამ შეაერთო, ქეთევან, დაშვიდდიო... მერე ბავშვობისას ნათქვამმა შეახსენა თავი: კარგი გოგო ხარ, მაგრამ ხშირად გულს უსმენ და არა გონებას! გული მაცდურია, გონება სულის ანარეკლია, სული უფალმა გვიძლენა, ამიტომ სულს უნდა დაეკითხო და გონების თვალთ უნდა უყურო წუთისოფელს... მაგ გულუბრყვილობით სიცრუეს ვერ მოერევი. ყოველი კაცი ცრუ არსო, ტყუილად არ წერენ! ხალხური სიბრძნეც ამას გვასწავლის, კაცის გამოსაცნობად ერთი ფუთი მარილის ალოკვა მაინც დაგჭირდებაო, შენ კი, ჩემო ქეთევან, უცებ აცუნდრუკდები ხოლმე, კაცის სიტყვებს ენდობი, რაც სანანებელი გაგიხდება.. არა, მამიკო, ასეთ ყმაწვილებთან მარილის ალოკვა არ გვჭირდება! კარგი თაობა მოდის, გონიერი, გაწონასწორებული და მიზანდასახული; ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ასეთი ყმაწვილები გადაარჩენენ..

ქეთევანი ვნებადამცხრალ და ღრუბლის თავქვეშ შეფარულ მზეს ხვლიკით მიეფიცა და ასკილის ფურცლების კრეფას უმატა. წლებმა ვერ ჩაკლა ბუნებასთან განმარტოების მშვენიერების აღქმის უნარი... ხშირად ხეებსა და ფოთლებს ესაუბრება და თუ ადამიანთა პაწაწუნა მადლიანი სიტყვაც გაიგონა, ბედნიერების ცას არღვევს, მიწაზე ფეხის დაბიჯება უჭირს... მთელი ცხოვრება ბედნიერებასა და სიხარულებს აგროვებს, ხან ერთი წამით, ხან წუთით, მაგრამ მაინც, აგროვებს... მისი გახანგრძლივებაც შეუძლია... თავის გაზრდილებსაც გადასდო ეს სენი... ტვინის ქერქიდან ცუდი ამოქათეთ, კარგი დაასეივეთ და ნამდვილ სიყვარულს ისწავლით, მერე ბედნიერება თავისით მოვა, ოღონდ სხვებსაც გაუნაწილეთო..

შორს გაქცეული ფიქრი ბუჩქებიდან უცნაურმა ხმამ დააფრთხო. ქალმა თავისი ნაცნობი ყმაწვილი დალანდა და დაწყნარდა... უცებ ქეთევანმა თავში სიძიძი შეიგრძნო, გაბანცალდა, ხელები საცოდავად გაშალა და მიწაზე მოიცვლა. იმ მშვენიერი ყმაწვილის მაგიერ მგლის სახე დალანდა, რომელიც ქალს ეძალებოდა... ქეთევანს საშინელმა აზრებმა გული დაუძიძა და ასკილის ფურცლებით სავსე პარკს სირცხვილის დასაფარად

ხან მკერდზე იკრავდა, ხან სახეზე, წამით სიკვდილიც ინატრა, მაგრამ სიმწრითა და გრძელი ფრჩხილებით გვარიანად უსწორდებოდა ყმაწვილს... ფიზიკურ შრომასა და ვარჯიშში ფოლაღივით იყო გამოწრთობილი. ბრძოლა ამკარად არ უჭირდა დედაკაცს. მუშტებსაც არ აკლებდა ბიჭს, ხან ასკილის ფოთლებით სავსე პარკსაც სთავაზობდა მგლის სახეში. თურმე ერთად შეგროვილ მსუბუქ ფოთლებსაც ჰქონიათ ძალა მტრის წინააღმდეგ...

რამდენიმე წაშში ქალმა იგრძნო, რომ ბიჭს ცელოფანის პარკისაკენ უფრო გაურბოდა თვალი, ვიდრე ქალისკენ, ამიტომ ძალებს მოუხმო და ასკილის პარკი შორს გადატყორცნა. ბიჭი პარკს გაედევნა... წაშში მგლის სახე ისევ თავაზიან ყმაწვილად გარდაესახა... მორცხვად თავდახრილმა პარკი შეათამაშა და, გამაღლობ, ქალბატონო, — კბილებში გამოსცრა..

ქეთევანს ფეხზე ადგომის სურვილი გამოლეოდა... იწვა და ბუნდოვნად უსმენდა ბუჩქებში მოხეტიალე სახარელ ხმებს... აბა, როგორ, მარტო თქვენ უნდა დაგეღივით ასკილის ყვავილის ლიქიორი?! მკითხეთ, იქნებ მეც მიყვარს, ბატონო!! ამ ფურცლებს ჩემს დედიკოს წაუღებ, ასკილის მურაბას მე თვითონ მოვუშზადებ და გავახარებ... მისი სიხარული თქვენი სიხარულიც იქნება და ჩემიც... თქვენც ხომ გიყვართ დედათქვენი... აბა, რა! ჯანსაღი სულის ყველა ადამიანს უყვარს თავისი დედა, თავისი ოჯახი, სამშობლო! ზრუნავს, ფიქრობს ადამიანებზე, სიყვარულზე, სამყაროზე! სინელი ხომ იცით, ქალბატონო, მისებური ზნეობრივი კიბის საფეხურების ჭეშმარიტად გავლაა ღირსება კაცისა! თქვენც ღირსეული ქალი ხართ, იმდენი რამ მასწავლეთ, ვერც წარმოიდგენთ! ამ ცოდნას მე სხვებს გადავცემ, სხვები — სხვებს და ასე, უსასრულოდ გაგრძელდება სამყაროს მარადიულობის ჭეშმარიტება! ამასობაში სათნოებათა კიბესაც ავლევთ... მერწმუნეთ, თქვენს ღირსეულ პედაგოგობას დიდებული ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს, ტაში! მქუხარე ტაში...

ბიჭმა ქალს კი არა, მიწაზე დაგდებულ გვამს კიდევ ერთხელ გადახედა, სამხედრო სალაში უძღვნა, გაიჯგამა, მერე გაიღიმა, სახე ძველებურად დაიყენა და მარჯვენა ხელის თითების ქანქარით დაემშვიდობა ქეთევანს...

გათელილი ქალისა და ბალახის სუნი ერთმანეთში დარეულიყვნენ... ქეთევანმა ფილტვების ხმაურს ისეთი ვაი ამოაყოლა, რომ სამყარო ჯერ შეტორტმანდა, მერე გაჩერდა და სრულიად დადუმდა!

ღუმილსაც სცოდნია გააფთრება... მან ამაოებასთან ერთად შეუტია ავტომობილის ძრავის ხმას, ადამიანთა სუნთქვას, ყეფასა და ყველა ვაგლახობას... დაყრუვდა დედამიწა... ხელოვნური გახდა მთა, ტყე, ადამიანი, გვერილა, ასკილი... გახვედა, გაშემდა, გახმა სრულიად წუთისოფელი... მხოლოდ ქეთევანის მამის მიერ დაწუნებული გულიდან თვალებზე გადმოდენილი ცრემლის კურცხალი იყო ბუნებრივი...

ზუხაბ ხაბაძე



ბათუმში მცხოვრები ზურაბ ხაბაძე ცნობილი ქართველი მხატვარია. მისი ნახატები შესულია ბევრ კატალოგში. წლების მანძილზე მისი უამრავი გამოფენა დაათვალიერა საზოგადოების დიდმა ნაწილმა. რუსთველის 850 წლისთავთან დაკავშირებით, გამოიცა ზურაბ ხაბაძის მიერ შესრულებული ფერადი ილუსტრაციების კალენდარი. ბატონი ზურაბი მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩევა.

იგი წერს გულწრფელ ლექსებს და ფილოსოფიური სიღრმით გამორჩეულ საინტერესო გამოკვლევებს ხელოვნების სფეროდან. ეს ნაწარმოებები იბეჭდება პერიოდულ პრესაში. ჩვენი ჟურნალი დიდად აფასებს ზურაბ ხაბაძის შემოქმედებას და უსურვებს მას ჯანმრთელობას, მხნეობასა და ხელოვნებაში მიღწეულ ახალ წარმატებებს.

ვთავაზობთ ზურაბ ხაბაძის რამდენიმე ლექსს.

მზია ხეთაგური

* * *

დეკემბერს, დედის საფლავთან
ვდგავარ, ცივია საღამო,
არც ნუგეშს მაწვდის არავინ,
არც სიტყვას, როგორც მალამოს.
დეკემბრის ცივი ღამეა,
გაფითრებულან ხეები,
ნეტავ თუ კიდევ დადგება
დაუვიწყარი დღეები!

ქალაქის თავში, და თუნდაც ბოლოს,
რაღაც იწყება, რაღაც მთავრდება,
ღამე მტანჯავდა მე, მარტოობის,
მაგრამ ისიც ხომ წარსულს ბარდება!
ამეტიუზება კარებთან ვიღაც,
ხელში, შექსპირის სონეტებს მაწვდის,
თუ რამ სენი გვჭირს, აქ უწერია
და ვერ ვაოკებ სიკვდილის წადილს!
სცენაზე მისი ტრაგედიები,
ღღეს მეორდება ცოტა სხვაგვარად,
ღმერთო, ამდენი მარკუს ბრუტუსი!..
გადაქცეულა ყველა მასხარად!
მეც მქონდა მათთან რაღაც საერთო, –
ანტონიუსი მეგონა თავი,
გროშებზე მათი გმირები ვხატე,
მავრი ოტელოც, კუპრივით შავი...
დაღვა ბურუსი, ღამეა ბნელი,
და ველარ ვფიქრობ მზიან დარებზე...
მეფე ღირი და ჰამლეტი ღამით,
მიკაკუნებენ დახშულ კარებზე!

სხვის გასაგონად

პასუხი შ. ნიშნიანიძეს

კვლავ დაგვიბრუნდა მონობა,
მძიმეა ჩვენი უღელი,
ნეტა მონღოლი მოვიდეს,
წაილოს სარჩო უღევი!
მას ჩვენგან მაინც გაგარჩევთ
ვიწრო გზით, ვიწრო თვალებით,
ისევ ქართველმა დაგვტანჯა
და ასე ვცხოვრობთ წვალებით!
ცოტნე დაინდო მონღოლმაც,
გულით განჭვრიტა არწივი,
ათავისუფლა ქართველნი,
და ზნეობას სცა პატივი!

* * *

ფუჭი ოცნების ლანდილა დარჩა,
ანდა დარჩება, მე ვგრძნობ წინასწარ!
ლანდი ოცნებას არასდროს არ ჰგავს,
როგორც გლახაკი – თავის წინაპრებს!..

* * *

მოფრინდა უცებ თეთრი ფრინველი
როგორც იტყვიან, წეროს ფეხება,
მაგრამ თოვლივით დაჯდა რაფაზე,
გაყინულ მიწას მკერდით ეხება.
თოვლივით ჩუმი და შეშპარავი
იჯდა იისფერ მინის ჩარჩოში,
შემდეგ მზემ მისი თეთრი სხეული
გამოახვია ბროლის სამოსში!

* * *

სოფელელო, დარჩი სოფელში, –
შორს ქალაქიდან მდგომარე,
შენ მაინც, მანდეთ რა გიჭირს,
ვარ განაპირას მჯდომარე...
ნეტავი ჩამოვივლიდე
ჩემი წინაპრის სამარეს,
არც ტკბილად ყოფნა არა მსურს,
ველარც ბედს ვუძლებ, ამ მწარეს!

* * *

თუ გაქვს ჩემზე ცუდი აზრი,
ეს მე სულ არ მანადვლებს,
თუ კარგი გაქვს, მე ის უფრო
რაღაც, ცუდად მაწვალებს...
– მაშ, რა გინდა, რომ გიწოდო,
რა შეგფერის, რა გარგებს?
– დაიცადე, დროს შევხედოთ,
დრო სწორ სახელს დაგვარქმევს!

* * *

მოხვალ ჭკუაზე ოდესმე?
– არა მგონია! არასდროს!
ვინც მე მისვამდა ამ კითხვას,
ვხედავდი მხოლოდ პარადოქსს!
ღმერთი მფარავდეს! – არ მინდა,
მეც შენნაირად ვიარო,
მას, რასაც დაეთეს, მოვიმკი...
შენ, თუნდაც, არ მაღიარო!

* * *

ჩიტო, კარგ ამბავს თუ მეტყვი,
ვიცი, რომ დროებითია...
ცუდიც და კარგიც ამ ქვეყნად –
ორთავე დროებითია...
კუბოს მივდევი მრავალგზის,
და ესეც, დროებითია!

ზურაბი...

სხვანაირი კაცია, სხვანაირი ზნის, გუნების, ხედვის,
ფიქრის...

ჩაფსკენილ-ჩაკოჭილ-ჩაკონვილი კაცია, ნამეტნავად
განათლებული...

ფუთიანი ტორები აქვს, ათას პროფესიას მიუსადაგებ,
მხატვრისას არამც და არამც...

არადა, რა ტილოები აქვს!.. სისხლით და ცრემლით
დაწერილი... მის მიერ მოხატული ბათუმის დრამატული
თეატრის სახეიმი ფარდის ყურებაც კი სპექტაკლის
ნახვის ტოლფასია... მსოფლიომ იცის ამ ფარდის ფასი...

შედევრები: შოთას „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟას „ალუდა
ქეთელაური“ „გველისმჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“,
„ბახტრიონი“, „ია“, ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“,
„ელენორა“, „ალექსანდრე მაკედონელი“, „დევების
ქორწილი“, „მოიტაცეს თამარ ქალი“, „ანტონიუსი და
კლეოპატრა“, „დედა ისრაელისა“...

ზურაბ ხაბაძის ნახატები ყავლგაუსვლელია...
თავის გმირებს გავს თავადაც – დიდსულოვანი, ქველი,
უშურველი, დინჯი, გულმოწყალე, დაუცხრომელი...

...და გამოსჭვივის მისი შემოქმედებიდან თავდადების
რწმენა, სიკეთის რწმენა, სამშობლოს რწმენა, კაცობის
რწმენა, თავისთავის რწმენა, რწმენა რწმენისა...

მაშინაც კი, როცა ბნელი, ქვენა ინსტიქტები სჭარ-
ბობდა, ის სუფთა დარჩა... მოთმინებით, ჯიუტად, და-
ჟინებით ქმნიდა სულისშემძვრელ სიმფონიას, ღვთაებრივ
სიმშვენიერეს...

და ჩვენდა სამარცხვინოდ, ამ სამერძისო და სამა-
რადისო, თვალისჩინივით გასაფრთხილებელი კაცის
მუდმივმოქმედი გალერეა არ გვაქვს ბათუმში... და
ჩვენდა სამარცხვინოდ, უადგილობით და უპატრონობით
ნადგურდება ეს შედევრები...

აჭარის მთავრობავ, გთხოვთ, დიდ ხელოვანს მივაგოთ
სათანადო პატივი, აჭარის სტუმარს ამ გალერეიდან
ავალებინოთ გეზი სხვა სანახაობათა დასათვალიერე-
ბლად... საშვილიშვილო საქმე იქნება ეს. უნიკალური
წიგნებიც საპატრონოა – გალერეაშია გადასატანი...

და ბოლოს, ჩემო ოქროგულა ზურაბ! ადრე რომ შემ-
პირდი, ყურძნის ფოთოლზე მარგალიტივით ნამი რომ
კამკამებს, ანუ ჩვენს საზიარო ცრემლს დაგიხატავო,
ველოდები...

ჭირიძე შენი!..

ნიაზ ზონიძე

ხანაი მახლობლი



კანეი მარგოშვილი დაიბადა პანკისის ხეობის სოფელ ღუისში, 1996 წლის 15 აგვისტოს.

2014 წელს დაამთავრა ღუისის საშუალო საკოლა.. 2014 წელს იყო პოეტური ფესტივალის დელეგატი. რომელშიც მონაწილეობდნენ 8 ქვეყნისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ახალგაზრდები. ამავე წელს მონაწილეობდა ქსნის ერთ-ერთი უძველესი ნაქალაქარის არქეოლოგიურ გათხრებში.

2015 წელს ბათუმის სალიტერატურო ჟურნალმა გამოაქვეყნა მისი ლექსები. იმავე წელს მისი რუსულ ენაზე თარგმნილი „ჰუგბერთ“ დაიბეჭდა სანქტ-პეტერბურგში გამომაგალ ერთ-ერთ კრებულში.

2016 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცემულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოეტურ კრებულში – „საქართველო ჩემი სამშობლო“, კანეი მარგოშვილის ლექსებიც დაიბეჭდა.

2016 წელს კანეი მარგოშვილმა განახორციელა კაკა-სიური კულტურის ფესტივალი. ამავე წელს დაამთავრა „მრავალფეროვნების სკოლა“. ამავე წლის გაზაფხულზე განახორციელა პროექტი „საქართი“, რომლის მიზანი იყო ქართული კულტურის პოპულარიზაცია ეთნიკურ უმცირესობებში და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. პროექტის განმავლობაში მან გადაიღო ფილმი, რომელიც სოთხ ქალაქში. უჩვენეს.

„მიყვარს პოეზია, მიყვარს წერა და წერისადმი სიყვარულმა მომცა უფლება და შესაძლებლობა, გამოემეტა ჩემი ქვეყნისა და კუთხის სიყვარული და ეს უზარმაზარი გრძნობა გადამეტანა ქალაქზე“, – წერს კანეი მარგოშვილი.

* * *

სამშობლო – ჩემი კითხვის ნიშანი,
უფლის შობილი, ჩემი მშობელი,
უფალო, თვალწინ გადამიშალე,
მთები მიგულე გვერდით ძმობილი.
ისტორიაში მოსული ქისტად
შენ კი მიმიღე როგორც ქართველი,
ტკივილი, ხალხნო, ვისთან გავიყო,
ოდითგან შორს მაქვს ჩემი მთა-ველი.
მის გამო ჭკნება წლები ჩემ თვალწინ
და ბნელ ღამეებს უკუნეთს ჰმატებს,
როდის ვინილავ თეთრ ღამეს აწი,
როდის მოვითბავ წინაპრთ სათიბს?
მისთვის არ მიჭირს მომართვა კალმის,
მომმადლეს წერის მცირედი ნიჭი,
მტერს ხმლით ვეკვეთო, ისე ვარ ღამის,
კალმით გასერვა იმდენად მიჭირს.

* * *

გადარჩენისთვის არ მყოფნის ძალა,
ვიცლები, როგორც საათი ქვიშის,
წამოდი ჩემთან, გველის ვალჰალა
ღვთიურ წრეში ხარ, დაძლიე შიში.

* * *

მოხეტიალე ქისტი ვარ,
მე ყველა კუთხის ნისლი ვარ,
მე სიყვარულის ფუნჯი ვარ,
ღმერთის წინაშე მუნჯი ვარ,
მე საქართველოს ბურჯი ვარ...

* * *

ისე მიყვარხარ, გპირდები,
მკვდარსაც არ დამავიწყდები,
გულიც მოგყვება, ფიქრებიც,
ჩემგან შორს როცა იქნები.
ოხ, ეს ფიქრები, ფიქრები,
ერთ ღღეს მე აღარ ვიქნები,
მაშინ შენც დამიღონდები,
და ჩემი გულის ფიცრებიც.
როცა ჩემს გვერდით იქნები,
მაშინ მეც წყნარად ვიქნები...

* * *

ჯიხვი გადმომდგარა კლდეზე,
ლოცულობს დამდგარი მხრებზე,
ილტოს მიჰყვება კალმახი
და ზურგით მიაქვს არმახი...

ღამეს სიყვარული აუხსნა
ცერებზე შემდგარმა მთვარემ,
ღრუბელმა ცის კიდეს აუწყა
მზე ჩამოვარდნილა მიწაზე...

მილიმის ციხე პანკელის,
ჩემს გულზე ხარობს ენძელა,
მგლის ლეკვი ვიყავ მე მაშინ,
როცა მიშვილა ქართველმა...

ძიძიშვილობას მიწევდა
ცაში ნავარდით არწივი...
ყველა ვაჟკაცი მართალი
ბნელ გზაზე არის ლამპარი.

* * *

ველარ ამოვდე
რითმებს სადავე,
ცას შემოახიეს
პერანგი – ჯაჭვის,
მაგრამ მერანით
დავექრივარ მთებში,
არ მეშინია მე
რუსის ჯარის.

თავისუფალი,
ქარვით დავქრი,
თუმც ვით პეპელა,
სამ დღეში ვკვდები,
მე მიწას ვკოცნი
ქართული გვართ,
მისთვის სიკვდილის
სურვილით ვდნები,
ნისლად ვედები
მე ყველა კუთხეს,
არწივის გულით
ვუმღერი ილტოს,
ეს ტყე მიაგავს
ქალწულის სახეს
და მზრუნველობას
შვილივით ითხოვს.

* * *

დაიჭექე, ზეცის კალთავ,
დაიჭექე, ზეცის კალთავ,
ისე მაგრად, ისე ძლიერ,
რომ ზეციდან პაპის ცრემლი,
გულზე იად დამაწვიმე.
ჩემს შვილებს და შვილთაშვილებს,
მათთან ერთად ქართველთ მოღმას,
გევედრები – დაავიწყე,
მტრობა, შური, გლოვა, მოთქმა.

მართალია, სხვაგან იშვა
ჩემი დიდი წინაპარი,
მაგრამ ძირს არ დაუგდია,
შენი დასაცავი ხმალი.
მეც შენი ვარ, შენი პირმშო,
აქ ამღერდა გული ჩემი,
სიყვარული – მთავარია,
მერე ყველა დანარჩენი..
გვაქვს ანდერძად წინაპართა:
– სიყვარული, ძმობა, ღობა...
ვინც ამ ანდერძს უღალატოს,
არ ეღირსოს მას შენდობა.
აქ რაკრაკებს ალაზანი,
ქართულ-ვაინახურ ხმაზე,
ჩვენ ერთმანეთს – დანი, ძმანი
სიყვარულში დავემსგავსეთ.
დაიჭექე, ზეცის კალთავ,
ისე მაგრად, ისე ძლიერ,
რომ ზეციდან პაპის ცრემლი,
გულზე იად დამაწვიმე.

* * *

ჩემი გული უფლისთვის მარად მაძგერაღია,
სამზეოში ყოველი სწრაფად წარმავალია,
ვიკლავ საქართველოში წყურვილს
მონატრებისა,
რადგან შენმა სიშორემ დამამწუხრა ძალიან.
ან როგორ დაგივიწყო, განა ვინ შეგედრება,
კალთა გადმოგაფაროს – ღმერთს შეგკადრე
ვედრება.
ჩვენ კი მკერდით დავიცავთ, მტერი
ძრწოდეს ტიალი,
ყველა სიტყვას თან ახლდეს უფლის
სადიდებელი,
ბაირალის ფრიალით და მახვილის ტრიალით,
სიამაყით ვიტყვი, რომ ვარ ჩეჩენი.



პეპლების გადაფრენა

მივდიოდი ჩემთვის რა
 ფიქრ-არეულ გონებით,
 თვალნი სადღაც გარბოდა
 ძველი მონაგონებით,
 იკვრებოდა ბალახნი
 ტერფ-ქვეშ, როგორც კონები,
 კანზე ილექებოდა
 მიწის მტკვერი გოდებით.
 ჰოი, გასაოცარო,
 ვარდო ტურფავ, ჭკნობებშიც,
 შენი სიტურფე მომცა,
 სანამ ასაკს ვშორდები.
 სადღაც მუხაც წაიქცა,
 ვხედავ, როგორ ცხონდების,
 პეპლების გადაფრენას
 აგერ უკვე მოველი.
 წაბლმა დღენი დალია,
 ცაცხვიც ყვითლად ემონვის,
 მიწა შემოირთვება
 მალე მათი ფოთლებით.
 გარდასულო დღეებო,
 წუთთა მონაპოვრებით,
 ტკბილად თვლემდეთ მაჯებზე,
 თითქოს მესისხლხორცებით.
 დრო მოვა და დამათოვს
 თოვლი ზამთრის წოდებით
 და მეც ისე გავხმები,
 როგორც ეს ხის ტოტები.
 მივდიოდი ჩემთვის რა,
 ფიქრ-არეულ გონებით,
 სადღაც სიცოცხლე ჩქეფდა,
 სადღაც სიკვდილს ვებრძოდით.

მყვინთავს ვემსგავსე
 ჩემი სამყაროს ოკეანეში.
 ვყვინთავ და ვყვინთავ,
 ვებე მარგალიტს უიშვიათესს.
 ფერები მინდა,
 მის წიაღში, რაც გულთან ტრიალებს.
 ვერ მივაგენი,
 თითქოს გარემო მადებს ხვიარებს.
 გული მეძახის,
 პულსი მაჯებთან ცუდად ფრიალებს,
 ეს სამყაროა,
 ხალხი ფეხებსაც ძლივს რომ მიათრევს.
 გეყო ჩაყვინთავა,
 სანამ ტალღები გახსნის იარებს.
 ძებნა-ძებნაში
 რიყის ქვასაც ვეღარ მიაგნებ.
 გულო, რას მერჩი,
 მეყო, რაც მტვრიან ქვებზე ვიარე.
 დაე, ვყვინთავდე,
 ოღონდ რუს ქვასთან ნუ ვიტრიალებ.
 მე მყვინთავი ვარ,
 ვქმნი ოკეანის ორომტრიალებს.
 ბინადრად გავხდი,
 ჩემი ოცნების ვცლი ჭრელ ფიალებს.

* * *

ამეკვიატა ფოთოლივით ფიქრი ცახცახა,
 ხეს დავემსგავსე საზამთროდ რომ ქარმა გაძარცვა...
 აღარც ნატვრა მაქვს, აღარც სამოსი,
 დრომ რომ გამხანდა,
 გავხდი მუნჯივით, მხატვარმაც კი აღარ დამხანტა.

მივექანები ცარიელი ნავით სადღაც და
 წყალიც არაა, მდინარენიც თურმე დამშრალან.
 ქვებზე ამ ნავმაც უსასრულო წრენი დახანა,
 გვალვას მიცემულ გამოფიტულ რტოებს მამსგავსა...

აღარც წვიმაა, მზემ იმედის ზღვაც კი დახანა,
 პირგამომშრობილს ნერწყვმომდგარი დამცქერს
 სატანა,
 ალბათ ჰკონია სულს ამართმევს, მომკის სამკალსაც,
 მაგრამ არ იცის, რომ უფალმა შეილად დამსანა.

მე შექმნილი ვარ ღმერთის მიერ და ღმერთის
 ხატად,
 ვერ მომერევი, ვერ დამძალავთ, თავად
 გაგფანტავთ...



მარინა ცვეტაევა –
ოსიპ მანდელშტამი

1915 წელს ოსიპ მანდელშტამმა კოკტებელში გაიცნო მარინა ცვეტაევა. 1916-ში სანქტ-პეტერ-ბურგელი პოეტი ჩადის მოსკოვში მარინასთან, რომელთან ერთადაც მთელი დღეები დახვტიალობს მოსკოვის ქუჩებში და ამ შეხვედრის დასასრულს იქმნება მანდელშტამის ლექსი – „ნაზზე უნაზესი შენი სახე“.

შემდეგ, ამ ლექსის ერთგვარ პასუხად მარინა წერს – „არავინ არაფერს გართმევთ“, რომელსაც უძღვნის მანდელშტამს. ხოლო მარინას ტრაგიზმით სავსე – „ჯერ კიდევ გუშინ თვალს მისწორებდი“, იწერება 1920 წლის 14 ივნისს, მარინასა და მანდელშტამის საბოლოო განშორების მძიმე პერიოდში.

მარინა გოგოლაშვილი

ოსიპ მანდელშტამი

* * *

მარინა ცვეტაევას

ნაზზე უნაზესი
შენი სახე,
თეთრზე უთეთრესი
შენი ხელი,
შორზე უშორესი
სამყარო მთელი
შენგან. თავად შენ –
უგარდაუვლესი.
უგარდაუვლესი
შენი სევდა.
ხელის თითები –
ჯერ კიდევ ცხელი.
წყნარი ბგერები
თუმცა, სიტყვები –
მწველი ალები.
შორეთი –
შენი თვალები!

Осип Мандельштам

* * *

Посвящено
Марине Цветаевой

Нежнее нежного
Лицо твое,
Белее белого
Твоя рука,
От мира целого
Ты далека,
И все твое —
От неизбежного.
От неизбежного
Твоя печаль,
И пальцы рук
Неостывающих,
И тихий звук
Неунывающих
Речей,
И даль
Твоих очей.

* * *

ოსიპ მანდელშტამს

ჯერ კიდევ გუშინ თვალს მისწორებდი,
ახლა ეგ მზერა გვერდზე გაგექცა.
ჩიტები იყვნენ შენი სწორები,
ყველა ტოროლა დღეს ყორნად იქცა.
მე ვარ სულელი, შენ კი – ჭკვიანი,
შენ ცოცხალი ხარ, მე – ქვის სიშავე.
ქალის მარადი მოთქმა ხმიანი:
„ჩემო ძვირფასო, რა დაგიშავე?“
ცრემლი – წყალია, სისხლია წყალი –
სისხლი ცრემლებით განიბანება.
და სიყვარული – დედინაცვალი,
არ სცნობს სამართალს და შეწყალებას.
ხომალდს შორს მიჰყავს შეყვარებული
და თეთრი გზები მიჯნურთ თიშავენ.
სამყაროს იტევს კენესა ვნებული:
„ჩემო ძვირფასო, რა დაგიშავე?“
ჩემ წინ ფეხმორთხმაც არ იყო ძნელი,
იერთ ჰგავდი ჩინელ მბრძანებელს.
უცებ გაშალე ორივე ხელი,
ყოფნა გროშადაც არ დამანებე.
შვილისმკვლელებით ცრემლი მასველებს,
არც მამაცი ვარ, არც სატროფოდ ვვასობ.
და ჯოჯოხეთშიც არ მოგასვენებ:
„რა დაგიშავე, ჩემო ძვირფასო?“
ჩემი შეკითხვა ავეჯს მობეზრდა:
რად დავემსგავსე უბედურ ასულს?
მე თუ მკოცნიან – თავს ირთობენ და
სხვას თუ კოცნიან – აგებენ პასუხს.
კოცონთან ყოფნის მჭირდა სიკეთე,
უშენოდ – ყინვის ვიგრძენი გემო.
„აი, ძვირფასო, რა გამიკეთე!
რა დაგიშავე, ჩემო ძვირფასო?“
ვაცნობიერებ ყველაფერს უხმოდ,
აღარ ვითვლები უკვე მიჯნურად.
მთავრდება გრძნობა და სული უხმობს
სიკვდილს – მეზადეს, რომ შეხვდეს ღურად.
როგორც ხემ, თრთოლვით ღამე ვათიე,
ღება ჟამი და ყუნწს სწყდება ვაშლი.
– ჩემო ძვირფასო, გთხოვ, მაპატიე,
შენთან რაშიც ვარ და არ ვარ ვალში.

* * *

Стихотворение обращено к поэту
Осипу Эмильевичу Мандельштаму

Вчера ещё в глаза глядел,
А нынче – всё косится в сторону!
Вчера еще до птиц сидел,-
Всё жаворонки нынче – вороны!
Я глупая, а ты умен,
Живой, а я остолбенелая.
О, вопль женщин всех времен:
„Мой милый, что тебе я сделала?!“
И слезы ей – вода, и кровь –
Вода,- в крови, в слезах умылася!
Не мать, а мачеха – Любовь:
Не ждите ни суда, ни милости.
Увозят милых корабли,
Уводит их дорога белая...
И стон стоит вдоль всей земли:
„Мой милый, что тебе я сделала?“
Вчера еще – в ногах лежал!
Равнял с Китайскою державою!
Враз обе рученьки разжал, –
Жизнь выпала – копейкой ржавою!
Детубийцей на суду
Стою – немилая, несмелая.
Я и в аду тебе скажу:
„Мой милый, что тебе я сделала?“
Спрошу я стул, спрошу кровать:
„За что, за что терплю и бедствую?“
„Отцеловал – колесовать:
Другую целовать“, – ответствуют.
Жить приучил в самом огне,
Сам бросил – в степь заледенелую!
Вот что ты, милый, сделал мне!
Мой милый, что тебе – я сделала?
Всё ведаю – не прекословь!
Вновь зрячая – уж не любовница!
Где отступает Любовь,
Там подступает Смерть-садовница.
Само – что дерево трясти! –
В срок яблоко спадает спелое...
– За всё, за всё меня прости,
Мой милый, – что тебе я сделала!

* * *

* * *

ოსიპ მანდელშტამს

Стихотворение обращено к поэту
Осипу Эмильевичу Мандельштаму

არავინ არაფერს გართმევთ,
ენეტარებ ცალ-ცალკე ყოფნით.
ძალიან ადვილად დაგთმეთ –
ათასი ვერსიდან გკოცნით.
აზრს შემაცვლევინებს ვერავინ –
გვაქვს არათანაბარი ტექსტი.
გიძღვენით, ჭაბუკო დერჟავინ,
მოურჯულებელი ლექსი.
ლოცვამ გაგინათოს კვალი,
იფრინე, არწივო ჩემო!
შენ მზეს გაუსწორე თვალი,
მე მზერის სიმძიმეს ვჩემობ.
აღარდაბრუნების წესით,
თქვენს კვალს გაჰყევით წმინდას...
გკოცნით ათასი ვერსით
დაშორებული წლიდან.

Никто ничего не отнял!
Мне сладостно, что мы врозь.
Целую Вас — через сотни
Разъединяющих вёрст.
Я знаю, наш дар — неравен,
Мой голос впервые — тих.
Что Вам, молодой Державин,
Мой невоспитанный стих!
На страшный полёт крещу Вас:
Лети, молодой орёл!
Ты солнце стерпел, не шурясь,
Юный ли взгляд мой тяжёл?
Нежней и бесповоротней
Никто не глядел Вам вслед...
Целую Вас — через сотни
Разъединяющих лет.

რუსულიდან თარგმნა
მარინა გოგოლაშვილმა

„ელადა“ 15 წლისაა!

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის დარბაზში ერთმანეთს შეხვდნენ საბერძნეთიდან უკვე დაბრუნებული და ამ საღამოსთვის საგანგებოდ ჩამობრძანებული ქართველები. თავშეყრის მიზეზი ახალი საუკუნის ევროპაში გამოცემული პირველი ქართული გაზეთის – „ელადის“ 15 წლის იუბილე გახლდათ.

ზეიმის მოწყობაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ქალთა საბჭოს, რომელმაც გაზეთის გამოცემისთვის გაწეული შემოქმედებითი საქმიანობისა და უცხოეთში თანამემამულეთა მორალური თანადგომისთვის საგანგებო სიგელით დააჯილდოვა „ელადელები“ და „ავერსისგან“ საჩუქრებიც გადასცა.

ლონისძიების სულის ჩამდგმელი, წამყვანი და ჭირისუფალი ქალბატონი ანა ყურმაზიშვილი იყო. მან შექმნა „ელადა“, თანამოაზრეების დახმარებით ფეხი აადგმევინა და 15 წლისას დაბადების დღეც აღუნიშნა. ვისაც არ გამოუცდია უცხო ქვეყანაში მუშაობისა და ცხოვრების სირთულეები, ძნელად თუ დაიჯერებს, ბერძნულის არმცოდნე, საბერძნეთში ცხოვრებისა და შრომის უუფლებომ, როგორი შრომისა და ღწვის ფასად შექმნა ანამ „ელადა“. ანა ჩვენი დროის გმირია, მან ქა-

რთული იდებით დაქსაქსული ქართველების გაერთიანება შეძლო. გაზეთი „ელადა“, ჟურნალი „თაობა“, 200-მდე წიგნის გამოცემა, ამ წიგნების წარდგინება, შეხვედრები ქართული თუ ბერძნული კულტურის მუშაკებთან, არასრული ჩამონათვალია ანა ყურმაზიშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობისა.

თბილისური საღამო ფაცი ტარიელაშვილის ტექსტზე მაცაცო სეფისკვერადის დაწერილი სიმღერით გაიხსნა. შესრულდა სხვა ემიგრანტთა სიმღერები. მოვისმინეთ შესანიშნავი გამოსვლები: ნანა ცინცაძის, მაია კახიძის, რუსუდან გოგბერაშვილის, იზო დაშნიანის, მერცია წიკლაურის, ფაცი ტარიელაშვილის, ლეილა სოლოლაშვილისა და სხვათა.

ვის უკვირს დღეს გაზეთის გამოცემა?! მაგრამ მართლა საკვირველია ცრემლიან-ღიმილიანი 15 წლის „ელადის“ მზიან-ჩრდილიანი, მაგრამ მაინც ბედნიერი ცხოვრება. დღეგრძელობას ვუსურვებ ქალბატონ ანასა და ელადელებს, „ელადას“ თავისი მისიის პირნათლად ასრულებას და თავის დროზე ყველა ქართველთან ერთად საქართველოში დამკვიდრებას.

მანანა ბრაჭული



წყალტუბოს შემოდგომა

4 ნოემბერს დიდი ზეიმი გაიმართა წყალტუბოში. უკვე ტრადიციად ქცეული საზეიმო შეხვედრა წყალტუბოს სტუმრებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან საყოველთაო სიხარულსა და მომავლის რწმენას აძლიერებს საზოგადოებაში.

აღნიშნულ ზეიმს შარშანაც ვესწრებოდი ისრაელიდან ჩამოსულ წყალტუბოსთან დაძმობილებულ ქალაქ კირიათ იამის ხელმძღვანელობასა და დელეგაციაში მყოფ მეგობრებთან ერთად, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სტუმრებზე.

წელსაც პატივი მერგო საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ გუბაზ მეგრელიძესთან ერთად ვწვეოდი ამ დიდებულ და სახელგანთქმულ ქალაქს, სადაც სხვადასხვა დროს არაერთი დასამახსოვრებელი დღე გავატარე იმერეთისა და სრულიად საქართველოს საამაყო შვილთან, ქართული მწერლობის კლასიკოსთან – ოტია იოსელიანთან, ყუმისთავის, ანუ ახლა როგორც ეძახიან „პრომეთეს“ მღვიმის აღმომჩენ ცნობილ სპელეოლოგთან და ჟურნალისტთან, ამჟამად წყალტუბოს საპატიო მოქალაქე ჯუმბერ ჯიშკარიანთან, დიდებულ პიროვნებასა და შესანიშნავ ჟურნალისტთან, გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ მთავარ რედაქტორთან ბ-ნ მურთაზ კანკაძესთან და წყალტუბოს მშვენიერებასთან, საამაყო, სამაგალითო დების – ქუთათელაძეების ოჯახში, სადაც ყველაფერი საოცარი ფერადოვნებით, სიკეთით, სილამაზითა და სიყვარულით სუნთქავს.

წლებიანდელი შემოდგომის წყალტუბოს ზეიმს, იმერეთში დაწესებული ფუძეობის დღესასწაულიც დაერთო, რამაც კიდევ უფრო გააღამაზა აღნიშნული ღონისძიება.

ტრადიციულად, აღნიშნული ზეიმის აპოგეად წყალტუბოს საპატიო მოქალაქეების არჩევა ითვლება, რასაც

ზეიმის მონაწილენი აღფრთოვანებით ხვდებიან. წელს ეს საპატიო წოდება 14 დამსახურებულ და ღვაწლმოსილ წყალტუბოელს მიენიჭა, რომელთა შორის ჩვენი ახლო მეგობრებიც აღმოჩნდნენ, მათ შორის ქ-ნი ელადა ქაროსანიძე, ბ-ნი მურთაზ კანკაძე და ბ-ნი ბაჩო (რამაზ) იოსელიანი.

საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონილის შემდეგ სიტყვა თბილისიდან ჩასულ სტუმრებსაც მოგვეცა და, ბუნებრივია, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მივულოცეთ ყველას ეს დაუვიწყარი დღე. შემდეგ მე და ბ-მა გუბაზ მეგრელიძემ შევასრულეთ დაკისრებული მისია – საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდენტის მიერ „საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით, ღვაწლმოსილ ჟურნალისტს, გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ მთავარ რედაქტორს ბ-ნ მურთაზ კანკაძეს საპატიო დიპლომი გადასცა ბ-მა გუბაზ მეგრელიძემ, მე კი ჩემი უახლოესი მეგობრის, „პრომეთეს“ მღვიმის აღმომჩენის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, სერგი მესხის პრემიის ლაურეატის, წყალტუბოს საპატიო მოქალაქის ჯუმბერ ჯიშკარიანის მურთაზ კანკაძისადმი გამოგზავნილი წერილი გავაცანი საზოგადოებას:

„ძვირფასო, ძმაო მურთაზ! თითქმის ნახევარ საუკუნეს ითვლის ჩვენი ძმობა და მეგობრობა. ამ ხნის მანძილზე ბევრჯერ ვყოფილვართ ერთმანეთის საყრდენი და მხარის მიმცემი, მაგრამ ცხოვრების ავბედითობა ხანდახან ისე მოაქცევს საქმეს, რომ კეთილ საქმეთა კეთების ჩანაფიქრი ყირაზე დგება. ჩვენ შემთხვევაში ასეთი არაფერი მომხდარა, მაგრამ ბოლო წლებში ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობამ შენთან ერთად მრავალი სასიკეთო საქმის კეთებას ფრთები შეაკვეცა და მხოლოდ ოცნების ამარაღა დავრჩი.

ვიცი, დღეს წყალტუბოში დიდი ზეიმი, რაც ჩემთვისაც სასიხარულოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისევე, როგორც შარშან თქვენთან ერთად ვერ ვიქნები. ვერ ვიქნები ჩემთვის უძვირფასეს ქალაქში, სადაც ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე და საბედნიეროდ, ამ ქალაქისადმი სიყვარულის ჩირაღდნად ჩემი გულის ნაწილი, სრულიად საქართველოსთვის კი უძვირფასესი ყუმისთავის ანუ, როგორც ახლა ეძახიან, „პრომეთეს“ მღვიმე დავტოვე.

ჩემო მურთაზ, ძვირფასო მეგობარო! როგორც გავიგე, დღეს შენი დიდი ღვაწლის დაფასების აღნიშნავ იქნება. ამას შენ დიდი ხანია იმსახურებ, მაგრამ, როგორც ბრძენ კაცებს უთქვამთ: „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“.

გილოცავ წყალტუბოელებისაგან ღირსეულ დაფასებას, საქართველოსგან „დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭებას. პირდაპირ ვიტყვი, ქართულ ჟურნალისტიკაში ბევრი არ მეგულება შენნაირი მართალი და უანგარო მოღვაწე.

მე იმის უშუალო მოწმე ვარ, თუ როგორ გადაარჩინე და დღემდე ასულდგმულე წყალტუბოს ისტო-



რის მემკვიდრე გაზეთს – „ახალი წყალტუბო“. ვინ იცის, რამდენი სიკეთე და სიხარული გიწილადება ამ გაზეთის ფურცლებიდან შენი ხალხისთვის, შენი წყალტუბოელებისა და სრულიად საქართველოსათვის.

ისიც კარგად მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება, შენი კალმითა და კაცობით როგორ მედექი მხარში ყუმბისთვის მღვიმის აღმოჩენისას, რათა იგი საბუღალთო საგზაოდ დარჩენოდა ჩვენს საყვარელ სამშობლოს, მის მომავალს, მსოფლიოს კი ეგრძნო, რომ ჩვენი ქვეყანა ჯაბანი არ არის და ისიც მძლავრად და ღირსეულად კაშკაშებს მსოფლიოს ცივილიზაციის ცის კაბადონზე.

მიიღე ჩემგან დიდი სიყვარული და პატივისცემა შენი ძმა და მეგობარი – ჯუმბერ ჯიშკარიანი. 4 ნოემბერი, 2017 წელი, თბილისი-წყალტუბო“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი სითბო და სიყვარული, რაც წყალტუბოში ჩასულეხს დაგვახვედრეს ბ-ნი ოტია იოსელიანის შვილმა დაჩიმ, რომელმაც კიდევ ერთხელ შემოგვატარა და ჩაგვიძირა ბ-ნი ოტიას სამყაროში, დიდებულად დაგვხვდა და გვიმასპინძლა ქუთათელაძეების სასწაული ოჯახის დიასახლისმა ქ-მა გულნაზ ქუთათელაძემ, რომლის დაუდევარმა ხასიათმა, საოცარი გულმოდგინებით და მზრუნველობით მოვლილმა ეზო-კარმიდამომ დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა და ალაფრთოვანა ბ-ნი გუბაზ მეგრელიძე, რომელიც პირველად სტუმრობდა ქუთათელაძეების მართლაც ზღაპრულ ოჯახს.

ბოლოს კი განსაკუთრებულად უნდა ვთქვათ ბ-ნი მურთაზ კანკაძის პატივისცემისა და ყურადღების შესახებ, რომელიც ქუთაისში დაგვხვდა და ორი დღის განმავლობაში გვერდიდან არ მოგვცილებია, წყალტუბოს ღირსშესანიშნაობებიც დაგვათვალისწინებინა და ღირსეული მასპინძლობაც გაგვიწია. სიკეთე და ბარაქა არ მოაკლოს ჩვენს ძვირფას წყალტუბოელ მასპინძლებს. მადლობა ყველას, ვინც წყალტუბოსათვის დამახასიათებელი სიყვარული და სითბო გვიჩვენა, ვინც ცდილობს ეს სიყვარული ქვეყნის სავიზიტო ბარათად დაამკვიდროს და „წყალტუბოს შემოდგომა“ საქართველოს გაზაფხულად აქციოს.

სტუმრი



„სამი სავარძელი“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილე

30 ნოემბერს, საქართველოს მწერალთა სახლში, ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილე აღინიშნა, საღამო საზოგადოებრივი პროექტის: „სამი სავარძელი ხელოვნათათვის“ ორგანიზებით ჩატარდა, რომელსაც ხელმძღვანელობს პოეტი ქეთევან შენგელია.

„სამი სავარძელი“ ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს აერთიანებდა, რომლებმაც საღამოზე ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე ისაუბრეს და პოეტს იუბილეს საკუთარი ნაწარმოებები მიუძღვნეს.

ქეთევან შენგელია: „ეს არის ქართული კულტურის გაცოცხლება და თანამედროვეობის წარმოჩენა. სამივე სფერო ერთად ვართ. ტრადიციულად, ერთ საღამოზე ერთი პოეტი, ერთი მხატვარი და ერთი მუსიკოსი გამოდის, მაგრამ რადგანაც კლასიკოსის საიუბილეო თარიღია და 200 წელი მაინც განსაკუთრებული თარიღია, ამიტომ ასე მრავლად რამდენიმე პოეტი, მუსიკოსი და მხატვარი მონაწილეობს“.

რადიმ თორდია: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ყოველი დაბადების დღე ყოველ წელს უნდა აღინიშნოს. როგორც ჩვენ ვიზრდებით ბარათაშვილზე და სხვა დიდ პოეტებზე, ჩვენს ახალგაზრდობასაც სწორედ მსგავსი საღამოებით უნდა შევავსოთ ასეთი პოეზია“.

საღამოში მონაწილეობდნენ ქართული მწერლობის, მხატვრობისა და მუსიკის წარმომადგენლები. მუსიკალურ და ლიტერატურულ ფორმატს ახლდა მხატვრების გამოფენა.

ფოიეში გამოიფინა – ზურაბ ნიჭარაძის, ნუგზარ მგალობლიშვილის, რადიმ თორდიას, გოგი წერეთლის, ირაკლი მიზრახის ნამუშევრები.



HOVHANNES KHACHATRYAN

რევაზ ინანიშვილის
სიტყვიერი სამყარო

1986 წელს გამოვიდა რევაზ ინანიშვილის მოთხრობების კრებული – „ალერსი შიშიანობის დროს“, * რომლის ავტორისეულ წანამძღვარში მწერალი იხსენებს დიალოგს „ერთ განსწავლულ კაცთან“: „აი, ამ დღეებში გამაჩერა ერთმა განსწავლულმა კაცმა და ვითომდა მხოლოდ ხუმრობით მკითხა: – რა ქართული ორღობების ქება აგიტყდა, კაცო, ამ გაგანია კოსმოსის ათვისების ეპოქაშიო. მეც ვითომ ხუმრობითვე მივუგე: – ეგ შიშიდან მოდის, მეშინია, შენ, რომელსაც გგონია, შენმი მიზნებისთვის საჭირო რაღაც მაინცა და მაინც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმა მოიძიება, ძირსდაუხედავად არ გადათელი შენს წინ არსებული სიცოცხლეები და მშვენიერებანი-მეთქი. მაგრამ ამ კაცის კითხვა თავს მაინც აღარ მანებებს არსად, და იძულებული ვარ, დიდი ხნის წინათ დაწერილი მოთხრობებიც კი შევამოწმო მისი თვალსაწიერის შუქზე“.

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება გამონათებაა „სულის შუქისა“, „ადამიანის სულებს რომ არ აებნეთ გზა“ (19) და ძირსდაუხედავად არ გადათელი მათ წინ არსებული სიცოცხლეები და მშვენიერებანი“ (4).

ამ სულის შუქის ერთ-ერთი გზამკვლეები სწორედაც რომ ინანიშვილის მაღლიანი ქართულია, რითაც მწერალს შეეყვარათ მშობლიური ენის უკიდევანო წიაღში. ამ წიაღის საგანძურს გვაზიარა

* რევაზ ინანიშვილის მოთხრობების კრებული „ალერსი შიშიანობის დროს“, თბ. 1986.

მისმა მოთხრობებმა, სადაც ზეიმობს გიორგი ლეონიძისეული „მუხლადი, ბედაური, მადლარი“ სიტყვა და რევაზ ინანიშვილისეული მშვენიერი ქართული.

რევაზ ინანიშვილის პროზის ენის უმთავრესი მასაზრდოებელი წყაროა ხალხური სასაუბრო მეტყველება, საიდანაც გამოაბრწყინა (არ ვაჭარბებ!) მრავალი საჭირო სიტყვა; რად ღირს თუნდაც უცხოენოვანი „შპალის“ სანაცვლოდ ხალხში ნაპოვნი სიტყვა „განძელი“, რომელსაც არ იცნობს დღემდე არსებული არცერთი ლექსიკონი: მოვეუსმინოთ მწერალს:

„სულ მახსოვს, როგორი თოვლითაც იყო წაფერფლილი მაშინ ეს მაზუთიანი ხრეში და განძელები.

– რეები?

– განძელები. შპალი განძელია ქართულად“, (42).

ინანიშვილისთვის თანაბრად ძირფასია ისეთი ლექსიკური ერთეულიც, რომელიც თუმცა გვხვდება ქართულში, მაგრამ სასაუბრო ენის ელფერი დაპკრავს; აქვე ყურადღებას იქცევს ტექსტში ჩართული მწერლისეული კომენტარი.

ერთთავად (ხომ ძალიან სწორად ვმეტყველებ?).

ერთთავად თვალებს გარიდებს, მორცხვად იღიმება, (12).

რევაზ ინანიშვილის პროზის ენობრივი სამყარო უაღრესად მდიდარია ხალხური ენიდან გამოზიდული ზმნური მარგალიტებით: დარდიანი კაცი ჩამორუბლულია, რადგან ცოლმა წამოუბოლა, იმან კი გულის გასაქარებლად „სხვათა მოჯამაგირეობისა“ ამოსევდა (სევდიანად იძღერა).

დილა-საღამოს თუ გამოცოდვილდებოდა ხალხი გარეთ, (23). მომეცი სახვევი, ცოტაც წავიცოდვილოთ, (57), ვიდაცა მაინც შეცოდვილდება (77). დრეიძე გოდორს მხოლოდ ეფაცურებოდა, (238). პატარძალი კი ხელსწრაფობს და თვალებს აფოფინებს; მაყვალამ ამომიფოფინა ის მაყვალვით თვალეები, (80). მოზვრები ...მიაშლუპუნებენ ტალახში ამოსვრილ კუდებს, (504).

რევაზ ინანიშვილი ერთგან წერს:

„მთავარი მაინც სხვა არის, მთვარია, ადამიანებს რაც შეიძლება დიდხანს შევეუნარჩუნოთ სამყაროს საოცრება“... (209). განა სამყაროს საოცრება არ არის ორიოდ სიტყვით დახატულ სურათში: მერე მუქად ჩაიტეტკებიან ის მწვერვალები, (98). ამ ზმნის ღრმა და საოცრად ტევადი მნიშვნელობის დაზუსტებაში ვერ დაგვეხმარა ვერცერთი ლექსიკონი.

ნაირგვარია ამ სამყაროს წყალ-ჭალა და მისი კოლოროტიკის ამსახველი ლექსიკა; საამისოდ გთავაზობთ ფრაგმენტებს მოთხრობიდან „გვალვის დასასრული“: „...ბალი ბალახსა და შამბს აევსო, შიგ რომ შევედი, ჭყიმის წვერებს ხელი ვერ შევუწვდინე... სიბრალულით შევცქეროდი თითქოს საგანგებოდ დაღუმებულ ხეებს. ატმებს და ქლიავებს არ ესხათ, – ყინვამ ყვავილში მოუსწრო და მოფშრუკაო... სამაგიეროდ მსხალი და კეხურა ვაშლები სულ შეხორხლილი იყო... პირველად ატმებმა მოიწყინეს, დაუსორხლდათ ფოთოლი... ღობიო ისე აიშრიტა, სამი მარცვლი ერთი მარცვლის წონა გამოვიდოდა... სიმინდი დანლალებდა... ვინც მორწყა, იმათი ბოსტნეული უფრო მოიშუშაო“... (21-23).

ქართული ზმნა-შემასმენლის მყარი ფორმობრივი და მდიდარი სემანტიკური შესაძლებლობებია გამომწვეურებული გადინამიკურებულ ნიმუშებში (ცხადია, ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ გრამატიკულ სტატიკურობა-დინამიკურობას); რთველში ავავსებდით კალათას, მოგვებრწყინდებოდა ზურაბი, (15). ბავშვები მხიარულად მიჭყაპუნობდნენ სველ შარაზე, (59); თინა შინისკენ გამოჩქარდა, (161). (დალი)... თანაზომიერად მიატოვებდა ქვედატანის კუნთებს, (54). ქალი ღონიერად მიიზნეკავდა განიერ თეძოებს, (530); შიმშილით გადაოგნებული ძალლი უმწეოდ გამოიღრენდა ღობის იქიდან, (75). სოფლის ორღობებიდან და ტყრუშულებს ზემოდან გადმოკისკისდებიან პატარა გოგო-ბიჭები, (615); მანამ ტოლჩით წყალი მოაციმციმა, (155).

კიდევ უფრო გამოკვეთილია მსვლელობის გამომხატველი ზმნების სემანტიკური ნიუანსები, როცა მათ წინ უძღვის მიდის//წავიდა ზმნური კომპონენტები: მიდის და მიაბოლებს, (504); ქალები მიდიან და ანანოზე მილაპარაკობენ, (22); ქალები მიდიან და მიდუღუნებენ, (221); მივალ და მივილინებ, (538). მოდიოდა და... სინათლის ზანზალაკებს მოაწკრიალებდა, (151). მივდიოდი და მივანხრაშუნებდი თოვლს, (52); ზანტი ნაბიჯით ამოვლენ პატარა შავი ძროხები და თავ-თავიანთ ბაცებს მიაბლავლებენ, (505). მიდიოდა ქალი და თან ღოქში ჩარჩენილ წყალს მიიღვრიდა, (30). შემოვიდა, შემობნელდა, (233).

თოფი იღლიაში ამოვიდე და წავედი, წავხმაურდი გაყინულ თოვლზე, (52); წავიდნენ, წაწკრიალდნენ საღამოს სიჩუმეში, (101); წავიდა იოსება, წააბუქა

ჩექმებით თოვლი, (46).

მწერალი ხშირად მიმართავს ზმნური სინონიმური პარალელიზმის ხერხს, სადაც ერთ-ერთი კომპონენტი სასაუბრო ენის კუთვნილებაა:

ბიჭები გორავენ და ბულრაობენ, (506); წუხელ ორივენი ვაბანავე, დავღვრიჭე, (138). (ბოსტანი)... გათონხეს, გაამარმარეს, (135); წამოვუარე ხეგს ზემოდან, ჩავედი, ჩავიდაბლე, (189); ეს ზამთარიც გაიბა, გაიბორჯა, (10); მივდექი იმ ბალახსა და შამბს, ძირისძირობამდე გავცელებე, გავაშინდაკე, (22); დატბორდა, დამორევდა დაბლობი, (25). მერე ამინდი უცებ აცივდა, გაცრიატდა, (29); დავისვენებდი ცოტას, ვიმარტოვებდი უფრო მეტად, (530); ტკბილად უვალბოეთ და ტკბილად ურუკრუკეთ ჩემს ბაკაკუნასა, (86); გიგო იცინის, იცინის, კუჭკუჭებს გემრიელად, (122). (გიგომ) ჩაბედა შიგნით, ჩაიკონა, (111). (მაგდა) მიდიოდა, მიხუსხუსებდა, (548); წავლენ, წასავსავლებიან, (538). მოდიან, მოკიჟინებენ მარეკები, მოისვრიან მსროლელები, (134). (თინა) ვაზის ძირში მივდა, მიიყუნჭა, (154). რალაცა აფარუნდა, რალაცა აბლარჯუნდა, (259). ჩალეწა, ფუჩჩი, ჩაზეკა, ჩანანდგურა, (239). მარტო ის ჩემი საწყალი მახლი გამტვერდა და განიავდა უშვილძიროდ, (236). რისთვის ვიწვალე და ვიშავდღევე, (237); შეჭამე ეგ კერძი, გაიყინა და გალელენდა, (212).

რევაზ ინანიშვილის ენობრივი სტილისთვის დამახასიათებელია წინადადებაში ერთნაირ ზმნა-შემასმენელთა თანამიმდევრული გამეორება, რითაც აღწევს თხრობის დინამიკურობას, გადმოგვცემს მოქმედების ინტენსივობას და ახლოს დგას ქართული ხალხური ზღაპრების ენასთან: ვტირი, ვტირი, სუ ხორცებს ვიჩქლეთავ, (223); მარეხი კი იცინის, იცინის, (8); მაინც არ მეძინებოდა და არ მეძინებოდა, (14). თოვა კი მალღდება და მატულობს, მატულობს, (20); დაუშინეს და დაუშინეს ცივს იქიდან რაკეტები, (24); (ღრუბელი)... წამოვიდა და წამოვიდა, (24); ბნელში იელვა და იჭეკა, იელვა და იჭეკა, (25); ბოლოს დაუშვა თანაბრად და ასე იწვიმა და იწვიმა, იწვიმა მთელ იმ საღამოს, (25); აცივდა და აცივდა, (29); მზე მომძლავრდა და მომძლავრდა, (27); ის ნათელი იზრდებოდა და იზრდებოდა, (46); მოულოდნელად ბნელდება და ბნელდება, (58); ისევ დამკრა სასიამოვნო ყინვამ, ჩავისუნთქე და ჩავისუნთქე, (51); იმუშავა, იმუშავა ქალმაც, (28); ქალი მაინც ბარავდა და ბარავდა, (28); თებროლე ...მოწიწკნიდა და

მოწიწკინდა ჯეჯილს,(60); მსხლებსა და ვაშლებს...
სცვიოდათ და **სცვიოდათ** დანაოჭებული, უმწიფარი
ნაყოფი, (22).

რევაზ ინანიშვილის პროზის ენისათვის დამ-
ახასიათებელია აგრეთვე ზღაპრისეული თხრობის
ჰიპერბოლური მანერა: „გადასწყვეტს თებრო: მოდი,
ჩავიცვამ რკინის ქალამნებს,დავიჭერ ხელში რკინის
ჯოხს,როგორმე მივალწვევ მთლად უფროსებამდე და
სულ წვრილად ვეტყვი ჩემს ამბავს“, (1).

რევაზ ინანიშვილი უხვად იყენებს ხალხური
ენის ფრაზეოლოგიას, რაც ავტორისეულ თუ პერ-
სონაჟთა მეტყველებაში წარმოდგენილია არა რო-
გორც დამოუკიდებელი და გაქვავებული იდიომები,
არამედ ისინი მიჰყვებიან სასაუბრო ენის ბუნებრივ
მდინარებას: „მორჩა ლელა სიმღერას; თვითონაც
ამოიძრო სული და ჩვენც ამოგვიცარიელა სასუ-
ლეთი, (102); თებროს ურჩევნია მიწა გაუსკდეს
და თან ჩაიტანოს, (10); ის ქალი კიდევ... ჩვენა
გვწყველის, ქვის ქვეშა გვსხამს ყველას, (237);
იწყველებოდა და რას იწყველებოდა ძალუაჩემი,
კრამიტები ცახცახებდნენ სახურავზე. მთელ გვარს
ჰყრულავდა. რანიღა ვიყავით დარჩენილნი, ორად
ორი კომლი, ამათაც ქვის ქვეშ გვიდებდა ბინას,
(249); მიწამ ჩაიტანა, კალომ ჩაფშენილა ჩემი
სილამაზე,(225); მლანძღეს,ჩამდეს კუბოში და დამ-
აყარეს მიწა,(80); დავენაცვლე და დავეფერფლე მე
ამას. წამლად დავენაყე და მალამოდ დავედე მე ამას,
(85); თოვდა, რომ შინ დაბრუნდა, მაშინ ხომ სულ
ნაპერწყლები აადინა ყველაფერს, (201); შუქია იმათ
გზაზე იყო გაგებული... აცილებდა ხან ერთს, ხან
მეორეს, (183); გაღურჯებული, ტუჩებდაკვანძული
თოვლა კედელს მიეყუდა და დედას განუცხადა –
ფეხმძიმედ ვარო.დედამ ქოქოლა მიაყარა, – გაქრი,
გაქრიო,აგე ის იქ და აქ შენ. თავში ქვა ირტყით და
როგორც გინდოდეთ,ისე მოიქეცითო,(202); დავინიე
უკან, ვდგავარ გაქირზე, სიტყვას არ ვამბობ, (141);
მიმიხვდა, მაგრამ ისევ თავისზეა, (261); გუდად
ამოვიდებთ, თუ ტყუილს ამბობო, (259). მე კიდევ
ჩამოვუშვი ღაბაბი, (259); ჰკრეს ფხაჭი გოგომ და
ლეგომ, სულ კეფაში ირტყამდნენ წიხლებს, (129);
კვარი ფხაჭი, (259); ისეთი ჭიტლაყი მიჭირა, გა-
რეთ, აზოში ამომათხრევიანა მიწა ცხვირით, (142);
გამიშალა შიგ ყბაში ისაკა მასწავლებელმა,წამავლო
ქერში, მიმიყვანა კართან და, რომ მკრა ჭიტლაყი,
საბჭოს კედელთან გავიჭიმე დეკეულის ტყავით,

(258); როცა მხვდებოდა, აშკარად იმორცხვებდა,
პირი გვერდზე მიჰქონდა, (141); მარეხიც, რომ
იტყვიან, ცალი ფეხითლაა მასთან, (10). მაღალი
მეზობელი ხომ ნემსის ყუნწში აძვრენდა მაყრულ
პირველს, (50);

ზოგჯერ მწერალი ერთ სიტყვაში მოაქცევს
მთელ ფრაზეოლოგიურ ერთეულს: წუხდნენ და
შენც **შემოგაგულისჭირებდნენ**, (560); სამუდამოდ
გაუუკუღმართდა გული,(10); შემომისხდნენ მამიდები
აქეთ-იქიდან,ჩამოუშვეს ღაბაბები და წამომიყვანეს
ამ **ფუძისჩამყრელაძაღლებულში**, (223). ახლა იქ
გახდა საწყველი და **ჯოხსაღებელი**, (249).

რევაზ ინანიშვილის თხრობის სტილი და ინ-
ტონაციური შეფერილობა ხალხური სასაუბრო ენის
სიღრმესა და სილამაზეს გვაზიარებს: **ვნახოთ და**
გამოიარა „ვოლგამ“,(246); **გაჭიმე-გაფხრიწე**, კოდი
ლობიო სამი თუმანი ღირდა, (238); ორი კოდი
ძლივს გამოვიდოდა, **გაჭიმე-გაფხრიწე...** (238).
რაც ჩემი ცოლი გახდა, სახეში არ შეუხედინებია.
ღვას, თავდაღუნული ღვას და, თავდაღუნული და-
ღის, (247); (თებრო) **სწყველიდა, სწყველიდა**, სულ
წყვილ-წყვილად აწყობდა მიწაში ქუჩების ჩამბნელებს,
(10); ლუმელი... **ზურავს, ზურავს**, ნიავე მიმ-
იქანებს მინებს იქით კვამლს,(20). **ხელის მტევანი**
ჰქონდა, – დაიჭერდა აი ესე, ორი თითით, კაკალს
ჩამოჰკრავდა კვესივით იმ მაგარ ხელის მტევანს
და მოგვაწვდიდა გატეხილს. **ეხლა ქვაბი და კარგი**
ცეცხლიდა, – თქვა რალაც ჩათქმული ღიმილით
ნათელას მამამ, – ქვაბი, **ბლომად ხახვი, ბლომად**
წიწკა, მერე კარგი ღვინო და... (14).

ჰა, ნუ გემკვლელება! (543).

მრავლადაა დალოცვისა და წყველის ხალხ-
ური ფრაზეოლოგია: **გამიმრავლი და გამიხარდი**,
შვილო! (122). **შენ იკვნესე და იჭლექე!** (175).

ამრიგად, თვალის ერთი გადავლებითაც კი
აშკარაა რევაზ ინანიშვილის პროზის ენის უსაზ-
ღვრო სიმდიდრე, მისი სისხლხორცეული კავშირი
სასაუბრო ენასთან. მწერლის თხრობის სტილი
ლალა და სავსებით თავისუფალი ყოველგვარი
ხელოვნური და ღვარჯნილი ფორმებისა თუ კონ-
სტრუქციებისგან. საერთოდ კი, ვისაც სურს, ეზი-
აროს რევაზ ინანიშვილის სიტყვიერი სამყაროს
მშვენიერებას, შეიგრძნოს მშობლიური წყალ-ჭალის
სურნელი, მისი მოთხრობები უნდა წაიკითხოს, რო-
გორც თვითონ იტყოდა, ჩაღრმავებით, დაგემოვნებით.

ღაიდა ჟიხოშვილი- სახლთხუთხუთი



მუდმივად მის სადარაჯოზე

„ცოდნა ენის კანონებისა სავალდებულოდ აღარაგვის მიაჩნია“...

მიხეილ ჯავახიშვილი

„სხვა ენაზე ლაპარაკი კი არ არის უბედურება, არამედ – შენი ენა რომ არ იცის!...“

...რასაკვირველია, ცუდია, როცა ინტელიგენტი მშობლიურ ენათ სრულყოფილად ვერ ფლობს, მაგრამ უბედურებაა, როცა ასეთსავე დღეშია გლეხი... რამდენადაც ინტელიგენტი ვაცილებით იოლად განიკურნება ამ სენისაგან, ვიდრე გლეხი – გლეხი ბუნებით უფრო მყარია, ძნელად ემორჩილება ცვლილებებს, მაგრამ ერთხელ თუ შეიცვალა, სამუდამოდ შეიცვლება“.

ოთარ ჭილაძე

პროსპექტზე მიმავალს ჟურნალისტი გოგონა ამედევნა: – თუ შეიძლება, დაგისმევთ კითხვას, რას ფიქრობთ თბილისის ეკოლოგიაზე?!

– არ მინდა, ჩემო კარგო, კითხვის დასმა, თავად დაგისვამ კითხვას, ოღონდ არა ეკოლოგიაზე, არამედ დღევანდელ ქართულზე...

– სამწუხაროდ, აქ მე ვსვამ კითხვებს!

– სწორედ ეგაა ტრაგედია! – მივუეე გაგულისებულმა და გზა განვაგრძე... ყურს ძახილით მოსდევდა – დაგისმევთ, დაგისმევთ!...

რიგითი ადამიანი გახლავართ, პროფესიით ფილოლოგი, თუმცა წერილში მოხმობილი მაგალითების დანახვა-შემჩნევას სულაც არ სჭირდება ფილოლოგობა. ვფიქრობ, ყველა პროფესიის წიგნიერი ადამიანისთვის მიუღებელია წინადადებების,

ფრაზეოლოგიის ის წყობა, რომელსაც წლებია გულუხვად გვთავაზობს პრესა თუ ტელევიზია... ხშირად ისეც ხდება, რომ ასეთ ქართულს „მიჩვეული“ – სწორი ფორმის წერისას ან წარმოთქმისას, ნაწერს ასჯერ მაინც ვამოწმებ – შეცდომა ხომ არ გამეპარა, მეც ხომ არ შემეპარა დამკვიდრებული სენი?!.

1992 წლის ჩანაწერებში ბ-ნი ოთარ ჭილაძე წერს: „ჩვენ ალბათ ერთადერთი ხალხი ვართ, რომელმაც არ ვიცით, როგორ გამოითქმის წოდებით ბრუნვაში ჩვენი საკუთარი შვილების სახელები. ამოდი, ლევანი, სახლში! ჩამოდი, ოთარი, ხიდან! არა, არა და არა! არავითარ შემთხვევაში. ამოდი, ლევან შინ (და არა სახლში), ჩამოდი, ოთარ, ხიდან. ბ. შოუ ამბობდა, ინგლისელებმა მშობლიური ენა ცუდად ვიცითო. ჩვენ ისიც არ ვიცით, რა არ ვიცით“.

ჩვენი მომავალი თაობის სასაუბრო ლექსიკა ხომ ისედაც მწირია, ამას ემატება არასწორი წინადადებების სინტაქსური კონფიგურაცია და გვრჩება ყველანაირად გამოშვებულ-დასახიჩრებული ქართული ენა; საილუსტრაციოდ მოხმობილი მაგალითები ძალზე მცირე ნაწილია იმ ხარვეზებისა, რომლებიც ასე უხვად ისმის ტელეეკრანებიდან, საპარლამენტო სხდომების მიმდინარეობისას, ჩვეულებრივ ზეპირმეტყველებაში, გვხვდება ჟურნალ-გაზეთებში... წლებია ვამკვიდრებთ, თავად ვუცვლით გეზს სწორმეტყველებას... როდემდე გავაგრძელებთ ასეთ უდიერ დამოკიდებულებას და ეს მართონი სადამდე მიგვიყვანს – აი კითხვა, რომელიც მაწუხებს, მაღიზიანებს, გვაღიზიანებს...

ენათმეცნიერებო, სპეციალისტებო, რამენაირად მოიფიქრეთ და განახორციელეთ, გაატარეთ ისეთი ზომები, რომლებიც არა მარტო ამ საქმის სპეციალისტებისთვის იქნება გასაგები, არამედ ჩვეულებრივი „მოკვდავებისთვისაც“, რომლებიც ინტუიციით, გრამატიკული წესების გარეშე – ხვდებიან, რომ რაღაც ვერ არის რიგზე... ოღონდ, ეს ზომები უნდა იყოს ქმედითი, გადამწყვეტი და არა იმპულსური, შუა გზაზე მიტოვებული, თავმინებებული; ამ საკითხზე კულუარებში საუბრების ან თუნდაც, მაგალითების მოტანა-შესწორება არ კმარა; მეტი სიმკაცრე და მომთხოვნელობაა საჭირო. რაღა თქმა უნდა, ახალს არაფერს ვამბობ...

წარმოგიდგენთ ჩანიშნული მაგალითების მცირე ჩამონათვალს:

1. შეცდ.: „ის წარმოადგენს „ქართული ოცნების“ საკრებულის წევრს...“

სწორია: ის წარმოადგენს საკრებულოს „ქართული ოცნების“ წევრს...

ანდა, იგი საკრებულოს „ქართული ოცნების“ წევრია.

2. შეცდ.: „დებატებში იღებდა მონაწილეობას სხვა საკრებულოს წევრებთან ერთად“.

სწორია: საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად, დებატებში მონაწილეობდა.

3. შეცდ.: „პროცედურა ყველა დაცვის თანამშრომელმა უნდა გაიაროს“.

სწ.: დაცვის ყველა თანამშრომელმა პროცედურა უნდა გაიაროს.

4. შეცდ.: „ქალაქ ზალცბურგში შევიდინე ყველა ბახის ჩანაწერი...“

სწ.: ქალაქ ზალცბურგში ბახის ყველა ჩანაწერი შევიდინე.

5. შეცდ.: „აგრეთვე გვეყოლება მეხუთე ჟიურის წევრი მაყურებლის სახით“.

სწ.: აგრეთვე, მაყურებლის სახით, ჟიურის მეხუთე წევრი გვეყოლება.

6. შეცდ.: „ოთახში იმყოფებოდა ორი ჩინეთის მოქალაქე“.

სწ.: ოთახში ჩინეთის ორი მოქალაქე იმყოფებოდა (არ არსებობს ორი ჩინეთი!).

7. შეცდ.: „ყველა საქართველოს მოქალაქეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს...“

სწ.: საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია მონაწილეობის მიღება.

8. შეცდ.: „ჩვენმა გაუსაძლისმა ყოფამ ბევრი ქვეყნიდან გაიყვანა“.

სწ.: ჩვენმა გაუსაძლისმა ყოფამ ქვეყნიდან ბევრი გაიყვანა.

9. შეცდ.: „ყველა ცვლილების პაკეტი, ფაქტია, დასრულებულია“.

სწ.: ცვლილების ყველა პაკეტი, ფაქტია, დასრულებულია.

10. შეცდ.: „უამრავი ხალხი საზოგადოებაში არის განათლებული“.

სწ.: საზოგადოებაში უამრავი ადამიანია განათლებული.

11. შეცდ.: „ბევრმა პარლამენტის წევრმა დაუჭირა მხარი ჩვენს ინიციატივას“.

სწ.: ჩვენს ინიციატივას მხარი პარლამენტის მრავალმა წევრმა დაუჭირა.

12. შეცდ.: „ნებისმიერ ევროპის ქვეყანაში ღირს ბევრად უფრო ძვირად“.

სწ.: ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, ბევრად უფრო ძვირი ღირს (ძვირია).

13. შეცდ.: „ჩემი ლექსები პირნათლად ასახავენ ჩემს მდგომარეობას“.

სწ.: ჩემს მდგომარეობას ნათლად ასახავს ჩემი ლექსები.

14. შეცდ.: „ეხლა შემოვივლით ყველა მსოფლიოს თასს“.

სწ.: მსოფლიოს ყველა თასს შემოვივლით.

15. შეცდ.: „იგი იზრუნებს ყველა დანარჩენ

საქართველოს მოქალაქეზე“.

სწ.: იგი საქართველს ყველა დანარჩენ მოქალაქეზე იზრუნებს.

16. შეცდ.: „პროკურატურამ სამი სომხეთისა და სამი საქართველოს მოქალაქე დააპატიმრა“.

სწ.: პროკურატურამ სომხეთის სამი და საქართველოს სამი მოქალაქე დააპატიმრა (არ არსებობს სამი სომხეთი!).

17. შეცდ.: „როგორია განწყობა სხვადასხვა ევროკავშირის ქვეყნებში?!“

სწ.: ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში, როგორია განწყობა?!

18. შეცდ.: „თუმცა, ზამთარშიც ბევრი გრიპის შემთხვევა ფიქსირდება“.

სწ.: თუმცა, ზამთარშიც გრიპის ბევრი შემთხვევა ფიქსირდება (დასტურდება).

19. შეცდ.: „რა თქმა უნდა, აქ შეიყრის თავს ყველა“.

სწ.: რა თქმა უნდა, აქ ყველა თავს მოიყრის.

20. შეცდ.: „პარლამენტში უნდა იყოს ხალხი, რომლებიც დააბალანსებენ ურთიერთობებს“.

სწ.: პარლამენტში უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც ურთიერთობებს დააბალანსებენ.

21. შეცდ.: „ეს ნაწარმოები შესულია ერთ-ერთ მსოფლიო ვირტუოზულ ნაწარმოებთა შორის“.

სწ.: ეს ნაწარმოები მსოფლიოს ვირტუოზულ ნაწარმოებთა შორისაა შესული.

22. შეცდ.: „სხვა ყოფილი დამნაშავეების გამოვლინება არაა გამორიცხული“.

სწ.: არაა გამორიცხული სხვა, ყოფილი დამნაშავეების გამოვლენაც.

23. შეცდ.: „ამ ხალხისგან მივიღე ყველაფერი კარგი, ამ ხალხმა მომცა ყველა სიკეთე“.

სწ.: ამ ადამიანებისგან ყველაფერი კარგი მივიღე, ამ ადამიანებმა ყველა სიკეთე მომცეს.

24. შეცდ.: „კვლავ დაჯდნენ მოლაპარაკების მაგიდებზე...“

სწ.: კვლავ დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან.

25. შეცდ.: „ჩვენ ბევრი ახალი სიახლე გვაქვს...“

სწ.: ჩვენ ბევრი სიახლე გვაქვს.

26. შეცდ.: „...გამოდის, რომ იქნება 74 პარლამენტის წევრი“...

სწ.: გამოდის, რომ პარლამენტის 74 წევრი იქნება.

27. შეცდ.: „მათ შეუძლიათ ციხეზე გადაიყვანონ.“

სწ.: მათ შეუძლიათ ციხეში გადაიყვანონ.

28. შეცდ.: „ჩვენ შეგვხვდნენ კარგი ტაქსის მძღოლები“.

სწ.: ჩვენ ტაქსის კარგი მძღოლები შეგვხვდნენ.

29. შეცდ.: „ეს პასუხისმგებლობა, რომელიც მაქორითარ პარლამენტის წევრებს გვაქვს აღებული“...

სწ.: ეს პასუხისმგებლობა, რომელიც პარლამენ-

ტის მაჟორიტარმა წევრებმა ავიღეთ.

30. შეცდ.: „მენჯემენტი ფიქრობს გადააწყოს მისი რესურსები...“

სწ.: მენჯემენტი ცილობს თავისი რესურსების გადაწყობას.

31. შეცდ.: „...თუ რა სიძნელეებია ქალთა პოლიტიკაში მუშაობის შესახებ“.

სწ.: ...თუ რა სიძნელეებია პოლიტიკაში ქალთა მუშაობის შესახებ.

32. შეცდ.: „ისინი ძალიან საინტერესო საქმიანობას აკეთებენ...“

სწ.: ისინი ძალიან საინტერესო საქმიანობას ეწევიან, ან ძალიან საინტერესოდ საქმიანობენ.

33. შეცდ.: „ვიზუბი ზღუდავდნენ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს“.

სწ.: ქართულ-რუსულ ურთიერთობებს სავიზო რეჟიმი ზღუდავდა.

34. შეცდ.: „ადვოკატებს მსხვილი კვლევა გვაქვს ჩატარებული საბჭოთა ანაბრების შესახებ“.

სწ.: საბჭოთა ანაბრების შესახებ ადვოკატებმა საფუძვლიანი კვლევა ჩავატარეთ.

35. შეცდ.: „ეს იყო ბრძოლა ქართველების მიმართ...“

სწ.: ეს იყო ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა.

36. შეცდ.: „ჰესე მაგარი სიტყვის ოსტატია...“

სწ.: ჰესე სიტყვის ოსტატია; ჰესე სიტყვის დიდოსტატია.

37. შეცდ.: „ჩვენ მოვიბიეთ გარკვეული ქუჩის მუსიკოსები“.

სწ.: ჩვენ ქუჩის გარკვეული მუსიკოსები მოვიბიეთ.

38. შეცდ.: „მას შეუძლია დაინარჩუნოს მაცურებელი“.

სწ.: მას შეუძლია მაცურებლის შენარჩუნება.

39. შეცდ.: „მე ისეთ სტადიაში ვარ, ყველა ჰენდელის ოპერა უნდა მოვისმინო“.

სწ.: მე ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ ჰენდელის ყველა ოპერა უნდა მოვისმინო.

40. შეცდ.: „...სხვა ხელისუფლების შტოები არ იღებენ მონაწილეობას“.

სწ.: ხელისუფლების სხვა შტოები არ მონაწილეობენ.

41. შეცდ.: „თითოეული სახელმწიფოს მოქალაქე იყო საქმის კურსში“.

სწ.: სახელმწიფოს თითოეული მოქალაქე საქმის კურსში იყო.

42. შეცდ.: „ძალიან ბევრი მთავრობის წევრი ამას ხედავს...“

სწ.: ამას მთავრობის ძალიან ბევრი წევრი ხედავს.

43. შეცდ.: „სამივე ჟიურის წევრმა დაგვიწერა პრიზი“.

სწ.: ჟიურის სამივე წევრმა დადებითი ნიშანი დაგვიწერა (პრიზი გადმოგვცა).

44. შეცდ.: „...სხვადასხვა პარლამენტის წევრები-საგან ისმოდა...“

სწ.: პარლამენტის სხვადასხვა წევრისგან ისმოდა...

45. შეცდ.: „საკმაოდ ბევრი საქართველოს მოქალაქეა წასული“.

სწ.: საქართველოს საკმაოდ ბევრი მოქალაქეა წასული.

46. შეცდ.: „...არის მხარდაჭერა ყველა ევროპული ქვეყნიდან...“

სწ.: ევროპის ყველა ქვეყნიდანაა მხარდაჭერა.

47. შეცდ.: „პრეზიდენტის შენიშვნა ბევრი კრიტიკულის მატარებელია...“

სწ.: პრეზიდენტის შენიშვნა ბევრ კრიტიკას შეიცავს; ან პრეზიდენტის შენიშვნა კრიტიკითაა გაჯერებული.

48. შეცდ.: „ეს რამდენიმე ასეული აქციის მონაწილემ გააპროტესტა...“

სწ.: აქციის რამდენიმე ასეულმა მონაწილემ გააპროტესტა.

მაგალითები თითქმის უკომენტაროდ:

1. „...ეს ის პრიორიტეტებია, რომლებიც შევიდა ქალაქის საკრებულოში“.

2. „ჩავწერე კახა ცაბაძის და სხვების სიმღერები და მივიღე ასეთი კარგი პროდუქტი“.

3. „გავითანოთ წყალი, რაც არის ტრენდი“.

4. მოსწავლის გამჭოლი მეცნიერების განვითარება“ (თემის სახელწოდებაა).

IV ეროვნულ მასწავლებელთა კონფერენცია თემაზე: „გამჭოლი კომპეტენციები“.

5. „...მივესალმები თქვენს მაცურებელს, ვიცი რომ ფართოდ გვისმენენ“.

6. „კარგია, როდესაც აყენებენ მოწინავე პრობლემებს“.

7. „ძალიან ბევრი აფრიკის ქვეყანა განვითარდა“.

8. „მანამდე მინდა თქვენი აზრი წარგვიდგინოთ...“

9. „მინდა მივულოცო ლაშას და მის თითოეული ოჯახის წევრს“.

10. „...ძალიან კარგად ჩანს დარგის დინამიკა, დარგი ძალზე პრიორიტეტულია“.

11. „ახლავე დავაანონსებ ჩვენს დღევანდელ თემას“.

12. „საქმეში ჩავრთავთ სხვადასხვა საფეხურზე მოღვაწე დაწესებულებებს“.

13. „ისინი თავად მოდიან ჩვენ ეროვნულ სტენდზე“.

14. „ჩვენც გვაიძულებს ჩვენს მკითხველს ავუწყოთ ხელი“...
15. „კუთხარი, რა კარგია, რომ ესე გემოზე წამაკითხე ეს წიგნი“.
16. „ძალიან მიხარია, რომ არსებობს ასეთი სტუმარი; ძალიან ბევრი ნიჭი გაქვთ“.
17. „...მაგ წიგნები ძალიან იაფია, ეს უკვე აპრიორია“.
18. „არცერთ ჯგუფის წევრს არ გვითხრა ეს ამბავი“.
19. „ოთახში შუქი ჩავაქვრე“. (არა! – ჩავაქვრე).
20. „ჩვენ ამ საკითხს დავაინიცირებთ“.
21. „ბევრი თვის მანძილზე ვინახავდი ამ საიდუმლოს“.
22. „საქმეებს უძღვებიან გამოცდილი ტრენერები“. არა! – მწვრთნელები.
23. „ყველაფერი გააკეთა ოპოზიციამ და ხალხმა, რათა სხვა ქართველი ჯარისკაცი იყოს დაცული“.
24. „სფერო, რომელსაც არ აკონტროლებს არცერთი სახელმწიფო უწყება“.
25. „...მოგასწავლებს, თუ რა სიძნელებაა, ქალთა პოლიტიკაში ჩართულობასთან დაკავშირებით“.
26. „საინტერესოა, ხელისუფლება რამდენად სწრაფად გამიზნავს ამ საკითხებს“.
27. „...მთელი წნეხი არ უნდა გადააბრალოს მოსახლეობას“ (წნეხის გადაბრალება – წარმოუდგენელია!).
28. „...მსგავსი ამბებია, რაც ორივე მხრიდან კრიტიკდება“.
29. „...ნამყოფი ვარ ძალიან ღრმა ბავშვობაში ჩემს სოფელში“. – საუბრობს ოცდაათ წლამდე ახალგაზრდა?!
30. „ჩემი მხარდაჭერა, ეს არის ჩემთვის ძლიერი ინსპირაცია“.
31. „მე მინდა ჩემი თემა, დღეს, ასე დავახასიათო“ (თემის დახასიათება თუ გაგონილა!).
32. „ვფიქრობ, თუ სად შეიძლება მივიღო ტურისტული სიამოვნება“.
33. „...ამ საკითხისადმი არსებობს სხვადასხვა მატრიცული მიდგომები“.
34. „...ეს არის ჰაბი, წყალი არ გაუვა“.
35. „მან მოიხადა მისი მოქალაქეობრივი ვალი...“ (გაურკვეველია, ვინ ვისი ვალი მოიხადა!...)

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, თუ კითხვით გადავქანცე, მაგრამ აუცილებელი იყო ჩემი შემოთქმვა ჩანიშნული მაგალითებით გამემყარებინა. ისევ ბ-ნ ო. ჭილაძის ნათქვამს მოვიხმობ:

„რუსული აშკარად ვერ ვისწავლეთ, სამაგიეროდ ქართული დავივიწყეთ. რუსული სიტყვებით ვლაპარაკობთ ქართულად. რაღაც დომხალი შეგვრჩა ხელში, ქართული ფონეტიკა და რუსული სინტაქსი“.

აქ შეიძლება „თამამად“ მოვანდინო ნათქვამის პერიფრაზი: – ქართული ფონეტიკა და ინგლისური სინტაქს-ლექსიკა; ვერანაირ სხვაობას ვერ ვხედავ თავსმობვეულ, ჩვენგან „სინარულით“ მიღებული რუსული და ინგლისური ენების ზეწოლას შორის. რა მნიშვნელობა აქვს – რომელი ენის ლექსიკა თუ სინტაქსი დაამძიმებს ჩვენი ენის ბუნებას?!

განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე კი არ „გამოვსწორდით“, პირიქით, კიდევ უფრო მივუშვით სადავები და მივიღეთ – „ჩემი ლექსები პირნათლად ასახავენ ჩემს მდგომარეობას“, „საქმეში ჩაერთეთ სხვადასხვა საფეხურზე მოღვაწე დაწესებულებები“... – ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

თურმე, საფრანგეთში პირადად პრემიერ-მინისტრი განაგებს, უძღვება ფრანგული ენის დაცვის მესვეურებს და საკმარისია რაიმე დაშავდეს ამ კუთხით, რომ მან მიიღოს შესაბამისი მკაცრი ზომები...

დღეს, სამწუხაროდ, მსგავს მაგალითებს ბოლო არ უჩანს... ვტრიალებთ მოჯადოებულ წრეში ისე, რომ გამოსავლის ძებნაზე თავს არ ვიწუხებთ, ან მცირედით ვკმაყოფილდებით, რასაც შედეგი არ მოაქვს. და, ვუტოვებთ მომავალ თაობას ასეთი ქართულით გაჯერებულ წერასა და მეტყველებას.

თანაც, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გამოცემლობების დიდ უმრავლესობაში აღარა ჰყავთ სტილისტ-კორექტორები, აღარ არიან „საშიში ცენზორები“ და ამ მხრივ სრული თავისუფლებაა; მთავარია, ვინ როგორ გამოიყენებს მონიჭებულ თავისუფლებას...

ჩემდა გასაკვირად ვიტოვებ იმედს, რომ საზოგადოების, მეცნიერების, ჩვენი – ყველას, მონდომებითა და ძალისხმევით ყველაფერი უკეთესობისკენ წავა.

სულ ახლახან დაფუძნდა ენის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელსაც მხოლოდ მივესალმებით. გვჯერა, არ გაგვაწბილებენ!



უსათაუროდ...

მამაჩემი ზუსტად ისეთი იყო, როგორც არ უნდა ყოფილიყო მამამისის შვილი! ცხოვრების ერთ სფეროში განხორციელებული და თითქმის ყველა დანარჩენში – მარცხით, წაგებით სახსე. მამაჩემი – ბევრის მეგობარი და ძალიან მარტო საკუთარ უძილობაში, ვნებებსა და ცდუნებებში. მამაჩემს თითქმის ყოველთვის (ეს დრო ძალიან ცოტა იყო) ვხედავდი ოთახში, წიგნით ხელში, სახესა და თვალებზე საგულდაგულოდ ჩამოფხატულით, ცრემლები რომ დაეფარა და თუ მაინც ვერ გამოხდებოდა, ცუდ შუქს აბრალებდა. მაინც სულ წყლიანი ან ამღვრეული თვალებით დადიოდა.

მამაჩემი – ფატალისტი – ბედთან, სიცოცხლესთან, სიკეთესთან, ღროსთან და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენ რამესთან მოთამაშე. ყველაზე უკეთ იცოდა, რას უმზადებდა საკუთარ თავს და უკან არ დაუხვევია არასდროს.

ამბობდა, კარგი ბედი მაქვსო, ირონიას არ აკლებდა საკუთარ თავს, თუმცა მე მაინც მგონია, რომ ბედი ჰქონდა, წვალუბის გარეშე აცდა ბევრ ტანჯვას, რომლისთვისაც არც თავს და არც სხვებს დაზოგავდა. მამაჩემის დათბობა ძალიან ადვილი იყო, უნდა მოფერებოდი. თუმცა, არა – აუარება, გამოუღვევლ ძალისხმევას ითხოვდა – სითბოს, სიჩუმეს, დათმენას და სანაცვლოდ არაფერს, ან ვერაფერს გაიღებდა და ესეც უნდა მიგელო და, ვინ იცის, იქნებ დაგეყოლიებინა, რომ ცოტათი უფრო მეტ ხანს და მშვიდად ეცხოვრა. ან იქნებ – ვერც...

მამაჩემი – სახასიათო სიჯიუტით, ენთუზიაზმით დაემშვიდობა სიცოცხლეს, რომელზეც ამბობდა, რომ უყვარდა. უყვარდა სპეციფიკურად და მარტოს. მამაჩემს ნამდვილად და ხშირად ჩემთვის გაუგებარი (მამინ!) უანგარობით უყვარდა მეგობრები, თრობა,

მუსიკა, მზე, დილა..

უყვარდა სამშობლო თავისებურად, მაგრამ ძლიერად. და ძმა! ის თითქმის ყოველთვის მიწუნებდა გემოვნებას, რიტმს, სტილს, ინტელექტს. მიწუნებდა სარკასტულად, ცინიკურადაც კი და მეც სულ რაღაცას ვუმტკიცებდი და იქნებ ახლაც (?). დაცინვით, თითქმის ძალდატანებით შემაყვარა კითხვა. სხვანაირად შეუძლებელი იყო, რაღაცაში ჰომ უნდა მიმებადა და არჩევანი არ მქონდა! უხაროდა მსგავსება სიცოცხლეში, თვალებში. რა დატოვა მამამ?! ხანგრძლივი კომმარი, გაწვდილი ხელით, რომელიც სულაც არ იყო საშველად გაწვდილი. მისი საშველად გაწვდილი არც ხელი, არც სიტყვა მე არ მინახავს და გამიგონია ან არ ვიხსენებ. ბევრი კარგი და ცუდი მოგონება. მამაჩემს კარგი იუმორი, ძალიან კეთილი გული და ულამაზესი ხელები ჰქონდა, მაგრამ ყველა ეს „იარაღი“ საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართული. და კიდევ – კარგი ხმა, თავდაჯერებული, ოღნავ პატივმოყვარე... ძალიან ჰუმანური, ლაღი და ხმაძალაღი სიცოცხლე.. სულ ცოტა ალღო საკმარისი იყო იმის მისახვედრად, როგორი თავისუფალი იყო. ხშირად ჰქონდა განცდა, რომ „აქ“, „ჩვენ“, არ გვესმოდა, რას ამბობდა, ან რისი თქმა უნდოდა. მისი ეს მაღალი წარმოდგენა საკუთარ აღქმასა და გარესამყაროს მიმართ დამოკიდებულებაზე, არცთუ იშვიათად დამთრგუნველიც კი იყო გარშემომყოფებისთვის. მე ზუსტად ვიცი, როგორ უნდა გელაპარაკა მამაჩემთან, ესე იგი – არა ისე – როგორც ამას უმრავლესობა აკეთებდა და ისე – როგორც ძმა. მიზანს მიაღწევდი თუ არა, არავინ იცის. ალბათ, არა.. უბრალოდ, ნაკლებად გულნატკენი გავიდიოდა.

არასდროს არ ეწერებოდა იმ გარემოში, რომელშიც ადამიანები იკიცხებიან, თუნდაც „სამართლიანად“. ვერ ვგუებოდა მორალისტებს... ან როგორ შეეგუებოდა – ყველა მის წინააღმდეგ იყო, ვერ ხსნიდა – რატომ... ან თუ ესმოდა, მაინც ვერ იგებდა ადამიანის ასე გამეტების მიზეზს. რისთვის უნდა გაეგო?! ძალიან მგრძობიარეს და ზოგჯერ სათუთსაც კი, სამწუხაროდ, არ ავიწყებდებოდა ტკივილი, წყენა, თუმცა არასდროს ამბობდა საყვედურებს და მით უმეტეს, საქვეყნოდ.

მამაჩემს, ჩემი დარდისთვის, ბოლომდე ახსოვდა, ერთხელ როგორ გავაწბილე – დავინახე და გავიქეცი. იცოდა – რატომაც, მაგრამ არ დავიწყებია. კარგად მღეროდა, გაცილებით უკეთ, ვიდრე მე. საერთოდ, ნიჭიერი ადამიანი იყო! ბოლოს როცა დავინახე, უბრალოდ ხელი დამიქნია და წავიდა. როცა უკანასკნელად ველაპარაკე, დამპირდა, რომ სამ დღეში ვნახავდი. პირობას ასრულებდა. როგორც ჩანს, ყოველთვის არა.. მამაჩემმა იცოდა, რა იყო სიტყვა. ირწმუნებოდა, რომ სიტყვაზე ძლიერი არაფერია და ამ განუწყვეტელმა „შეგონებამ“ მე-

ტისმეტად შემაწუნა ცხოვრების იმ ეპიზოდებში, უკვე რომ აღარ იყო... „მე რომ აქ და ახლა არ ვცხოვრობდე“... სხვაგან და სხვა დროში უნდოდა ცხოვრება..

შეძლო. მე არ ვიცი,რა დაილო მძიმე პინას მეორე მხარეს, რითიც ადგილი განესაზღვრა იმ ახალ განზომილებაში,მაგრამ მასწენდება მისი გაშლილი ხელები, გული, თვალები და ცხოვრების წესის მეორე,მესამე,ან უბრალოდ „სხვა“ მხარე – გაღება თითქმის ყველასთვის და ყველაფრის, ბოლომდე...

მამაჩემს ერთი მთავარი ოცნება აუსრულდა (უფრო ხილდებოდა ოცნებებს და მომიწოდებდა, მიმებადა) – მიუწვდომელი და სანატრელი გახდა! ბევრი კითხვა დატოვა და ბევრიც გააჩინა.. რა იქნებოდა? თავზე ხელს გადამისვამდა?! ალბათ, არა! ან იქნებ ძილში, როგორც სჩვეოდა.. რა შეძლო სიკვდილით? ყოფითი, მარტივი შიშები დავძლიე... სიკვდილისაც იმდენად ნაკლებად მეშინია, რამდენადაც აქ მისი ადგილი თავისუფალია. არ მექნებოდა ასეთი მძაფრი თანაგანცდა ადამიანების მიმართ, არასდროს მეყვარებოდა ალბათ ბიძაჩემი ისე, როგორც ახლა. არც ბებიასთან ვივლიდი 3 მარტს, იქნებ დარეკვაც კი დამვიწყებოდა ამ დღეს. დედასთან წავიდოდი. ქაოსურ ხმაურში, ძრავების, ადამიანების და წვიმის ხმაში, ვერასდროს გავარჩევდი ბავშვის ძახილს „მამა“ ისე მკაფიოდ, როგორც ახლა. ბევრ საინტერესო შეგრძნებას და მუსიკას გამოვტოვებდი. ძნელად გასაგებია, მაგრამ წასვლას აქვს თავისი ფასი! დიდი და გამორჩეული.

მამაჩემი, 50 წლის, ნახევარი საუკუნის „პატარა ბიჭი“ (ბებიჩემი იხსენიებს ასე), ალბათ განსაკუთრებულად აღნიშნავდა 16 ოქტომბერს... იხუმრებდა და თვალებიც აუწყლიანდებოდა ბევრჯერ... ნასვამი აღარ შეეცდებოდა თავის შეკაგებას... დედას სიყვარულს აუხსნიდა, მამას გააგებინებდა, როგორ აფასებს. აუცილებლად იმღერებდა! იცეკვებდა. ბევრს იცინებდა გულიანად და ალბათ ისევ რამეს ჩაიდენდა. ჰო, ჩაიდენდა. საერთოდ, ასეთი ცხოვრებით იცხოვრა – „ჩადენილით“... ძალიან ახალგაზრდა მამა, 50 წლის – 26 წლის შვილით, აუცილებლად იამაყებდა ამ 24 წლით და თავისი „სიპატარავით“.

მამაჩემი ბევრნაირი იყო – ტკბილი, მწარე, ფიცხი, იშვიათად მომთმენი და მშვიდი, დარდიანი, ხალისიანი, მუშტებშეკრული, ძალიან იშვიათად – მოშვებული ხელებით, დაუნდობელი და მიმტევებელი, მაღალი ადამიანური ღირსებებით და ძალიან სუსტი, საბოლოოდ. თუმცა, ყველაფერში „ცივი“ ან „ცხელი“,

გრილი – არასდროს! ჰოდა, რისი თქმა მინდოდა: გაბრაზებამ გამიარა. არც ცხოვრებაზე, არც ღმერთზე, არც ბედზე, არც ვარკვლავებზე გაბრაზებული აღარ ვარ. უსამართლო იქნებოდა და ესე იგი – მომწამვლელი, როგორც თვითონ მასწავლა.

– რამე განსაკუთრებულს მოვიფიქრებდი ამ დღისთვის!

.....

მამაჩემი, კარგი ნიმუში იყო, იმისა, როგორ არ უნდა მოექცე საკუთარ თავს, როგორ არ უნდა გაუშვა არცერთი შესაძლებლობა, როგორ იყო „მედა“ ყოველთვის სხვებისთვის და გამოგრჩეს შვილი, დედა, მამა.. გაგისხლტეს მთავარი, ოღონდაც „რამე არ შეგეშალოს“. ძალიან ბევრჯერ შუა „დამალობანადან“ გაპარული უდროობის გამო (გარეთ მეგობრები ელოდებოდნენ და ჩემთან თამაშს ხომ ყოველთვის მოასწრებდა? ვერ მოასწრო!) და დაღლილი „ჩვეულებრივი“ ადამიანებით, სივრცით, გარემოთი, „სათანადო გაგებით“ დაუკმაყოფილებელი. იმაზე ბევრად მეტი იცოდა, ვიდრე, ვინმე ასწავლიდა... ვერავენ ვერაფერს ასწავლიდა! არ იღებდა.

მასხოვს, რამდენჯერმე ჩემი საქციელით გაბრაზებულმა უნებურად მითხრა, მე – 12 წლის ბავშვს – სალომე, ცოტა კაცურად რა–ო! მერე თვითონ ჩუმად იცინოდა, სამაგიეროდ, მე ახალი თავსატეხი გამიჩნდა, სასწრაფოდ უნდა მესწავლა „კაცურად“ მოქცევა...

მე მგონია, რომ ადამიანებს თავიანთი ანგელოზები და დემონები ჰყავთ, ოღონდ – ნამდვილები! ჰოდა, სირთულე იმაშია, რომ ხშირად ერთმანეთში გვერევიან და ერთი მეორე გვეგონია და მეორე – პირიქით. სიმართლე ითქვას, ბავშვობაში ხშირად მეგონა ჩემი დემონი, სინამდვილეში პირიქით იყო. რა თქმა უნდა, არა – მისი ზოგადადამიანური გაგებით: ბევრი ფიქრობს, რომ მშობლის სიყვარული რეფლექსურია, თანდაყოლილი. მშობელს არ ირჩევ და ისეთი გიყვარს, როგორიც არის! „ჰაერია“ სხვა ბევრი საზოგადო წარმოდგენასავით. მამას სიყვარულით ვისწავლე ნამდვილი სიყვარული – უპირობო, მოთხოვნების გარეშე!

—

„გაპარული მამა“... ოღონდ – ოცნებებში, სიკვდილში და სიცოცხლეშიც, 50 წლის უნდა გამხდარიყო, იმ ასაკის, ბევრი რამის შექმნა და თავიდან დაწყებაც კი რომ შეიძლება...

დარწმუნებული ვარ, ვიმხიარულებდით..

„დეენილები ხომ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ
ბრუნდებიან შინ!..“



ციცინო ბაბუციძეს ესაუბრა

თამარ შაიშმელაშვილი

სამაჩაბლოს ულამაზეს და ისტორიულ სოფელ აჩაბეთში დაიბადა. დიდი ტკივილის და დეენილობის მიუხედავად, მისი ბავშვობა დღემდე არ კარგავს ფერადოვნებას. ლექსებით და ფიქრებით ისევ მშობლიურ სანახებშია. ამბობს, რომ ცხინვალმა სული დაკარგა!

„ცხინვალი, დღესაც, ჩვენი სულიერების გზაჯვარედინი და ჩვენი ტკივილის დასაწყისი და დასასრულია“!..

უქართველოდ დარჩენილი კი, უთავო მხედარი და შვილების დაბრუნების მოლოდინით გარინდებული ქალაქია!

მომავალ თაობას რომ დაბრუნების სურვილი გაუჩნდეს, ისტორია უნდა იცოდეს. ამ მიზნით გამოიცა წიგნი „აჩაბეთი და აჩაბეთელები“. პატრიარქის კურთხევით ხატიც დაიწერა.

მისი დევიზია: „სიტყვა ღმერთია. ჩვენ დავბრუნდებით“. – პოეტ ციცინო ბაბუციძის პერსონა.

– სამაჩაბლოს ულამაზეს სოფელში, აჩაბეთში დავიბადე. ვახუშტი ბაგრატიონი აჩაბეთის შესახებ გადმოგვცემს: „თამარაშენს ზეით ერთვის (მდ. ლიახვის) თირის მონასტრის ხევი. ამ ხევზედ, გორის ძირს, არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა“ (ქც 4: 370,25, 371,1). მდებარეობს ცხინვალის მუნიციპალიტეტში, მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფლების, ზემო და ქვემო აჩაბეთის ტერიტორიაზე.

VII ს-ში აჩაბეთის სახელს ატარებდა ხევი, რომელიც მოიცავდა დიდი ლიახვის შუა და ზემო წელს (გვასალია, 1983: 109). „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება „გზა აჩაბეთისა“, რომელიც ქართლს დვალეთთან (შიდა ქართლის მთიანეთთან) აკავშირებდა (ქც 2: 456,19).

ქართლის მეფე ლუარსაბ I (1525-1556) სპარსელებთან ბრძოლისას აჩაბეთის ციხეს აფარებდა თავს (ქც 2: 507,11). გივი ამილახვარის აჯანყების დროს (1742-1745) ქართლ-კახეთის მეფეებს – თეიმურაზ II-სა (1744-1762) და ერეკლე II-ს (1744-1798) რამდენჯერმე მოუხდათ აჩაბეთის ციხის აღება. 1759 წ. ლეკებმა იქაურობა ააოხრეს და იქიდან მრავალი ტყვე წაასხეს (ხერხეულიძე 1989: 58). აჩაბეთიდან მომდინარეობს ლიახვის ხეობის ფეოდალთა – მაჩაბელთა გვარი (გვასალია 1983: 108).

დიდი ლიახვის ხეობაში დაიბადა და მოღვაწეობდა დიდი საზოგადო მოღვაწე და მთარგმნელი, შემდგომში, ბედის უკუღმართობით უგზო-უკვლოდ გადაკარგული ივანე მაჩაბელი.

მისი სახლ-მუხეუმი არაერთგზის იავარქმნა ქართული სულიერების დანაწევრების მოსურნე მტერმა და აკი, მიაღწია კიდეც მიზანს – 2008 წლის 8 აგვისტოს ომმა პირისაგან მიწისა, ალგავა ჩვენი ულამაზესი ხეობა ჩვენი თანამემამულის, გიორგი ოქრუაშვილის თანადგომით ოთხ ტომად გამოიცა „იქითა საქართველოში“ დარჩენილი ციხე-კოშკებისა და ტაძრების აღწერილობა. ეს არის ჩვენი შეუღამაზებელი, გაუყვალბებელი ისტორია, ჩვენი იურიდიული საბუთი! ვალდებულნი ვართ, მომავალ თაობას გადავცეთ ჩვენი სულიერი მემკვიდრეობა მათ უნდა იცოდნენ, რა დარჩა იქ ღირებული და რისთვის უნდა დაბრუნდნენ უკან!

– მშობლები...

– მამაჩემი, დავით ბაბუციძე, მწყემსი იყო. დედა, მარიამ დემურიშვილი და ანა ბებო კოლმეურნეობაში მუშაობდნენ. ოთხი და-ძმა ვიზრდებოდით ოჯახში. მე უფროსი ვიყავი, მათ აღზრდაში ვმონაწილეობდი და შემიძლია გულწრფელად გითხრა, არ მასწავლეს, რომ ოდესღაც მეც ვიყავი პატარა. ანა ბებო მორწმუნე იყო. უამრავი ხალხური ლექსი და თქმულება ზეპირად იცოდა. ვახუშტი კოტეტიშვილს გამოვუგზავნეთ ერთი ლექსი. სულ მალე პირველი ხარისხის დიპლომი მოგვივიდა – იშვიათი ფოლკლორული ნიმუშისთვის!

ჩემი ბავშვობა, მიუხედავად მეტ-ნაკლებად გაჭირვებული ყოფისა, დღემდე არ კარგავს ფერადოვნებას და, საბედნიეროდ, ჩემი სულის და შემოქმედების საგზალიც სწორედ ის არის.

– სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრეთ ცხინვალში. იქ გაიარა თქვენმა ახალგაზრდობამ. რით იყო სტუდენტობა გამოჩენილი?

– საინტერესო წლები იყო. სადამოს დასწრებულზე ვსწავლობდი, დღისით – ვმუშაობდი. მესამე კურსზე ვიყავი, როცა დავეოჯახდი. ურთულესი პერიოდი მქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა პირველი შვილი, ლევანი დაიბადა. ოჯახი მეხმარებოდა ბავშვის მოვლაში: კინოშიც მიშვებდნენ, თეატრშიც, დაბადების დღეებზეც. ჩემი მეგობრები ოჯახშიც ხშირად მსტუმრობდნენ და, ასე თუ ისე, სტუდენტური ცხოვრება მაინც ინარჩუნებდა სილალეს. ოსი ეროვნების ლექტორებიც გვყავდა და თანაკურსელებიც. მაშინ, თემა, ქართულ-ოსური ურთიერთობა არ არსებობდა. კონფლიქტის შემდეგ განვასხვავეთ ერთმანეთი!..

– ცხინვალის ძალიან კოლორიტული ქალაქი იყო... როგორ ცხოვრობდნენ ქართველები და ოსები?

– ყოველ ერს, ქალაქს, სოფელს თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისება აქვს. ცხინვალის, თბილისისივით, მრავალეროვანი ქალაქი გახლდათ: ქართველები, ოსები, რუსები, ებრაელები, სომხები, საერთო ჯამში, ერთ დიდ, ლამაზ ოჯახს შევადგენდით და ჩვენი ადათ-წესების გათვალისწინებით სათანადო პატივს მივაგებდით ერთმანეთს.

ქართველებმა და ოსებმა მიიღეს და შეითვისეს ერთმანეთი, მაგრამ, საუბედუროდ, ორივე ერის ეს კავშირი მყარი, საიმედო არ აღმოჩნდა. „ჩვენს ომში“ გამარჯვებული მხარე არ არსებობს, რადგან პაპები ესროდნენ შვილიშვილებს, დისშვილები – ძმისშვილებს, ბიძაშვილები – მამიდაშვილებს, ძმები – დებს ამ მდგომარეობის შესატყვისი სახელი, უბრალოდ, არ არსებობს!

სამწუხაროდ, არავის, არც ერთ ერს, რომელიც ამ პატარა წალკოტში ცხოვრობდა, არ ეყო გონიერება, შეეჩერებინა სიძულვილის მდინარე, რომელმაც წალეკა: ზნეობა, სიყვარული, მეგობრობა, სამართლიანობა, ნათელმძირონობა, მეზობლობა, ნათესაობა.

ძნელად თუ მოიძებნება ორი ისეთი ერი, ასეთი მჭიდრო ნათესაური ურთიერთობა რომ ჰქონოდა ერთმანეთთან. ყოველ მეორეს თუ არა, ყოველ მესამე ოჯახს ან რძალი ჰყავს ოსი, ან სიძე და – პირიქით, აღარაფერს ვამბობ ნათელ-ძირონზე, რომლითაც ყველაზე მეტად მოგვცონდა თავი; არც ლხინის, არც ჭირის სუფრა უერთმანეთოდ არ ჩაივლიდა.

ცხინვალის იყო ყველაზე მშვიდი, კოპწია, მყუდრო ქალაქი, სადაც ყველა იცნობდა ერთმანეთს და საურთიერთობო ენად საჭირო დროს ხან ქართულს იყენებდნენ, ხან – ოსურს, ხან – რუსულს. ოსები ქართველებთან ერთად ქმნიდნენ და ავითარებდნენ თანამედროვე კულტურას და ხელოვნებას. თავსმოხვეული კონფლიქტის გამო ქართველებმა დატოვეს ქალაქი ოსების დიდმა ნაწილმაც აღარ ისურვა ქალაქში დარჩენა და რუსეთში გადაიხვეწა

ცხინვალმა სული დაკარგა! ქართული და ოსური ცეკვა-სიმღერა ერთად ქმნიდა საოცარ, დახვეწილ ცხინვალურ კოლორიტს...

ცხინვალს ყოველთვის ჰქონდა სათქმელი! ცხინვალს ჰქონდა ღირსება! ცხინვალში ფასობდა პატიოსნება! ცხინვალის იყო სიყვარულის ქალაქი! ვროპული...

ცხინვალელ ხალხს ჰქონდა უდიდესი სულიერი სიმაღლე!

ცხინვალის, დღესაც, ჩვენი სულიერების გზა-ჯვარედინია!

ცხინვალის, ჩვენი ტკივილის დასაწყისი და დასასრულია!

ცხინვალის, უქართველოდ დარჩენილი, უთავო მხედარივით ომის რაშზე ამხედრებული რაინდის ვით, მის გულზე გაზრდილი შვილების დაბრუნების მოლოდინით გარინდებული ქალაქია!

– ცხინვალის სიამაყე იყო ივანე მაჩაბლის სახელობის ქართული თეატრი, რომელსაც ახლა თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი...

– ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის ქართული თეატრის რესპუბლიკის დამსახურებული

მსახიობი ზაურ გასიევი. იგი ამბობდა: – „მე ოსი ვარ, მაგრამ ჩემი დედა ენა ქართულია!“ – ულამაზესი, დახვეწილი ქართული ენით საუბრობდა და თავგადადებული სიყვარულით უყვარდა ქართველები და საქართველო. აკი, რევან ჯაფარიძემ, როდესაც მისი ქართული მოისმინა, თქვა კიდევ – ახლა ნამდვილად მჯერა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი სწორედ იქ წამოსულა ქართული ენის შესასწავლად, სადაც ქართული ენა გვირგვინით ადგას ამ ქართულ კერას! – ცხინვალის ზაურ გასიევის მეგობრების: თეიმურაზ მულდაროვის, ენრიკო კვადინიძის, ჯემალ კასრაძის, გენრიხ გელაძის და სხვათა უზადო მეგობრობით, სინდისით და პატიოსნებით, სიყვარულით ნაჩუქურთმევი ქალაქია!

ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრია, სადაც კონფლიქტამდე, ქართველები და ოსები თავ-თავის ენაზე ქმნიდნენ და ძერწავდნენ ეროვნულ საგანძურს.

დღეს, ჩვენი დევნილი თეატრი, ქვეყნის ასეთი ძნელბედობის ჟამს, გამირული შემართებით და გამძლეობით სამშობლოს მაგივრობას უწევს სამაჩაბლოს მოსახლეობას და თავისი ღირსეული არსებობით ერთხელ კიდევ შეასხენებს თავს საზოგადოებას და მიანიშნებს სამაჩაბლოს მნიშვნელობაზე და ღირებულებაზე!

ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი თავანკარა ქართლურით ნაშენები მტკიცე ციხეა, ხოლო მსახიობები, ერთგულების და სამშობლოს სიყვარულის უმაღლეს ხარისხში აყვანილი მეციხოვნეები! სამწუხაროდ, საუკუნენახევრის თეატრი თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი!

– **ამაზე დიდებულად წერს ქალბატონი მზია ხეთაგური...**

– „და რომ არ იყოს ხელმეორედ დევნილი და იავარქმნილი ცხინვალის ქართული თეატრი, სრულიად საქართველოს და მის უწმინდესობას მოეწუოდებოდა, მხარი დაგვიჭიროს! რადგან, თუ არ იქნება ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის ქართული თეატრი, ვაი, იმ ხელისუფლებას, რომელსაც არ ესმის, რომ ამ გულგრილობით თავად აწერს ხელს სამაჩაბლოს საბოლოოდ დათმობას! და თუ არ იქნება ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის ქართული თეატრი, რას იტყვოდნენ ამაზე თავად ილია ჭავჭავაძე და ვანო მაჩაბელი?! დაკარგულია ივანე მაჩაბლის საფლავი! იავარქმნილია მისი სახლ-მუზეუმი! ნულარ დაკარგავთ მისი სახელობის ცხინვალის ქართულ თეატრს!“ – წერს მწერალი და საზოგადო მოღვაწე, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელი, ქალბატონი მზია ხეთაგური წიგნში „ღამის დარაჯი“.

დღეს, ცერცვის მარცვლებივითაა გაბნეული ცხინვალელთა ნიჭი და ხელოვნება ერთმანეთს ყოველთვის ვერ ვაწვდენთ ხმას ცხინვალელთა მიერ შესრულებული ცეკვა და სიმღერა, ცხინვალ-

ური აღარ არის, მსოფლიო კულტურის საერთო მდინარეში მიედინება – ამღვრეული, აღრეული, გადასხვაფერებული, არამშობლიური...

– **მაგრამ თითოეული ცხინვალელისთვის ზომ დაუვიწყარია ის ძველი დრო, ტკივილიანია იქაურ შემოქმედთა სტრიქონები...**

– მიუხედავად ყველაფრისა, ვცდილობთ, ისევ გვიყვარდეს ცხინვალურად ერთმანეთი და სამშობლო... თითოეული ცხინვალელის ცხოვრება არის ცხინვალური ამბებით სავსე ძვირფასი სკვირი, რომელსაც უჩვეულო სინაზით ვეფერებით და თვალისჩინივით ვუფრთხილდებით მასში ჩაგორგლილ ძვირფას ამბებს.

ცხინვალური სიყვარული იღვრება **მზია ხეთაგურის** ლექსებიდან – „იგი ზომ სულის მესაზღვრეა ცხინვალელთათვის, სამშობლო – სამშობლოში! ოდესღაც, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაშლილი საქართველო, დღეს, კიდურებმოკვეთილი ასენია ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედინზე ასეთი საქართველოს ჭირისუფალია ქალბატონი მზია!

თირის მონასტრის ძველთაძველ კედლებს მირონივით სდის მისი ლექსები და იმედის მდინარედ მოედინება ჩვენი გულებისკენ – „ნუ სწირავთ ბატკანს, ბაღის ხმას ჰგავს მისი ბღაილი“ – ეს არის ლოცვა-ვედრება სამშობლოს ბედით გულმოკლული პოეტისა იგი ფაქიზი სულით ესათუება ქართულ – ოსური ჩონგურის გაწყვეტილ სიმებს და ტკივილზე, სიყვარულზე ალესილი ლექსებით გულმოდგინედ კემსავს და აფართოებს – მოყვარე მტრისგან შეკუმშულ ქართულ რუკას!...“ (ციცინო ბაბუციძე, „ღამის დარაჯი“) – ცხინვალის მზია ხეთაგურის ლექსებით დავერცხილი ქალაქია! დიახ, ცხინვალიდან იწყება მისი პოეზია და მთელ მსოფლიოში დახეტილობს ისე, როგორც მისი შესანიშნავი და ცნობილი პიესა „ხეტიალა“!

მზია ხეთაგურის მოგონებებში და ლექსებში ცოცხლობს ცხინვალის თავისი ავ-კარგით, დაუვიწყარი ფერებით და სახეებით სამშობლოსადმი მიძღვნილი მისი ლექსების ყოველი სტრიქონი, მართლაც, მის უკიდევანო ტკივილზე ალესილი მახვილია.

ცხინვალის – მერაბ ელიოზიშვილის ულამაზესი ქართლურით ნაჩუქურთმევი ქალაქია!

1934 წლის 18 დეკემბერს ცხინვალში დაიბადა **მერაბ ელიოზიშვილი** – დიდი მწერალი. 1952 წელს დაამთავრა ცხინვალის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. ცხინვალში მიღებული მუსიკალური განათლება უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრში გამოიყენა, უკრავდა ვიოლინოს. მერაბ ელიოზიშვილი არის ორი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის ავტორი – ერთი მათგანია „თეთრი ქარავანი“, ხოლო მეორე – „დიდი მწვანე ველი.“ ეს

უკანასკნელი, მსოფლიოს საუკეთესო ფილმების ასეულშია შეტანილი (ამ ფილმში, პატარა ბიჭის, იოთამის როლს, ცხინვალელი ზურაბ ცერაძე ასრულებს)! მისი ერთ-ერთი პირველი მოთხრობა „ბებერი მეზურნეები“ პიესად გადააკეთა, რომელმაც ყველაზე დიდი აღიარება მოუტანა.

ქალბატონი მზია ხეთაგური წიგნში „ლამის დარაჯი“ წერს: – „ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის ქართული დრამატული თეატრი თავისი არსებობის მანძილზე მუდამ ირჩევდა ისეთ რეპერტუარს, რომელიც ახლოს იყო თეატრალური გემოვნების ეპიცენტრთან. ამ თეატრის ერთ მნიშვნელოვან ხანას ქმნის მ. ელიოზიშვილის პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების სპექტრი. თეატრში ორმოცი წლის მანძილზე მ. ელიოზიშვილის თითქმის ყველა პიესა დაიდგა და ამ ტრადიციისათვის თეატრს არც დევნილობის ჟამს უღალატია – მისთვის არცთუ სახარბიელო წლებში მან „ბერიკონი“ შესთავაზა თბილისელ მაყურებელს.

სრულიად განსხვავებულსა და განზოგადებულ ხასიათს ატარებდა თავად ცხინვალში დადგმული სპექტაკლების სტილი. პიესები: „არაფერი“ და „ყველასაგან ყველასათვის“, სამწუხაროდ, მხოლოდ ცხინვალის თეატრის სცენაზე განხორციელდა და ეს, შეიძლება ითქვას, ნამდვილი ტრიუმფი იყო თავისი პოლიტიკური თუ სოციალური მნიშვნელობით. ასეთი ხასიათის დადგმები და პრობლემისადმი მიდგომა კი, ჯერაც საბჭოურ წლებში, საკმაოდ სარისკო იყო.

მეჩვენება, რომ მერაბ ელიოზიშვილის მწერლობის ჭეშმარიტი შეფასებისათვის დრო ან სულიერება არ ჰყოფნის პოპულისტური სანახაობებით დაკავებულ საზოგადოებას. ჩვენი მოზარდები უსათუოდ უნდა ეზიარონ „ბებერი მეზურნეების“, „თეთრი ქარავანის“, „ბერიკონისა“ და „დიდი მწვანე ველის“ მარტივ ფილოსოფიას, უნდა იცოდნენ ჩვენი კლასიკური ლიტერატურა თუნდაც კონსპექტის სახით.“

მერაბ ელიოზიშვილი 15 წელზე მეტი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ლეთისმსახურებდა, მას დიაკვნობაში ეწოდა ელიოზი. 2012 წლის იანვარში გარდაიცვალა მის მხრებზე და გულზე გადაიარა უსაყვარლესი ცხინვალ-ქალაქის, მისი შემოგარენის და აფხაზეთში დატრიალებულმა ენით უთქმელმა უბედურებამ. კალმით რომ ვერაფერი გააწყო მტერ-მოყვარესთან, ეკლესიას შეეყვარაჯნა!

ილია მართლის თანამოკალმემ მიწაზე დაწყებული დიალოგი ცაში გააგრძელა – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს გულამომჯდარი მოუთხრობდა ქრთლის ჭირს. სამშობლოდაკარგულ, ვენახაჩეხილ, საფლავებგამქრალ მწერალს, უფლის სადიდებელი ლოცვა-ვედრება სისხლნარევ ცრემლად სდიოდა

დარდით და ტკივილით გაძებნილი გულიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, უთაური სარდალ-მეომრების ამარა დარჩენილ ქვეყანასავით, ტადარსაც შემოდარცვოდა ლოცვით შემოქსოვილი წმინდა პერანგი ქვევრს დამსგავსებოდა მისი ქვეყანა – ლოცვასაც უკან უბრუნებდა და რისხვასაც! ველარ გაუძლო წავიდა ამ ქვეყნიდან ისე, რომ ველარ ჩაწურა ზედაშეს ქვევრებში ხარისთვალა ყურძნის მტევანი მამა-პაპეული ვენახიდან წავიდა! ცის კიბეს აჰყვა ქვეყანის ქართული ანბანით და ქართლური სიტყვიერებით უხადო მხვნელ-მთესველი და ზეყანის ლოცვით მამშვენებელ-მამენებელი, ძირძველი ცხინვალელი მზისგულა კაცი – მერაბ-ელიოზ ელიოზიშვილი შთამომავლობას კი დინოზავრის ნაფეხურივით წარუშლელი მემკვიდრეობა დაუტოვა, იმ იმედით, რომ დადგება დრო, ამ ნაფეხურზე ფეხის დადგმას და დატოლებას რომ გაბედავს შთამომავლობა!.. აი, მაშინ, გულნათელი მწერალი სიყვარულით ჩამოგვძახებს ციდან: – აღარ გაქვთ ქვეყნის ვალი, დავისვენე!

„მე არც დაბნეული მძივი ვარ და აღარც მარცვალ-მარცვალ ვიკრიფები“ – ეს ნიჭიერი ქალბატონი **ლია ჭილაძეა**, ჩენი თანამემამულე და ჩვენებური ქართლურის ერთგული დარაჯი!

„მე ცხინვალელი ბიჭი ვარ, დედით და მამით ქართველი“ – ეს **შოთა დარბუაშვილია**. შეხსენება კი არ უნდოდა ჩვენს შვილებს, საიდან იყვნენ, მაგრამ ლექსი ანდერძით ჟღერდა და როცა ამ სტრიქონებს წარმოთქვამდნენ, ცხინვალურად ეჭირათ თავი და ცხინვალელობას სწავლობდნენ! შოთა დარბუაშვილი განა მხოლოდ პოეტია! – ცხინვალს, საბჭოეთის პერიოდში ჰყავდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ბონვარონი“! იგი ამ ანსამბლის სოლისტი გახლდათ! ძალიან პოპულარული ბიჭი იყო – გოგონები აფიშებიდან ჭრიდნენ მის ფოტოებს ახლა მისი ლექსები გვითბობენ გათოშილ სულს დროდადრო „ძველებიჭობას“ იხსენებს და გიტარის სიმებს თრთოლვით ჩამოჰკრავს თითებს – ბედნიერ წარსულში გვაბრუნებს მისი ხმა! იმედით გასცქერის მომავალს, მაგრამ შავ-თეთრი აწმყო მაინც აწერინებს სევდიან სტრიქონებს.

ირინე გოჩაშვილი – მისი პოეზია არის გზავნილი სამყაროსთან – არ არსებობს მტრობა და შუღლი ადამიანებს შორის იმპერიული ძალები ინაწილებენ მსოფლიოს, ნაღდი ხელოვნება და ლიტერატურა კი მარადიულად ბინადრობს ერებსა და ეროვნებებს შორის და ფერადი საშლელით შლის უბადრუკ, სისხლიან საზღვრებს! ირინეს ნათარგმნი რუსი პოეტების ლექსები რუს და ქართველ ხანს შორის გადებული მეგობრობის მტკიცე ხიდა!

თამარ ბაბუციძე – „თუ საჭიროა, მე ვიქნები მშობელი ქალი, ვინც ჩვილ ხეობას მშობელივით სიცოცხლეს მისცემს!“ – მეტი რა გითხრას!.. ვამაყობთ მისით სულ ახლანაზ გალაკტიონის პრემიის ლაურეატი გახდა!

ვახტანგ კობერიძე – მაღლიანი, ძარღვიანი ქართულით გაჯერებულ ლექსის სტრიქონებს გვჩუქნის და ალალი, ქართლური სიყვარულით სავსე გულით გვეფერება მშობლიურ ცასა და მიწაზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტი.

არც ერთი დღით არ მიუტოვებია მშობლიური თამარაშენი მაშინაც და ახლაც, შრომით დაღლილ მარჯვენას კალამი აძლევდა ძალას! კოდაში ჩასახლებულს ღიახვის ბობოქარი ხმაური აღარ უკრთობს ძილს ძნელია, სხვა სოფლის მიწის სუნთქვას გაუტოლო შენი სული და სხეული გადანერგილი გულივით, თითქოს, შენი სატკივარი არ სტკივა და შენი სიხარული არ უხარია დედინაცვალ-დედამიწას! ლექსის და ადამიანის სიყვარულით ისევ თამარაშულად წერს და ლოცულობს სამშობლოს ბედ-იბღალზე უსურვაზივით შემოხვეულ-შემოგრაგნილი კაცი-პოეტი.

ცხინვალში გამოძავალ გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ პირველად დაიბეჭდა **მანანა ჩიტიშვილის** პირველი ლექსები: – „ქსანზე რომ ბალახს ხელს გადავუსვამ, მთელ საქართველოს ვეფერები“ – წერს იგი და გიჩნდება სურვილი, მთელი საქართველოს მოსაფერებლად შენც შენს მშობლიურ მდინარეს გადაუსვა ხელი

– **როგორ დაიწერა წიგნი: „აჩაბეთი და აჩაბეთელები“?**

– ჩვენი სოფელი შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. სოფელი აღარ არსებობს. დევნილი მოსახლეობა საქართველოს რიგ რაიონებშია დასახლებული. გვიჭირს ერთმანეთის მოძებნა. ბავშვები დაიზარდნენ და ერთმანეთს ვეღარ ცნობენ. რამდენიმე მოხუცილა შემოგვრჩა.

მომავალ თაობას რომ დაბრუნების სურვილი გაუჩნდეს, სოფლის ისტორიაც უნდა იცოდეს და იქ მცხოვრები ხალხისაც.

გადავწყვიტეთ, დავბეჭდოთ ცნობარი, სადაც იქნება ყველა ჩვენი თანასოფელელის მონაცემი: მისამართი, ტელეფონის ნომერი, ვინ ჰყავდა მშობლები, დიდდა – პაპა, შვილები. არქივში მოვიძიეთ მასალა ჩვენი სოფლის და სოფელში მცხოვრები გვარების შესახებ და ისტორიულ და ზეპირ წყაროებზე დაყრდნობით შევქმენით ჩვენი სოფლის ისტორია, სადაც მეტ-ნაკლებად ვეხებით და განვიხილავთ ქართულ-ოსური კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებს და ვაკეთებთ მომხდარის ანალიზს და ვეძებთ გამოსავალს. ვწერთ მოგონებებს ჩვენს სოფელზე, ადამიანებზე, რომლებიც იღვწოდნენ და იბრძოდნენ სოფლისთვის დღიდან მისი დაარსებისა. შევქმენით სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია წიგნში მოყვანილ ფაქტებზე და მოვლენებზე.

წიგნში შესულია მოკლე ისტორიები ცხინვალელი მწერლების და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეთა შესახებ, ასევე, პატრიარქის კურთხევით დავწერეთ „ზვარეთისა და აჩაბეთის

წმინდა გიორგის ხატი“ – მეოხი ბაბუციძეების გვარისა, აჩაბეთისა და სრულიად საქართველოსი. წელიწადში ერთხელ ვიკრიბებით და აღვნიშნავთ „აჩაბეთობას“

წიგნმა გაგვკავებინა და ერთ მთლიან ორგანიზმად გვაქცია. მუდამ ერთმანეთის ნახვის მოლოდინში ვართ და დამეთანხმებით, სწორედ ესაა დღევანდელ გაუცხოებულ და გულგრილ დროში მნიშვნელოვანი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სოფელი მენდო, უფლება მომცა, ჩემი უდიდესი სიყვარული გადმომეცა ამ წიგნით, რომელსაც ძალიან ძალიან იხილავს მკითხველი.

– **ლექსების წერა როდის დაიწყო?**

– ლექსებს ბავშვობაშიც ვწერდი, სტუდენტობისასაც, მაგრამ ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცოდა ამის შესახებ. ვწერდი დღიურს, ჩანახატებს. სამწუხაროდ, ცხინვალიდან ვერაფრის გამოტანა ვერ მოვახერხე და ყველაფერი დაიწვა. ძალიან დიდხანს აღარაფერს ვწერდი. საშინელმა შავ-თეთრმა ცხოვრებამ კარგა ხანს დააღუმა ჩემი მუხა. მერე რაღაც დაგროვდა, ჩაიგრაგნა სულში და დაიბადნენ ჩემი ლექსები: ხან მხიარულები, ხან-სევდიანები, უფრო მეტად კი – იმედიანები!

– **2007 წლის „პატრიოტის“ კონკურსზე თქვენს ლექსზე დაწერილ სიმღერას დიდი წარმატება ხვდა წილად...**

– სამაჩაბლოს თეატრის მსახიობმა დალი დოიჯაშვილმა, 2007 წელს „პატრიოტის“ კონკურსზე ჩემს ლექსზე დაწერილი სიმღერით მიიღო მონაწილეობა, რომელიც „ჯეოსტარი 2006“-ის გამარჯვებულმა, ჩემმა თანასოფელელმა თინათინ ჭულუხაძემ იმღერა. სიმღერას დიდი წარმატება ხვდა წილად. ალბათ, დადგება დრო და დალის მიერ სიმღერებად აქედან გაღებული ჩემი სხვა ლექსებიც იხილავენ დღის სინათლეს

მაღლობა უნდა გადავუხადო ქალბატონ მზია ხეთაგურს, რომელმაც სიტყვასთან ჭიდილი მასწავლა, სიტყვის მრავალ კუთხეზე და წახნაგზე მიმანიშნა და მიეხვდი, სანამ ყოველი მხრიდან არ შებრუნებ და, არ დაათვალიერებ, უფლება არ გაქვს, სიტყვა წინადადებად აქციო, რომ ლექსის სიმრავლე კი არა, აზრის ხარისხია მნიშვნელოვანი.

– **ალბათ ძალიან ტკივილიანია, როცა დევნილ პოეტს გეძახიან როგორ იწერება ლექსები დევნილობაში?**

– დევნილობა ჩემი „აქილევსის ქუსლია“ ამაზე მწარე და საშინელი სიტყვა არ არსებობს! ეს არის დამლა, რომელსაც ვერასოდეს წაშლი და ვერაფრით გააფერმკრთალებ. არ არსებობს ბუნებაში სახლაური, რომელიც დევნილ ადამიანს თავის ყოფას დაავიწყებს! დევნილობა ორმაგი სტანდარტით ცხოვრებას ნიშნავს – არც აქაური ხარ, აღარც – იქაური! აქაური ქუდიც უნდა გეხუროს და – იქაურიც! დევნილი პოეტის ბედიც ასეა – აქაური დარდი და სიხარულიც უნდა გაიზიარო და იქაურიც

„იქაურები“ სხვა რამეს ელოდებიან, რადგან ისინი, სამწუხაროდ, ლექსებით მოგზაურობენ იქ, სადაც დარჩათ მთის წვერიდან დაცურებული ცრემლივით სუფთა და ლაღი, აუძღვრეველი სიცოცხლე ჩემი ლექსები ტკივილით იწერება – „დედის ცრემლზე ამოსული იებივით“ ბლუჯა-ბლუჯა ვარიგებ პატარა-პატარა გაზაფხულებად, რომ სხვებიც გადავარჩინო და მეც გადავრჩე...

– მეუღლე გარდაგეცვალათ... გაიხსენეთ ოჯახური თანაცხოვრება...

– მიჭირს მეუღლეზე წარსულში საუბარი მისი არყოფნით გაჩენილი საშინელი სიცარიელე, მგონია, არასოდეს ამოივსება! ვუყვარდი უზომოდ

საკმაოდ კარგად ერკვეოდა ლექსის ავტორ-გიაზობაში და პირველი შემფასებელიც ის იყო მდეროდა. არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა, უზომოდ წესიერი და პატიოსანი ადამიანი იყო – ვაჟკაცური, სიტყვაგაუტეხელი! მოლაღატე ადამიანს ვერ იტანდა, უყვარდა თავისი ქვეყანა და უდიდეს ტკივილს გრძნობდა, ამ დაუსრულებელი უბედურების გამო. გულჩვილიც იყო... ისე წავიდა ამქვეყნიდან, ჩემი წიგნი ბოლომდე ვერ წაიკითხა – ეტირებოდა...

მშენებელი ინჟინერი იყო. 1992 წლის მიწისძვრის დროს ჩვენი სოფლები საშინლად დაზარალდა. სიცოცხლის ფასად შეჰქონდა მასალა და პირველ რიგში ობლებსა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახებს ეხმარებოდა. ყველაფერი დაკარგა, რამდენჯერმე ღალატმა და გაუტანლობამ გაანადგურა უზომოდ უყვარდა შვილები და დედა – მარიამი, მართლაც უღამაზესი და უკეთილშობილესი ადამიანი! გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე თავისი სოფელი ნახა სიზმარში: – იცი, რა ღამაში იყო? ფერდობზე წითელი ვარდები ყვავდა. ანგელოზები ცეკვავენ და თეთრი ტაძრისკენ მივყავდი...

წავიდა იმ ტაძრისკენ! დევნილები ხომ, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ბრუნდებიან შინ!

– 4 ვაჟი და ორი შვილიშვილი გყავთ...

– ჩემი შვილები არიან – ლევან, კახაბერ, მირიან და ერეკლე ლურსმანაშვილები.

ლევანი ხის მხატვრული დამუშავების ოსტატია, კახაბერი და მირიანი – ეკონომისტები, ერეკლე – სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულია და ტიხრულ მინანქარზე მუშაობს. უყვართ შრომა და ერთმანეთის დახმარება. ორი არაჩვეულებრივი რძალი მყავს: ნია მამესწარაშვილი და ლიკა ჯილაური. ორი შვილიშვილი მყავს – 12 წლის რატი და 1.8 წლის სესილია, ერთადერთი გოგო ჩვენს ორბიტაზე. უმათოდ ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენლად უაზრო იქნებოდა. „ტაკ-ტუკ“ – დაგვიკაკუნებს სესილია კარზე და მთელი ოჯახი თავდაყირა ვდგებით, რომ ჩვენს ნებიერას მოვემსახუროთ. ოჯახი ჩემი

თავმესაფარია და ვცდილობ, ჩემი შვილები, რძლები და შვილიშვილებიც ასე გრძნობდნენ თავს და ყოველთვის მიგვიხაროდეს ერთმანეთისაკენ.

– თქვენი ერთი ლექსი...

– „თუ“ – ასე ჰქვია ამ ლექსს:

თუ ვაზის ძირში მუხლზე დაჩოქილს,
არ გიკოცნია შენი მიწისთვის,
ვაზის ფოთლიდან არ ავიხედავს,
ით მოხატულ მშობლიურ ცისთვის...
არ გიყნოსია ყანის სურნელი,
არ გაგიყვია საგზალი სხვისთვის,
თუ ერთხელ მაინც არ წამოგიკრავს,
ფეხი, მშობლიურ კენჭისთვის, ქვისთვის...
სიმილდის ტომით არა სწვევიხარ,
ფეხებდაბრეცილ პატარა წისკვილს,
ურმის ჭრიალი არა გსმენია,
არ გახარებდა გალობა ჩიტის...
მდინარის ტალღას არ ჩაჰყოლიხარ,
არ გინატრია სიმაღლე დიდ მთის...
ამქვეყნად, მხოლოდ შენთვის მოსულხარ,
და იმ ქვეყნადაც, ვერ წახვალ სხვისთვის!

– ფეისბუქზე ხშირად წერთ: „სიტყვა ღმერთია. ჩვენ დავბრუნდებით“... ალბათ დაბრუნებას უდრის, როცა ასეთი რწმენაა...

– ასეთი გამოთქმა არსებობს: „რაც იფიქრა, ის გააკეთა! როგორც გააკეთა – ისეთი გახდა! როგორც გახდა – ისე იფიქრა!“ ეს ხომ ადამიანის აზროვნების შეკრული წრეა – ფიქრით ვიწყებით და ფიქრით ვმთავრდებით... რადგან ფიქრის უნარი გვაქვს, უნდა ვიცოდეთ, რომ, სამწუხაროდ, დაბრუნების დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან ეს დამოკიდებულია არა ჩვენს ფიქრზე, არა ჩვენს კეთილ ნებაზე, ჩვენს სიყვარულზე, არა ჩვენს სიზმრებზე, არამედ იმ მწარე რეალობაზე, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს ყველაფერი დამოკიდებულია მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკაზე. ჩვენი სახალხო დიპლომატია არის ერთი პატარა ნავი, მსოფლიო პოლიტიკის აბობოქრებულ ოკეანეში.

– ყველაზე ბედნიერი დღე...

– დღეები, როცა ჩემს მეუღლეს შევხვდი პირველად! – მე ისევ მისი მწვანე თვალებით ვუყურებ უფერულ სამყაროს და ჩემი შვილების დაბადების წუთები, რომელსაც დედამიწის ზურგზე არანაირი ბედნიერება არ შეედრება!

– „ნაცარშეყრილი“ თვალებით დანახული რები“ – რა გინდობდათ გეტქვით ამ ლექსით?

– ეს ლექსი თავისი ტკივილით და პრობლემებით აქტუალური იყო, არის და, ღმერთმა ნუ ქნას, აქტუალური იყოს მომავალშიც!



ანაიდა ბოსტანჯიანის ხსოვნას

უკვე დაიბადა სიტყვა შენი განვლილი ცხოვრების შემდეგ, ახალი სიტყვით. ეს სიტყვა უკვდავებაში ცოცხლობს და ამიტომ არს დაბადებული ყოველში.

უკვდავებისაა სიტყვა, ასე თქვა ცხოვრებამ შენ-მა!... და იწოდე მაცოცხლებლად სულში ყოველისად!

ღიადი ყოფილა ეს სიტყვა! – ნახე, რაოდენ იღვწის მდინარებაში. ...და, ეს მდინარეები ნაკადად წამოსულა მშობლიური სამყაროდან თქვენში შეს-ისხორცებულ ქართველთა მშობლიურში. ამ ყოველის ძალას თქვენი ღირსების მდინარეები ეწოდა.

...და მხოლოდ სიტყვა რიდი ყოფილა უკვდასაყოფად თქმული თუ არ მიემართება უკვდავად სულში. სულისა კი მის ღირსებაში! – ასე უვანია გონებას თქვენსას, არც გული ჰკლებია ამ მტკიცე სხეულთა ჯაჭვს, უგვრძნის ყოველი რიდით, კრძალვით!... და უთენია ღამენი და ღღენი მშობლიურიდან მშობ-ლიურში.

მტკიცეა სიტყვა, მტკიცეა აზრი

და წონილი ღირსებით, უხმობს და მძლეობს არსებულ სისუფთავეში.

ხელშეუხებელი სული შენი მოკრძალებით სიტყვაშია, ასე უხმობს ჩემი გონება მას! სათუთად უნდა ჰპოვო მისი ღირსებანი, და, მეც ვაგონებ გონს მკათამკაში!

ტკივილი მოლოდინსა და მოულოდნელი წვ-დომით ზღვარში! ყოფილა ეს ძალა მღუმარებაში ერთა პასუხად.

უფალმა დალოცოს და უკვდავჰყოს სული შენი! სული, რომელიც არის გონებაშეუვალი! სიტყვა – შეუვალი! გულთშეუვალი! ხელშეუვალი სიწმინდე შენი! რომლის უმაღლესობა, უმაღლეს სწადს მხოლოდ, უფალი ჰქვია მას!

დაე, დალოცოს ზეადმატებული სული შენი.

* * *

სუფთა ძალაა სიმართლე და ნათელი, მცირედნი თუ უხმობენ მას!... და მართალნი შეცნობილნი არიან მრავალ ხმათაგან ისე, როგორც სხვა საუწყ-ოონი მწვავე მდინარებით. გაოცდა გონება ცივი თუ თბილი სმენით და ტეხს ძვალს, მისავე რბილში. უშორებელია, არც იშორებს სამოსის ფერში. სწუხს, თვლემს უფხიზლოდ. კვდომაა ერის სულში და რაოდენ ღიადი ტკივილში, ზღვარი არ ჰქონია, მე კი ვადევნებდი მზერას შორს უწვდენელს მღუმარედ არსებულს, იქნებ დამენახა მსაზღვრი რგოლები. არ ჩანს, სხივებიც დაიჩრდილა, იმედი ერქვა ერის ხმისა და მიწისა, ცად უნდა აზიდულიყო სხივთა იმედი წონისად! ერთი ფერკმრთალიც კი არ ჩანს, რომ გაკაშკაშდეს. როგორ წვდენილა ხმებით უკუ-გდებული უმართლო ხვედრი ავისა!

საუკუნემ გამოიყოლა მიწისა და ცის კიდენი ხმის სიფაქიზეში უთვლია სიწმინდე ათეულთა და ათასეულსში. ჩანს და ურყევად დგას, მისავე სი-მართლის მსაზღვრში. უნდა გადაზიდოს მხვედრთა ნათელი საუნჯეები მომავლის საგანძურში და ისეთი ჩამკეტი სხივები აქვს, ვერ შესწვდება ხელი და საწვდომი გონება.

ეს ყოველი საუკუნის მტკვერშია ხილული და მცირედნი იცავენ, მცირედნი მართალთა ხვედრით.



წმინდა ქალაქის პოეტები

რა თქმა უნდა, მცხეთა ყოველი ქართველისთვის სიწმინდისა და მშობლიურობის განცდასთანაა დაკავშირებული. ჩემთვისაც ასეა – ყოველი მიახლება განსაკუთრებული და დასამახსოვრებელია. თუმცა, რაც ეს საინტერესო პოეტი ბიჭები გაეცანინ, ჩემთვის მცხეთა უკვე მათთანაც ასოცირდება. დარწმუნებული ვარ, თქვენთვისაც ასე იქნება, როდესაც მათ შემოქმედებას გაეცნობით.

თენგი, ილო და ნიკა – სამი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პიროვნებაა, განსხვავებული ცხოვრებით, ასაკით, შემოქმედებით. თუმცა, არსებობს რაღაც, რაც მათ აკავშირებს, აერთიანებს – ესაა სიყვარული, თავისი ყველაზე სუფთა, ყველაზე ამაღლებული ადამიანური განზომილებებითა და უდიდესი პასუხისმგებლობით ქვეყნის, ქალაქის, ოჯახის, ერთმანეთის მიმართ. ისინი ამით მაგალითს აძლევენ გარშემომყოფებს და ჩვენც უნებურად გვაიძულებენ, უფრო სწორად, განგვაწყობენ, ვიყოთ უფრო ღირსეულები, უფრო ყურადღებიანები, უფრო კეთილგანწყობილები ერთმანეთის მიმართ.

პატივისცემას და აღფრთოვანებას იწვევს ჩემში ამ საინტერესო ადამიანების მეგობრობა, საკუთარი ქვეყნის ბედზე მუდმივი ფიქრი, წმინდა ქალაქის მიმართ უთბილესი სიყვარული და კიდევ ის, რომ უხარიათ ერთმანეთის თითოეული ლექსი, წარმატება, ნიჭიერება.

მაღლობის ღირსია ყველა ის ადამიანი, ვინც თენგი, ილოს და ნიკას მხარში უდგას, აღიარებს მათ ნიჭიერებას და უხარია მათი წარმატებები.

ვულოცავ მცხეთელ ბიჭებს – „წმინდა ქალაქის პოეტებს“ ლექსების კრებულის გამოცემას, მთელი გულით და ვულოცავ „გზას ტაძრისაკენ...“, გზას მკითხველთა გულისაკენ და შემოქმედებითი წარმატებებისაკენ!

მანია მიძია

როგორც სიჩუმე

მზემ ამომივსო თვალის გუგები,
ჩაქრა... ღრუბლებმა გადაუარეს...
როგორც სიჩუმე, დავსადგურდები
და დავუტყეებ გრძნობებს მხურვალეს.
შფოთი დათესეს წუხელ ქარებმა,
გრგვინვა-თარეშით გული იჯერეს...
შემორჩენილმა ღამის მგზავრებმა,
შიშით პირჯვარი გადაიწერეს.
ქარს შემოდგომის მზითვი გადააქვს,
ხაფი ხმით, როგორც ქვრივთა ვაება.
ჰფარავდე, ღმერთო, ვისაც არა აქვს
ბინა და ცის ქვეშ დაულამდება.

მე არ მიყვარხარ

მე არ მიყვარხარ! – არ გთვლი ოცნებად,
არც სხვა არასდროს შემიყვარდება;
რადგან ჩემს სულში მაინც ცოცხლდება
ტანჯვად ქცეული შენი ხატება.

მაქვს მოთმინება – დავსვა წერტილი,
მზად ვარ, სიტკბოში შევხვდე სიმწარეს;
მე სიყვარული, მაღალ ღმერთივით,
ამქვეყნად მხოლოდ ერთხელ ვიწამე.

მე არ მიყვარხარ, კვლავ გიმეორებ,
მაგრამ შენს სახელს არც სხვას შევარქვამ;
თქვი, ვინ იწამა ღმერთი მეორედ,
ვინ შეიყვარა ანდა ხელახლა?!

ჩიხისხან მხედრისი -
თენბო ხანიშვილი

იქ ვდგავარ, სადაც ძნელია დგომა

იქ ვდგავარ, სადაც ძნელია დგომა,
სადაც საცდურმა დააგო მახე
და ეს ცხოვრება წააგავს კვდომას,
თუკი არა გაქვს შენ შენი სახე!
იქ ვდგავარ, სადაც გზა არის ვიწრო,
ეკალ-ბარდებით, არა ვარდებით,
თუ მოხდა, ფეხი დამიცდა, ვინძლო,
მომეცი ხელი, თუკი ვვარდები.
იქ ვდგავარ, სადაც კაცს ჰქვია მამა,
სადაც ღვთისმშობელს წააგავს ქალი...
იმ სიყვარულის უწყვეტი გამა,
რომ წინაპართა დიდი გვაქვს ვალი!
იქ ვდგავარ, სადაც მე უნდა ვიდგე,
ღროის ქარტეხილს ვებრძოლო კალმით
და მელნის ბოლო წვეთამდე, ვიდრე,
სადამდეც სული იქნება ჯვარცმით!
მოვიდა ჟამი, სადაც ჭირს სუნთქვაც
და სადაც ვერცხლი ანათებს მხოლოდ,
უფალო ჩემო, დამშანთონ თუნდაც,
ოღონდ შენამდე მოვიდე ბოლოს!

მოსწავლეთა ცრემლს სინათლის

ათინათი აელვარებდა



ჟურნალ „ანეულის“ ყოველი ახალი ნომრის გამოცემა მკითხველებისთვის გაცისკროვნებული დღეა, ბედნიერების მოლოდინით სავსე, მოზეიმე თვალებით რომ ვხვდებით ერთმანეთს ერთგული, გულისხმიერი მკითხველები, შემოქმედი ადამიანები: მწერლები, პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, ჟურნალისტები, რომელთაც ერთი მიზანი, საერთო სულისკვეთება ვაკავშირებს ერთმანეთთან – ეს არის ჩვენი გმირი წინაპრების სისხლით გაჟღერებული ქართული მიწის, ქართული ენისა და ქრისტიანული რწმენის გადარჩენა.

ჟურნალი „ანეული“ სწორედ ამ მამულიშვილურ საქმეს ურყევად და ერთგულად ემსახურება. ჩვენ-და საბედნიეროდ, დღითიდღე ემატება ანეულელებს ეროვნული სულისკვეთებით გულანთებული ადამიანები, რაც დიდ იმედსა და სიხარულს მძაბებს.

მე, როგორც ერთი რიგითი მოკრძალებული, მაგრამ ჟურნალის ერთგული მკითხველი, „ანეულის“ პრეზენტაციიდან წამოსული ვერ ვიტევ იმ დიდ სიხარულსა და სულიერ აღმაფრენას, რაც ჟურნალის ყოველი ახალი ნომრის გამოცემასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ჩემს კოლეგებს ვუყვები, ვაკითხებ ჟურნალს და გადავდებ ხოლმე იმ განწყობას, რომელიც ანეულელებისგან მომყვება.

ჟურნალის ყოველი გამოცემა ქართული გულით ძგერს, მასში მოქცეულ თითოეულ სიტყვაში ქართული სული ცოცხლობს, ძარღვიანი ქართული მოჩქებს, სიტყვის ძალა ღვთიურ მაღლად გვეფინება მკითხველთ.

ასე მოხდა მორიგი 2017 წლის ჟურნალ

„ანეულის“ მე-3 ნომრის გამოცემისას. ამჯერად, ჩემი კოლეგებისა და მოსწავლეების ყურადღება მიიპყრო „ანეულში“ დაბეჭდილმა პროზაულმა ნაწარმოებმა, ზურაბ პაპიაშვილის „გულის მიწამ“. ჩვენი სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების გულები, სხვაგვარად, გმირ წინაპართა გულებად აგვიძგერა, ცეცხლი დაანთო და გულიდან გამოჟონილი სევდა თვალბზე სინანულის ცრემლებად აგვიკიაფა. ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკარს, მარინა ეზიაშვილს გაუჩნდა იდეა, ეს მოთხრობა გაეცნო პატარა მკითხველებისთვის და გაეგო მათი აზრი.

მართლაც, მე-7 ბ კლასში (დამრიგებელი ნაზი ბეჟანიშვილი, ქართულის მასწავლებელი – თქვენი მონა-მორჩილი) გაკვეთილების შემდეგ ჩავატარეთ ერთობლივად კლასგარეშე ნაწარმოების განხილვა, ეს ნაწარმოები გახლდათ – „გულის მიწა“.

აბზაც-აბზაც კითხულობდნენ მოსწავლეები, ყველას უნდოდა წაკითხვა. დამთავრდა კითხვა და კლასში უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. მოსწავლეების

თვალებიდან გადმოსულ ცრემლს სინათლის ათინათი აელვარებდა.

დაიწყეს მსჯელობა პატარა მკითხველებმა: გაგვაცა მათმა ნაგრძობ-ნააზრევმა. მათი სახეებით ვგრძნობდით, ფიქრებით ფერეიდნელ ქართველებს დასტრიალებდნენ, იმ ქართველებს, რომლებიც „უცხო მიწაზე გადახვეწილები, სულს უბერავდნენ მოწყენილ ვაზს, ვაზს, ქართველთა რწმენასა და იმედს, ვაზს – ქართველთა სულიერი ძალის გამონატულებას.

პატარა მკითხველებმა მოთხრობის წაკითხვის შემდეგ იგრძნეს „გულის ფიცართან წვა,“ ის წვა, რომელიც ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს ეწვოდათ და დღესაც განიცდიან ამ ტკივილს.

ჩემი მოსწავლეებისათვის მოთხრობის გმირი მოხუცი სამაგალითო გახდა: „მოხუცის საქციელით დამუნჯებული ხალხი გახვევული შესცქეროდა ციციქა ბორცვს, თითქოს ეს მიწა მოხუცის მუჭიდან კი არ დაიბნა, არამედ მათი შეძრული გულებიდან სისხლის შადრევნად გადმოეშვა და გულები დაუცარიელა...“

„...მოხუცმა მიიტანა ქართულ მიწასთან და შიგ ჩარგო ისევ თითების ფრთხილი მოძრაობით

შემოუყარა მიწა და დატკეპნა...“ მოსწავლეები სინარულს ვერ მალავდნენ ვაზის გახარებით. თითქოს იმ ფერეიდნელ ქართველებთან იდგნენ გახარებულ ვაზთან და მათ სინარულს უერთდებოდნენ.

მინდა, მთელი სულით და გულით მადლობა გადავუხადო თავად მწერალს – ზურაბ პაპიაშვილს, ჟურნალ „ანუელის“ რედაქციას, ჟურნალის გულშემატკივარ ქველმოქმედ ადამიანებს, მათ ერთგულ მკითხველებს, რომელთაც ჩემი მოსწავლეებიც შეემატნენ.

მადლობა მთავარ რედაქტორს, ჟურნალის სულისჩამდგმელ ქალბატონ თამარ შაიშმელაშვილს, რომელიც ამ წერილში განხილული მოთხრობის გმირს მახსენებს – ისე ელოლიაგება და სულს უბერავს ამ ჟურნალს, რომ იარსებოს და ქართული სიტყვის მადლი მოჰფინოს ქართველთ, როგორც ის მოხუცი ესათუთებოდა ქართულ ვაზს თავის თანამომძეებთან ერთად.

მაცვალა გერმანოზაშვილი,

თბილისის 142-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ერთი ლექსი

ლანი ხველიანი



ნატვრის ხე

ლიკა ქავჭავაძეს

სად მიდიხარ, სილამაზევ? – საითკენ გაქვს გეზი?
უჩვეულოდ ფორიაქობს ზღვაში ოქროს თევზი.
აუხდენელ ოცნებათა დახვევებულ გორებს,
ქარიც, ხმელი ფოთლებივით, სადღაც მიაქროლებს...
გზაზე ნატვრის ხე თუ ნახო – გვერდით ნუ ჩაუვლი,
მუნასავით შესევია ნატვრის ხესო მუძლი,
უაქიმე – რომ ოცნების კვლავ შეისხას ყლორტი,
მასთან კვლავაც მოინუსხოს დროის ქარაშოტი...
სად მიდიხარ, სილამაზევ? – საითკენ გაქვს გეზი?
უჩვეულოდ ფორიაქობს ზღვაში ოქროს თევზი....





მურაბ საბაძის ნამუშევრები



ქურნალ „ანეულის“ შემომწირველები არიან:
მზია ტიკიშვილი, მაია მახარაშვილი, ნაირა ტუხაშვილი,
თამარ ვაძროშვილი, ქეთევან ვაძრუაშვილი

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BBAGAGE 22;
ანგარიშის ნომერი: GE81BG 000000306158900

ერთი ლექსი -

მანანა ღუმბაძე «ანკეტი»

გულნაზ ბაღლია -

თა მათსაიას სულსა შინა

მარინა ცვატაძე, ოსიპ მანღელშტაში -

თარგმნა მარინა გოგოლაშვილმა

როინ ჭიკაძე -

რეზაზ ინანიშვილის სიტყვიერი სიმყარო

ერთი ლექსი -

ლალი გულთაშვილი «ჩემო იესო»...

ფინდა ქალაქის პროტები

«ღვინილები ხომ მხოლოდ სიკვდილის შედეგ
გრუნდებიან შინ.» -

ინტერვიუ ციციანო ბაბუციანთან

ლეილა ჭიტოშვილი-

სახლთმშენებელი «მუდმივად ქართული

ენის სადარჯჯოზე»



ანკეტი — გიბთვხულის ხნული